საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 219 (2330) | ხუთშაბათი, 31 ოქტომბერი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სემინარი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა— თანამედროვე მსოფლიოს წინსვლის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული სემინარი

თბილისში გაიმართა რეგიონული სემინარი თემაზე: „სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები". მასში მონაწილეობდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა ქვეყნისა და ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. სიმპოზიუმის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არკად ბოგში. სწორედ ეს ორგანიზაცია საქართველოს „დემოკრატიისა და აღორძინების ფონდთან" და „საქპატენტთან" ერთად იყო სემინარის გამართვის ინიციატორი.

სემინარის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს მისალმება გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

მისალმებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„გულითადად მივესალმები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული სემინარის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, რომლებიც შეიკრიბნენ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხების განსახილველად.

ყველასათვის ცნობილია, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინსვლის, აგრეთვე, მხატვრულ-შემოქმედებითი სფეროს განვითარების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. ამიტომ მისი დაუფლება, შესაბამისი სტრუქტურებისა და სპეციალისტების გააქტიურება ერთობ აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომელთა შორის არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები.

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის, შესწავლისა და გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია მათი საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდა და შიდა სამომხმარებლო ბაზრის მოწესრიგება.

სემინარის თემატიკა ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგანაც ღვინისა და მინერალური წყლების წარმოება ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ სემინარის ადგილსამყოფელად თბილისი აირჩია, რაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სტაბილიზაციის პროცესის ნათელი დასტურია.

ვიმედოვნებ, რომ ქართველი სპეციალისტები და მათი უცხოელი კოლეგები სათანადოდ გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას, რომელიც მათ მისცა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ, მისმა გენერალურმა დირექტორმა დოქტორმა არკად ბოგშმა. ჩვენ დიდად ვაფასებთ მათ ღვაწლს ამ სფეროს განვითარებასა და სრულყოფაში, მადლობას ვუხდით საქართველოს საპატენტო სამსახურისადმი გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ვუსურვებ სემინარის მონაწილეებს წარმატებებს დასახული მიზნების განხორციელებაში".

წინანდლის მოწოდება „ურთიერთგაგებისა და ნდობისათვის"

ჩვენ, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა: ისტორია, პრობლემები, პერსპექტივა" სიმპოზიუმის მონაწილეები, რომლებიც შევიკრიბეთ სამუშაო შეხვედრაზე თბილისსა და წინანდალში, მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირად ფასობს საქართველოსა და რუსეთის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა.

ჩვენი ხალხების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული კავშირურთიერთობა დიდი ხნიდან იღებს სათავეებს, საუკუნეთა განმავლობაში იგი რთულ ისტორიულ და პოლიტიკურ პირობებში მუდმივად ვითარდებოდა და მტკიცდებოდა.

ჩვენი ქვეყნების ხალხების ურთიერთპატივისცემა კვლავ შენარჩუნებულია და განმტკიცებულია რუსეთის იმპერიის კოლონიური ბატონობისა და ტოტალიტარიზმის წლების ეპოქის მათი ერთობლივი ისტორიის ძნელბედობის პერიოდის მიუხედავად. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით, საქართველო და რუსეთი ეძებენ მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის ყველაზე მისაღებ ფორმებს.

და მაინც, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ჯერჯერობით მთლიანად ვერ აკმაყოფილებს როგორც საქართველოს, ისე რუსეთის საარსებო ინტერესებს. ეკონომიკური კავშირურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის შემცირდა ისეთ დონემდე, რომელიც არ შეესაბამება მათ შესაძლებლობებს. დიდი გაჭირვებით მიიწევს წინ აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე კონფლიქტის მოწესრიგების საქმე, საიდანაც საომარი მოქმედებისა და ეთნიკური წმენდის დროს განდევნილი იყო მოსახლეობის ოთხი მეხუთედი, რომლებიც ამჟამად ლტოლვილები არიან და არა აქვთ უფლება დაუბრუნდნენ მშობლიურ კერებს.

სიმპოზიუმის მონაწილეები, რომლებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, მოუწოდებენ ყველას, ვისთვისაც ძვირად ფასობს საქართველოსა და რუსეთის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა:

განუხრელად დაიცვან ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპები, ჩვენს ხალხებს შორის ძმური მეგობრობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებიდან გამომდინარე და, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე დაფუძნებით;

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო და რუსეთი ყოველთვის იყვნენ და კვლავ რჩებიან ბუნებრივ სტრატეგიულ მოკავშირეებად და პარტნიორებად, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ შორის ისეთი მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, რომელიც შეესაბამება ჩვენი ორივე ქვეყნის ინტერესებს და ზრდის მათი უშიშროებისა და ურთიერთნდობის დონეს;

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 24 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

ჯ. ლვინჯილიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი, კრიტიკოს-პუბლიცისტი ჯანსუღ ღვინჯილია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 24 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

ა. სულაკაურის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მწერალი არჩილ სულაკაური დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად

საქართველოს პრეზიდენტისა და რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის შეხვედრაზე მიღწეულია შეთანხმება, რომ ორი კვირის განმავლობაში საქართველოსა და რუსეთის ექსპერტები მოამზადებენ წინადადებებს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე იმ ვითარების გათვალისწინებით, რომელიც ამჟამად შეიქმნა სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად რეგიონში.

უშიშროების სამინისტრო უარყოფს

23 ნოემბრისათვის აფხაზეთში დაგეგმილ ე. წ. არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს უშიშროების სამინისტრო არ გეგმავს არანაირ ტერორისტულ აქტებს აფხაზეთის ტერიტორიაზე. სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების პრინციპულ პოზიციას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების თაობაზე.

უკვე 1000 ადამიანი გადმოვიდა ენგურს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაციით, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედებს დამსჯელი ჯგუფები, რომლებიც მოუწოდებენ მოსახლეობას არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა. თუ ისინი განსაზღვრულ დროს საარჩევნო უბნებში არ მივლენ, ემუქრებიან დახვრეტით. ამის გამო აფხაზეთის ტერიტორია უკვე დატოვა 1000 ადამიანმა.

დაპირება არ შეასრულეს

იბერიის კორესპონდენტს საქართველოს ქვემო ქართლის ადმინისტრაციიდან აცნობეს, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები, რომელთაც დაიკავეს საქართველო-აზერბაიჯანის ხიდის მიმდებარე საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, უარს აცხადებენ მის დატოვებაზე, რაც წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, 25 ოქტომბრისათვის უნდა გაეკეთებინათ.

ვინ იქნება სახალხო დამცველი?

საქართველოს პარლამენტის ფრაქციებსა და დეპუტატთა ჯგუფებს შორის მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები სახალხო დამცველის კანდიდატურის თაობაზე. განიხილება რამდენიმე კანდიდატურა, მათ შორის მოქალაქეთა კავშირის წევრის — ელენე თევდორაძის, ცნობილი მეცნიერის — რისმაგ გორდეზიანის, მაგრამ შეთანხმება, ჯერჯერობით, მიღწეული არ არის.

ლიკვიდირებულია გია ჭანტურიას სახელობის ფონდი

სააგენტო იბერიის კორესპონდენტს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან დაუდასტურეს, რომ ედპ ყოფილი თავმჯდომარის გია ჭანტურიას ოჯახის მოთხოვნით ლიკვიდირებულია გია ჭანტურიას სახელობის ფონდი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

პირველი კოლეგიის შემადგენლობით აცხადებს, რომ გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" („საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ" კანონისა და „სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესების" კონსტიტუციის თაობაზე) გამოცხადდება საჯაროდ 1996 წლის 1 ნოემბერს, პარასკევს, 12 საათზე, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის დარბაზში (რუსთაველის გამზირი 29).

ლიდერობს ერთობლივი კომპანია

წლეულს, 9 თვეში „საქნავთობის" დეპარტამენტმა მოიპოვა 76,5 ათასი ტონა ნედლი ნავთობი, რაც მიმდინარე ფასით 8,9 მილიონ ლარს შეადგენს და 2,5-ჯერ აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ამ სფეროს ლიდერი გახდა საქართველო-ბრიტანეთის კომპანია, რომელმაც მოიპოვა 42,6 ათასი ტონა ნედლი ნავთობი, რამაც უზრუნველყო პროგნოზირებული მაჩვენებლების 98 პროცენტით შესრულება.



სამაგიეროდ ნელი ტემპით მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები ვარკეთილისა და თელეთის უბნებზე.

ასი ათასი და მეტი დოლარი

მსოფლიო ბანკმა და საქართველოში ამერიკელების მიერ დაარსებულმა ფირმა „გიამ" გამოაცხადეს, რომ 16 ათას დოლარს გამოჰყოფენ სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" საწარმოო პერსპექტივის შესწავლისათვის, საწარმოს აქციებს გაიტანენ საერთაშორისო ტენდერზე. ეს სამუშაოები დეკემბერში დამთავრდება. დადებითი შედეგების შემთხვევაში, აღნიშნული ორგანიზაციები აპირებენ გამოჰყონ სახსრები „ჭიათურმანგანუმის" შესწავლისათვის გეოლოგიური და საინჟინრო შესაძლებლობების თვალსაზრისით. თანხა ასი ათასობით დოლარს შეადგენს.

გორი ქართლში პირველობს

შიდა ქართლის მხარის რაიონებს შორის გორელებმა პირველობა მოიპოვეს თავთავიანი კულტურების მოსავლით — 12.073 ჰექტარზე აღებულია 22.927 ტონა ხორბალი და ქერი, საშუალოდ ჰექტარზე — 19 ცენტნერი. კარგია ბოსტნეულის მოსავალიც. სულ მოწეული და დაბინავებულია 17.785 ტონა ბოსტნეული. ლობიოს მოსავლით თავი ისახელეს ქიწნისელებმა, მათ 11.85 ტონა ლობიო აიღეს, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 31 ცენტნერს შეადგენს.

მოკრეფილია 7 ათას ტონამდე მაღალი ხარისხის ხილი.

პირველი რეისი — ლონდონიდან

29 ოქტომბერს, საღამოს თბილისის აეროპორტში დაეშვა „ტუ-154" ტიპის თვითმფრინავი, რომელსაც „ეარ მოლდოვასა" და ქართული ავიაკომპანიის „გაკო-კავკასიის" წარმომადგენლები ჩამოიყვანეს. ავიალაინერი ორთვიანი საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ „გაკო-კავკასიის" საკუთრება გახდება. პირველ რეისს თვითმფრინავი შეასრულებს ლონდონიდან, როდესაც 9 ნოემბერს თბილისში ჩამოიყვანს ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების გულშემატკივრებს საქართველოსა და ინგლისის ეროვნული გუნდების მატჩზე დასასწრებლად.

დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად

საქართველოში იოდის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა სერიოზულობისა და მასშტაბების გამო მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 24 ივლისის №480 ბრძანებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა იოდის ნაკლებობით გამოწვეულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაზა შენგელია.

„ნოტინგემი" — ფოთში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, 6 ნოემბერს ფოთის ნავსადგურში მეგობრულ ვიზიტად შემოვა დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების საესკადრო ნაღმოსანი „ნოტინგემი". ხომალდის შეიარაღებაში შედის 12 ერთეული მართვადი რაკეტა, 2 ტორპედო, 1 ვერტმფრენი, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 15 და 30 მილიმეტრიანი ქვემეხებით.

ვიზიტი 11 ნოემბრამდე გასტანს.

ვიზიტად დანიაში

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პარტიული დელეგაცია კავშირის გენერალური მდივნის მიხეილ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით ერთ კვირიანი ვიზიტით, დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიწვევით, კოპენჰაგენში გაემგზავრა.

დაგეგმილია შეხვედრები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობასთან, დანიის პარლამენტის წევრებთან, შრომისა და თავდაცვის სამინისტროებში, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილ სემინარში თემაზე „ნატო და დანიის თანამშრომლობა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, მათ შორის, საქართველოსთან".

გიწვევთ!

გიპასუხებთ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი

სამშაბათს, 5 ნოემბერს, ორი საათის განმავლობაში, 12-დან 14 საათამდე რედაქციის ტელეფონით 93-34-04 საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე პირადად გაგცემთ პასუხს თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

შეგიძლიათ შეკითხვები წინასწარ გამოგზავნოთ რედაქციაში მისამართზე: თბილისი, კოსტავას 14, „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

ავთანდილ ჯორბენაძე ელის თქვენს შეკითხვებს!

უკანასკნელ საათს

პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმებას მოითხოვს...

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ გენადი სელეზნიოვმა დაგმო პრეზიდენტ ელცინის გადაწყვეტილება უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობაში ანდრეევსკის შეყვანის შესახებ.

სელეზნიოვი ისე იყო აღშფოთებული, რომ უარი თქვა მონაწილეობა მეიღო საკონსულტაციო საბჭოს — „ოთხეულის" მუშაობაში.

ამნისტია — ჩეჩნეთის ხელმძღვანელებს?

ჩეჩნეთის „შეურიგებელი ოპოზიციის" ლიდერები — ზელიმხან იანდარბიევის, ასლან მასხადოვისა და მოვლადი უდუგოვის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეიძლება შეწყდეს, რაც გათვალისწინებულია კანონპროექტით „ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეთა ამნისტიის შესახებ".

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ნაწილი ილაშქრებს დევნის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ.

რეაბილიტაცია — სიკვდილის შემდეგ

გუშინ მთელ რუსეთში აღინიშნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღე. სამოქალაქო ომისა და კოლექტივიზაციისდროინდელი რეპრესიების ჩათვლით მსხვერპლთა რიცხვი 40 მილიონს აღწევს.

კონტაქტები

პირველად საქართველოში

გუშინ თბილისში დაიწყო ნიდერლანდების სამეფოს კულტურის დღეები, რომლის ორგანიზატორებიც არიან ნიდერლანდების სამეფოს საელჩო მოსკოვში, საქართველოს კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები.

პირველი აქცია-ექსპოზიცია სახელწოდებით „ჰოლანდიის საგარეო საქმიანობა" ნიდერლანდების სამეფოს საელჩომ ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში გამართა, რომელიც მდიდარ წარმოდგენას გვიქმნის ვაჭრობის, გემთმშენებლობის, ტრანსპორტის, საბანკო საქმიანობისა და კულტურული სიმდიდრეების შესახებ, რაც მას მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად აქცევს.

გამოფენის გახსნაზე ნიდერლანდების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ხოდერტ ბარონ დე ფონ ვან სტიინვიკიმ აღნიშნა: ეს ექსპოზიცია იმის დასტურია, რომ პატარა ქვეყანაც შეიძლება იყოს ეკონომიკურად დიდი და ძლიერი. საუკუნეების მიღმა, აბრეშუმის გზის ეპოქაში საქართველოსა და ნიდერლანდებს კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენს დროში, როცა სტაბილურობა დაუბრუნდა საქართველოს, ალბათ დადგა ჟამი, აღვადგინოთ და გავაღრმაოთ ურთიერთობები, განსაკუთრებით, ბიზნესისა და კულტურის სფეროში. საინტერესო იქნება ასეთი ხასიათის გამოფენა საქართველოს შესახებ ჩვენთანაც გაიმართოს, უფრო ახლოს რომ გაგვიცნონ ჰოლანდიაში. მჯერა, დღევანდელი დღე, ეს ექსპოზიცია საწინდარი იქნება ევროპულ ბაზარში საქართველოს შემოსვლის და დამკვიდრებისა.

კულტურის დღეების პროგრამაში სხვა საინტერესო ღონისძიებებიც არის გათვალისწინებული, კერძოდ, დღეს და ხვალ, 15 საათზე დიმიტრი ალექსიძის სასწავლო თეატრში გაიმართება ჰოლანდიური საცეკვაო თეატრების ვიდეოჩვენება, დღეს, ხვალ და ზეგ კინოს სახლში ნაჩვენები იქნება ჰოლანდიური ფილმები: ჯორჯ სლუიზერის — „გაუჩინარება" (19 საათზე), რუდოლფ ვან დე ბერგის „საღამოები" და „კვერცხის მკვლელობა" (17 სთ), ასევე ლორის პიფერსის ნახატი ფილმები (17 სთ).

ხვალ, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში ნიდერლანდების სამეფოს ელჩი ჰოლანდიური სკოლის ოთხ რესტავრირებულ ნამუშევარს გადასცემს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს (ეს ნამუშევრები შარშან წაიღეს სარესტავრაციოდ ჰოლანდიაში).

უდავოა, ჰოლანდიის კულტურის დღეები, რომელიც პირველად იმართება საქართველოში, თავის წვლილს შეიტანს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებაში, ჩვენი ხალხების დაახლოებაში.

გიორგი ლალიაშვილი.

პარლამენტი მუშაობს

არავის არაფერს დავაბრალებთ, მაგრამ რაც არ ერგება, არ შევარგებთ

– ამბობს გიორგი ბარამიძე, საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.


ძირს კორუფცია!
გაუმარჯოს კორუფციას!

იხ. მე-3 გვ.

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

აი, მკლავი!

ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო ვირჯინია-ბიჩიდან

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან აშშ ქალაქ ვირჯინია-ბიჩში მკლავჭიდელთა მსოფლიო პირველობაზე ქართველ სპორტსმენთა წარმატების შესახებ. ისინი სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოინახულა ჩვენმა კორესპონდენტმა და აი, რა შეიტყო:

ვირჯინია-ბიჩში, სადაც ჩატარდა მკლავჭიდელთა მე-17 მსოფლიო ჩემპიონატი, შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა მემარცხენეთა ასპარეზობა (ე. ი. შეჯიბრება მარცხენა ხელით), მეორე დღეს კი ძირითადი ასპარეზობა მემარჯვენეთა შორის.

პირველ დღეს ჩვენი სპორტული ნადავლი გახლდათ მემარცხენეთა შორის: თემურ ლიპარტაშვილი 50 კილოგრამი — ვერცხლი, გია ხაჩიძე 60 კგ — ოქრო, ვეფხია სამხარაძე 70 კგ — ვერცხლი, მინდია ფეტვიაშვილი 75 კგ. — ვერცხლი, სოფრომ სანთელაძე 100 კგ. — ბრინჯაო.

მეორე დღეს მემარჯვენეთა შორის: თემურ ლიპარტაშვილი — ოქრო, გია ხაჩიძე — ოქრო, ვეფხია სამხარაძე — ოქრო, მინდია ფეტვიაშვილი — ოქრო, დავით ჭელიძე 100 კგ. — ოქრო, ერეკლე გურჩიანი 90 კგ. — ვერცხლი, თამაზ ჩუტკერაშვილი 65 კგ. — ბრინჯაო, ზაურ ცხადაძე (მძიმე წონა) — ბრინჯაო.

მსოფლიო ჩემპიონატზე 40 ქვეყნის ათლეტები გამოდიოდნენ. მამაკაცებს შორის პირველობა მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა. ყველაზე პრესტიჟული, რა თქმა უნდა, კაცების პირველობაა და თანაც მემარჯვენეთა შეჯიბრება.

დავით ჭელიძემ ფინალში მოუგო მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონს, დაუმარცხებლად ცნობილ, ამჟამად შვეიცარიაში მცხოვრებ ებრაელს შალომ რემეს. ერეკლე გურჩიანმა კი ფინალურ ჭიდილში აშკარად აჯობა ლეგენდარული ჯონ ბრზენსკის ძმას, ბილ ბრზენსკის, მაგრამ მსაჯებმა არ მისცეს მოგება ჩვენს ათლეტს.

უსამართლობა ყველამ ნათლად დაინახა, ამერიკელები ერეკლეს ხელს ართმევდნენ და თან ეუბნებოდნენ: — შენ ინკონჯანკის ტურნირზეც გაიმარჯვებო. ეს კომერციული ტურნირი შემოდგომით ტარდება ლას-ვეგასსა და ნიუ-იორკში და მხოლოდ პროფესიონალებს უყრის თავს.

უმჩატეს წონაში ყველაზე გასაოცარი იყო 18 წლის მკლავჭიდელის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მკვიდრის თემურ ლიპარტაშვილის ოქროსა და ვერცხლის მედალი. ჩუმლაყელი ჭაბუკი პირველად იყო მსოფლიოს პირველობაზე და დებიუტი „ოქროსი" გამოუვიდა. თემური საერთოდ პირველად ჩაჯდა თვითმფრინავში...

რახან თვითმფრინავი ვახსენეთ, ერთ კურიოზსაც გეტყვით: აშშ-დან სტამბოლში ჩამოსულ ჩვენს მკლავჭიდელებს აეროპორტში არც ერთი ჩანთა და, საერთოდ, ბარგი აღარ დახვდათ...თურმე ჩვენების ბარგი შეცდომით ბაზელში, შვეიცარიაში გაუგზავნიათ...

საქართველოს ნაკრების მხოლოდ ოთხი სპორტსმენი დარჩა უმედლოდ, მაგრამ ვირჯინია-ბიჩში ქართველი მკლავჭიდელების გამოსვლა მორიგ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

გაბრიელ ბარჯაძე.

დოკუმენტები

საქართველოს კანონი

„რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 15 მაისის კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის I^1 თავი:

„**თავი** I^1 პლებისციტი

მუხლი 8^1. პლებისციტის დანიშვნა და ჩატარების წესი

1. პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მისი ნაწილის აზრის გასაგებად.
2. პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით.
3. პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.
4. პლებისციტის ჩატარებაზე ვრცელდება „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესები, გარდა მე-4 მუხლისა".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 29 ოქტომბერი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში „ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის V კარი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

კარი V

პარლამენტის წევრის კითხვა, დეპუტატთა არანაკლებ ათკაციანი ჯგუფისა და საპარლამენტო ფრაქციის შეკითხვა, სამთავრობო მოსმენა და შეკითხვის საათი

თავი XVII. პარლამენტის წევრის კითხვა, დეპუტატთა არანაკლებ ათკაციანი ჯგუფისა და საპარლამენტო ფრაქციის შეკითხვა

მუხლი 64.

პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ (პასუხისმგებელ) ორგანოს, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელს და მიიღოს მათგან პასუხი.

პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ (პასუხისმგებელ) ორგანოს, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებულნი არიან დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის სხდომაზე.

პასუხს ხელს აწერენ მხოლოდ ამ მუხლში ჩამოთვლილი სუბიექტები ან შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელი პირები.

მუხლი 65.

კითხვა ან შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ზეპირი შეკითხვა (კითხვა) შეიძლება დაისვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა სესიის დამთავრებამდე.

წერილობითი შეკითხვის (კითხვის) ტექსტს პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციანი ჯგუფის ან საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელი, აგრეთვე პარლამენტის წევრი აბარებს პარლამენტის აპარატს, რომელიც აღრიცხავს მას სპეციალურ დავთარში და გასცემს წერილობითი შეკითხვის (კითხვის) წარმოდგენის დამადასტურებელ ცნობას.

პარლამენტის აპარატი შემოსული წერილობითი შეკითხვის (კითხვის) ტექსტს ამრავლებს განსაზღვრული რაოდენობით და 24 საათში გადასცემს ადრესატს.

მუხლი 65^1.

თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც წერილობითი შეკითხვით (კითხვით) მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს 10 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. შესაბამისი თანამდებობის პირს წერილობითი შეკითხვის (კითხვის) ავტორთან შეთანხმებით არა უმეტეს 10 დღისა შეიძლება გაუგრძელდეს წერილობით შეკითხვაზე პასუხის გაცემის ვადა.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ზეპირი კითხვის დასმიდან ორი დღის ვადაში პარლამენტის აპარატი უზრუნველყოფს ზეპირი კითხვა გააცნოს შესაბამის თანამდებობის პირს, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ერთი კვირისა პარლამენტს წარუდგინოს წერილობითი პასუხი.

შესაბამისი თანამდებობის პირს ზეპირი კითხვის ავტორთან შეთანხმებით არა უმეტეს ერთი კვირისა შეიძლება გაუგრძელდეს ზეპირ კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა.

თანამდებობის პირის მიერ ზეპირ კითხვაზე გაცემულ პასუხს პარლამენტის აპარატი გადასცემს ზეპირი კითხვის ავტორს.

თანამდებობის პირს უფლება აქვს უარი თქვას კითხვაზე პასუხის გაცემაზე, თუ ინფორმაცია სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებას შეიცავს.

ის კითხვა, რომელსაც პასუხი არ გაეცემა ამ მუხლით დადგენილ ვადაში და წესით, ავტომატურად დაისმება უახლოეს სამთავრობო მოსმენაზე.

მუხლი 66.

პარლამენტის წევრს, დეპუტატთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს ნებისმიერ დროს უკან გამოითხოვოს საკუთარი წერილობითი თუ ზეპირი შეკითხვა (კითხვა).

თავი XVIII. სამთავრობო მოსმენა და შეკითხვის საათი

მუხლი 67.

პარლამენტის სესიის მსვლელობის დროს ყოველ თვე სხდომათა პირველი კვირის პარასკევს იმართება სამთავრობო მოსმენა, ხოლო სხდომათა მეორე კვირის პარასკევს — შეკითხვის საათი.

მუხლი 67^1.

სამთავრობო მოსმენა იმართება მთავრობის წევრების და პარლამენტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით დღის 17 საათიდან. სამთავრობო მოსმენამდე 5 დღით ადრე მაინც მთავრობის წევრები სამთავრობო მოსმენისთვის წინასწარ განსაზღვრულ საკითხებს სათანადო არგუმენტაციით, წერილობითი ფორმით წარუდგენენ პარლამენტს შესაბამისი კომიტეტებისათვის გადასაცემად და დეპუტატებს შორის გასავრცელებლად. სამთავრობო მოსმენამდე 7 დღით ადრე მაინც პარლამენტის მიერ სამთავრობო მოსმენისათვის წინასწარ განსაზღვრული საკითხები სათანადო არგუმენტაციით, წერილობითი ფორმით დაეგზავნება მთავრობას, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, დეპუტატებს. საჭიროების შემთხვევაში სამთავრობო მოსმენის დრო შეიძლება გაგრძელდეს პარლამენტის გადაწყვეტილებით. მოსმენას შეიძლება დაესწროს ყველა მინისტრი.

სამთავრობო მოსმენის დროს პარლამენტის წინაშე 5-წუთიანი ინფორმაციით წარსდგებიან მხოლოდ მინისტრები. მინისტრის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ გამოდის შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენელი, რომელსაც ეთმობა ხუთამდე წუთი მთავრობის მიერ წამოჭრილი საკითხების განსახილველად.

დეპუტატთა იმ კითხვებზე, რომლებზეც დროულად არ იქნა გაცემული პასუხი, მინისტრს ეძლევა არა უმეტეს სამი წუთისა თითოეულ კითხვაზე.

მუხლი 67^2.

მთავრობის წევრებისათვის და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისათვის დასმული შეკითხვის საათი იმართება საპარლამენტო ფრაქციების და დეპუტატთა არანაკლებ 10-კაციანი ჯგუფის მიერ წინასწარ დასმული შეკითხვების საფუძველზე დღის 17 საათიდან. საჭიროების შემთხვევაში შეკითხვის საათის დრო შეიძლება გაგრძელდეს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

შეკითხვის საათს შეიძლება დაესწროს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა ორგანოს ხელმძღვანელი და მინისტრი.

შეკითხვის საათის დროს დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად პარლამენტის წინაშე შესაბამისი ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს ან მინისტრს ეძლევათ 5 წუთამდე. პარლამენტის წინაშე შესაბამისი ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს ან მთავრობის შესაბამის წევრს შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, პასუხის არსიდან გამომდინარე, შეიძლება დაესვათ ერთწუთიანი კონკრეტული კითხვები, რომლებსაც მთლიანობაში ეთმობა არა უმეტეს 15 წუთისა. თითოეულ ასეთ კითხვაზე პასუხის გასაცემად პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს და მინისტრს ეძლევათ ორ წუთამდე.

მუხლი 67^3.

ამ რეგლამენტით დადგენილი წესით სამთავრობო მოსმენაზე და შეკითხვის საათზე დასმული საკითხები შეიძლება გახდეს საპარლამენტო განხილვის საგანი, რისთვისაც გადაწყვეტილების პროექტის მოსამზადებლად შეიძლება შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის შეკითხვის და ინფორმაციის ან საკითხების ინიციატორთა სულ ცოტა თითო წარმომადგენელი".

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 18 ოქტომბერი.

„ტოლერანტობამ, მოყვასის სიყვარულმა უნდა გააერთიანოს და გაათანაბროს ამ ქვეყნად ადამიანები"

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო კონფერენციამ თემაზე „მრავალეროვანი საზოგადოების პირობებში სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადება", რომელიც მოაწყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა იუნესკოს ხელშეწყობით.

კონფერენციის მონაწილეებს მისალმებები გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ფედერიკო მაიორმა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის მისალმება

„მრავალეროვანი საზოგადოების პირობებში სკოლის მასწავლებელთა მომზადების" საკითხებზე იუნესკოს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს

ძვირფასო მეგობრებო,

პრობლემა, რომლის განხილვასაც ეძღვნება თქვენი კონფერენცია, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით, ისე ლოკალურად, ამა თუ იმ რეგიონისათვის. ლაპარაკი ხომ იმაზეა, რომ ადამიანი სიყმაწვილიდანვე ვაზიაროთ მსოფლიო კულტურას, რათა სამომავლოდ არასოდეს გახდეს ომის მოსურნე, იყოს ჰუმანისტი, ძალადობის, რასობრივი შეუწყნარებლობისა და ეთნიკური განსაკუთრებულობის დამგმობი მოქალაქე.

ნიშანდობლივია, რომ კონფერენციის ადგილად იუნესკომ თბილისი შეარჩია. ეს, ჩვენი აზრით, შემთხვევითი როდია. 1995 წლის ივნისში სწორედ საქართველოს დედაქალაქში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის წინააღმდეგ" და თქვენი კონფერენციაც ხომ ფორუმის მონაწილეთა მთავარი იდეის უშუალო გაგრძელება და განვითარებაა, რომელიც აისახა ტოლერანტობისა და ადამიანთა საყოველთაო ურთიერთგაგების განმტკიცების პროგრამაში.

ცხადია, რომ თქვენს აზრთა ურთიერთგაზიარებას უთუოდ შეუწყობს ხელს ის გარემოება, რომ მრავალეროვანი საქართველოს სასწავლებლებში ქართულის გარდა სწავლება მიმდინარეობს რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე, ივრითზე, სპარსულ, თურქულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ ენებზე.

საქართველოს სკოლებში ტრადიციად დამკვიდრდა „მშვიდობის გაკვეთილები".

ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ქართველ ხალხში თავისთავად ვერ შეიქმნებოდა. მას ჩამოყალიბება, მოვლა და განმტკიცება სჭირდებოდა სისხლისმღვრელი ომებისა და უცხოელ დამპყრობელთაგან რბევა-თარეშის უმძიმეს პირობებში.

დღეს ისტორიულად შესისხლხორცებული ტოლერანტობა და, თამამად შეიძლება ითქვას, მშვიდობის კულტურაც ჩვენი ხალხის ყოფის, ქცევის, ზნეობისა და ცნობიერების განუყოფელი ნაწილია და ყოველივე ეს მოგვაპოვებინეს ჩვენმა პედაგოგებმა, რომლებიც თავის აღსაზრდელებს ყმაწვილობიდანვე უნერგავდნენ ადამიანთა ურთიერთობისა და თანამეგობრობის ამაღლებულ იდეებს.

სწორედ ამ კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება საქართველოს ინიციატივა „მშვიდობიანი კავკასიისათვის", რომელსაც ჩვენს რეგიონში სტაბილურობისა და სიმშვიდის დამკვიდრებას ვუკავშირებთ.

ტოლერანტობა, მოყვასისადმი სიყვარული არ შეიძლება მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის, ამა თუ იმ ხალხის დამახასიათებელი იყოს. ყოველივე ეს უნდა იქცეს ხალხთა და სახელმწიფოთა თანაცხოვრების პრინციპად, თითოეული ადამიანის არსებობის წესად.

სიყვარული არავის არ ჩაგრავს და არავის არ ამცირებს.

სწორედ ტოლერანტობამ, მოყვასის სიყვარულმა უნდა გააერთიანოს და გაათანაბროს ამ ქვეყნად ადამიანები.

ეს დროის უმთავრესი მოთხოვნაა.

თქვენ შეიკრიბეთ თბილისში, რათა ერთმანეთს გაუზიაროთ აზრები და შეიმუშაოთ ნორჩ თაობასთან მუშაობის ის მეთოდები, რომლებიც თანამედროვეობის ამ მოთხოვნებს უპასუხებენ.

ყოველ თქვენგანს საკუთარი გამოცდილება და უნარ-ჩვევები გაქვთ, და თუ მათ ჩვენს სინამდვილეს შეუფარდებთ, პასუხს გასცემთ მრავალ პრობლემასა და კითხვას.

სულ მალე თქვენი დღევანდელი აღსაზრდელნი 21-ე საუკუნეში შეაბიჯებენ სრულუფლებიან მოქალაქეებად:

დაე, მათ მშვიდობისა და ბედნიერების გზით ევლოთ, გზით, რომელსაც ყოველი თქვენგანი მომავლისკენ გაკვალავს!

ბატონ ფედერიკო მაიორის მისალმება

იუნესკოს სახელით გულითადად მივესალმები „მრავალეროვანი საზოგადოების პირობებში სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების" საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს.

უაღრესად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას ეძღვნება თქვენი კონფერენცია, რომელიც არის „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის წინააღმდეგ" 1995 წლის ივლისში თბილისში გამართული საერთაშორისო ფორუმისა და იქ მიღებული მოქმედების პროგრამის გაგრძელება. იუნესკო, რომლის ეგიდითაც მიმდინარეობს ეს კონფერენცია, სიამოვნებით უწევს მას მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერას, როგორც „მშვიდობისა და ტოლერანტობისათვის, კულტურათა დიალოგისათვის" პროექტის განვითარების კონკრეტულ ღონისძიებას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის, რაც მოიწონეს იუნესკოს გენერალური კონფერენციის 28-ე სესიაზე. ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ თბილისის ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ინიციატივას, ასეთი კონფერენცია გამართულიყო საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიასთან, საქართველოს „დემოკრატიისა და აღორძინების" (ედუარდ შევარდნაძის ფონდი) ფონდთან და იუნესკოს სამდივნოსთან ერთად, ფართო გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო თავად საქართველოში, არამედ სომხეთში, აზერბაიჯანსა და კავკასიის სხვა რეგიონებშიც, აგრეთვე ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში.

ეს იმას მოწმობს, რომ თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ტოლერანტობის, ადამიანის უფლებათა, მშვიდობისა და დემოკრატიის სულისკვეთებით სწავლება. თუ რაოდენ საჭიროა გაძლიერდეს ფუნდამენტური ღირებულებანი და იდეალები განათლების მეშვეობით, ახლახან აღინიშნა იუნესკოს განათლების საკითხთა საერთაშორისო ბიუროს მიერ მოწყობილ განათლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1996 წლის ოქტომბერში გაიმართა ჟენევაში, შვეიცარიაში.

ცოდნა და სხვათა გაგება მშვიდობის გასაღებია. იუნესკო მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა:

ჩვენი ბავშვები და ახალგაზრდობა აღვზარდოთ სხვა ადამიანების გულგახსნილობისა და ურთიერთგაგების, მათ მრავალფეროვან კულტურასთან, ისტორიასა და ყველა ადამიანისათვის საერთო ჰუმანურობასთან ზიარების სულისკვეთებით;

განვუმარტოთ მათ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს უარი თქვან ძალმომრეობაზე და გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებები უთანხმოებებისა და კონფლიქტების გადასაწყვეტად;

ჩავუნერგოთ ახალგაზრდა თაობებს ალტრუიზმის, გულგახსნილობისა და სხვებისადმი პატივისცემის, სოლიდარობისა და თანაზიარობის გრძნობები და უნარი აღიარონ ადამიანის მრავალმხრივობა სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ პირობებში.

მასწავლებლები უაღრესად დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ბავშვების აღზრდაში, რომლებიც თავის მხრივ, უამრავ კულტურულ ტრადიციებს წარმოადგენენ. მასწავლებლებსაც, ისევე როგორც მოსწავლეებს, სჭირდებათ მომზადება არა მარტო დასაწყისში, არამედ მთელი მათი პროფესიული საქმიანობის მანძილზე — მშვიდობის კულტურისა და სხვა რელიგიების, ეროვნებებისა და კულტურებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

იუნესკო მხარს უჭერს საქართველოს მასწავლებლებისა და კავკასიის სხვა რეგიონების მასწავლებლების მტკიცე ძალისხმევას სასკოლო პროგრამებში შეიტანონ სწავლება შემწყნარებლობის სულისკვეთებით. ამ ძალისხმევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ქვეყნებში განათლების დარგში მიმდინარე რეფორმების პირობებში, აგრეთვე გამწვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა რთული პირობების ფონზე, რომლებშიც ეს რეფორმებიც ხორციელდება. ბევრი ქვეყნის განათლების სისტემას სჭირდება სასწრაფო მოდიფიკაცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, სწავლების ინოვაციური მეთოდების მოდერნიზაციასა და დანერგვაში და დგანან იმ გზების ძიების ამოცანის წინაშე, თუ როგორ მოამზადონ უკეთ მოსწავლენი ცხოვრებისათვის სწრაფად ცვალებად თანამედროვე მსოფლიოში. ამავე დროს სწავლების პროცესი ხშირად ეთნიკური კონფლიქტებისა და დაძაბულობის პირობებში მიმდინარეობს.

სულ უფრო რთულდება მასწავლებლის მდგომარეობა საზოგადოებაში. ამას მოწმობს მოსწავლეთა რიცხვის ზრდა კლასებში ერთ მასწავლებელზე, პედაგოგის დატვირთვის გაზრდა და მასწავლებელთა ხელფასის შემცირება. ამ ფონზე სულ უფრო მეტ მხარდაჭერას იმსახურებს იმ მასწავლებელთა ჭეშმარიტად თავდადებული მოღვაწეობა, რომლებიც, თუმცა თავად განიცდიან საყოფაცხოვრებო და სოციალურ სიძნელეებს, მაგრამ მართავენ, ამასთან უსასყიდლოდ, სასკოლო პროგრამის დამატებით, მშვიდობის გაკვეთილებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას „ვისწავლოთ ერთად ცხოვრება". მინდა ამასთან დაკავშირებით მივულოცო „იუნესკოს ასოცირებული სკოლების" პროექტის ბაზაზე ახლახან შექმნილი „მშვიდობის კულტურისათვის იუნესკოს მასწავლებლების" საქართველოს ასოციაციის ორგანიზატორებს. იგი ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ და ზნეობრივ ფუნქციას, რადგან მასწავლებელთა და მოსწავლეთა აზრებსა და მეცადინეობას წარმართავს მშვიდობის, ტოლერანტობისა და კულტურათა დიალოგის იდეალების სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი შეხვედრა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ ინიციატივის განვითარებაში და, განსაკუთრებით იუნესკოს „მძიმე პირობებში მყოფ სკოლებთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებისათვის იუნესკოს ასოცირებული სკოლების ქსელის" ახალი პროექტის შემუშავებაში. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ თქვენი კონფერენციის გადაწყვეტილებანი და რეკომენდაციები გახდეს თქვენი და სხვა ქვეყნების მასწავლებელთა და საზოგადოებრიობის კუთვნილება, რათა ისინი იქცნენ მოქმედებისა და საქმის კონკრეტულ პროგრამებად, სხვადასხვა ქვეყნებისა და კონტინენტების დამოყვრებული სკოლების თანამეგობრობად, საერთაშორისო სტაჟირებად და ახალგაზრდობის გაცვლად. მინდა ვუსურვო თქვენი კონფერენციის ყველა მონაწილეს წარმატებანი მუშაობაში და, უწინარეს ყოვლისა, წარმატებანი მშვიდობის კულტურისა და კულტურათა დიალოგის იდეალების მატარებელ მასწავლებელთა მომზადებაში.

ვიზიტი

სერგი ბაბურინი: „ვიმედოვნებ, დიდი გაგებით მოვეკიდებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავების შესაძლებლობებს"

აჭარაში ხანმოკლე ვიზიტად იმყოფებოდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის საერთო-სახალხო კავშირის თავმჯდომარე სერგი ბაბურინი და რუსეთის საერთო-სახალხო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე „სოიუზის" ჯგუფის თანათავმჯდომარე ვიქტორ ალქსნისი. ისინი იყვნენ საწარმოებსა და დაწესებულებებში, რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის და რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების ობიექტებზე, ეწვიენ ბათუმის ნავსადგურს, გაისეირნეს ზღვაზე, დაათვალიერეს ღირსშესანიშნაობანი, ჰქონდათ შეხვედრები აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ასლან აბაშიძესთან.

მოსკოვში გამგზავრებამდე ჟურნალისტებს თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა სერგი ბაბურინმა:

— ყველაზე მთავარი ის არის, რომ აქ გავეცანი აღორძინების შესაძლებლობებს ჩვენს რთულ პირობებშიც კი, როცა მსოფლიო სიტუაციებით ან ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში არსებული სიტუაციებით წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემების დროსაც ადამიანები თავიანთ საქმეს აკეთებენ და ისე წარმართავენ ცხოვრებას, რომ იგი სასიკეთოდ იცვლებოდეს. ამ მხრივ, მოგზაურობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის საერთო-სახალხო კავშირს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, სურს კონტაქტები დაამყაროს პარტიასთან, რომელსაც მეთაურობს ასლან აბაშიძე, რადგან რუსეთმა დღეს შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს აჭარისგან, ერთი შეხედვით სხვადასხვა გაქანებისა და მასშტაბის მიუხედავად.

რით მიზიდავდა ყოველთვის ასლან აბაშიძე მანამდეც, სანამ უშუალოდ გავიცნობდი? — იმით, რომ მყარი პოზიცია უკავია თავისი თანამოქალაქეების, თავისი რესპუბლიკის დაცვაში, ფაქიზად ეკიდება აჭარის, საქართველოსა და მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის წარსულს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა. იგივეს ვერ ვიტყვი რუს პოლიტიკოსებზე, რომლებიც მხოლოდ ეს ბოლო წელიწადნახევარი-ორი წელია, რაც ხვდებიან, რომ საჭიროა ფაქიზად და სათუთად მოეკიდო ისტორიას, აწმყოს, თორემ უამისოდ არ იქნება მომავალი. სწორედ ეს არის ამ მოგზაურობისადმი განსაკუთრებული ინტერესის მიზეზიც. სინამდვილეში ჩვენ ეს-ეს არის დავიწყეთ ერთმანეთის გაცნობა, მაგრამ ეს ხანმოკლე ვიზიტიც დიდ საზრდოს იძლევა ფიქრისა და განსჯისათვის. მოგზაურობით, რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ.

რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას, თუ უფრო ზუსტად გამოვხატავ სათქმელს, და არც მაინც და მაინც დიპლომატიურად, აღვნიშნავ: მივემგზავრები აქედან იმ იმედით, რომ ეს ურთიერთობა მართლაც სასიკეთოდ შეიცვლება. დეკორატიული სიტყვების მიღმა, რომლებსაც ხშირად წარმოთქვამენ როგორც ქართველი, ისე რუსი პოლიტიკოსები, არის მაინც ის საფუძველი, რომელიც აქ, აჭარაში, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს. და, ვიმედოვნებ, რომ ახლა ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, რუსი პოლიტიკოსების ის ნაწილი, რომელიც იზიარებს ჩემს პოზიციებს, დიდი გაგებით მოვეკიდებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავების შესაძლებლობებს.

მე დამაკმაყოფილა აჭარის ხელმძღვანელობის პოზიციამ იმით, რომ არა მარტო აჭარა, არამედ მთლიანად საქართველო ყოველთვის უნდა იყოს რუსეთის მოძმე რესპუბლიკა და მეგობარი.

თამაზ გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

კახა ჩიტაია: „საქართველო - რუსეთის ურთიერთობის განვითარება-გაღრმავებას ალტერნატივა არ აქვს"

როგორც ცნობილია, ამ დღეებში საქართველოს ეწვია რუსეთის ფედერაციის ორი მეტად წარმომადგენლობითი დელეგაცია. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს კახა ჩიტაიას კომენტარი გაეკეთებინა ამ ვიზიტებისათვის.

— უწინარეს ყოვლისა, თქვა მან, მინდა კმაყოფილება გამოვთქვა, რომ ჩვენი რუსი სტუმრები ჩამოვიდნენ საქართველოში. ერთ-ერთი დელეგაცია ეწვია აჭარის დედაქალაქ — ბათუმს, და თუ მისი წევრების შთაბეჭდილებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი ძალზე კმაყოფილი არიან იმით, რაც ნახეს და იგრძნეს ხანმოკლე ვიზიტის დროს.

უნდა მოგახსენოთ, აღნიშნა კახა ჩიტაიამ, რომ დიდი ხანია, ველოდით რუსი კოლეგების სტუმრობას. ამისთვის ვიღვწოდით ახალი პარლამენტის მუშაობის პირველი დღეებიდანვე, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენი ურთიერთობის დონე არ აკმაყოფილებს დღის მოთხოვნებს და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს ურთიერთობა იმ სიმაღლეზე ავიყვანოთ, რომელიც შეესაბამება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების თვისებრივად ახალი ურთიერთობის პარამეტრებს.

ამასთანავე, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ბატონმა ბაბურინმა ამჯერად ვერ მოახერხა თბილისში ჩამოსვლა. ჩვენ იგი მოვიწვიეთ, მან მადლობა გადაიხადა ამ მოწვევისათვის, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მალე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე მაინც გამონახავს საშუალებას, რათა ეწვიოს საქართველოს დედაქალაქს.

კახა ჩიტაიამ ილაპარაკა სტუმრების შთაბეჭდილებებზე და აღნიშნა, რომ სხვა რამეს არც მოელოდა, რადგან, ყველასათვის ცხადია ის პოზიტიური ცვლილებები, წარმატებები, რომლებსაც მიაღწია აჭარამ ცხოვრების, სახელმწიფო მშენებლობის ბევრ სფეროში. როგორც საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, ბევრ პოლიტიკოსს როგორც საქართველოში, ისე რუსეთში ესმის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ კონტაქტებს, რადგან ისინი ხელს უწყობს ჩვენი ხალხების სწრაფვას ორივე სახელმწიფოს საკეთილდღეო ურთიერთობის განვითარებისაკენ.

კახა ჩიტაიას აზრით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ასეთივე შთაბეჭდილებებით წავიდეს საქართველოდან რუსეთის ფედერაციის მეორე მეტად წარმომადგენლობითი დელეგაცია. მხედველობაში მყავს, თქვა მან, რუსეთის ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი ალექსანდრე ლივშიცი, სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის „ნაშ დომ — როსსია" ლიდერი სერგი ბელიაევი, პრეზიდენტის საბჭოს წევრი სერგი კარაგანოვი და „წინანდლის საუბრების" სხვა მონაწილენიც, რომლებიც ეწვივნენ თბილისს, კახეთს. საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, გამართული შეხვედრების, გულახდილი დიალოგების სულისკვეთებით არის გამსჭვალული წინანდლის მოწოდებაც „ურთიერთგაგებისა და ნდობისათვის", რომელიც მიიღეს სიმპოზიუმის „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა: ისტორია, პრობლემები, პერსპექტივა" მონაწილეებმა.

ჩვენთვის, აღნიშნა მან, დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი დონის ნებისმიერ შეხვედრას, რადგან, ვფიქრობ, რომ ესოდენ უშუალო, პირდაპირი კონტაქტების შემდეგ ჩვენი სახელმწიფოების წინაშე მდგომი საკითხების გადაწყვეტა, როგორი რთულიც უნდა იყოს ისინი, ნაკლებ პრობლემური ხდება.

კახა ჩიტაიამ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში, უკვე ნოემბრის პირველ დეკადაში თბილისში ჩამოვა რუსეთის ფედერაციის კიდევ ერთი წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, სახელმწიფო სათათბიროს წევრები, ამ ქვეყნის მთელი რიგი მხარეებისა და ოლქების ადმინისტრაციების მეთაურები, 12 ნოემბრისათვის კი დანიშნულია საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი მოსკოვში მისი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას მეთაურობით.

როგორც კახა ჩიტაიამ თქვა, ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში აშკარად ისახება ჩვენი ურთიერთობის განვითარების, პირდაპირი კონტაქტების გაფართოების უდიდესი მნიშვნელობის გააზრების ახალი ეტაპი. მისი აზრით, ეს უთუოდ ხელს შეუწყობს შემდგომ მტკიცე მოძრაობას ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების უფრო ღრმა გაგებისა და ორმხრივი ინტერესების საფუძველზე მათი უსწრაფესი გადაჭრის მიმართულებით.

საქინფორმი.

თანამშრომლობა

წინანდლის მოწოდება „ურთიერთგაგებისა და ნდობისათვის"

(დასასრული)

ხელი შეუწყონ კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებას, აფხაზეთში (საქართველო), ცხინვალის რეგიონსა და ჩეჩნეთში არსებული კონფლიქტების მოწესრიგებას მშვიდობიანი გზით, საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის ფარგლებში.

ჩვენ მოვუწოდებთ:

ყველას, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა მომავალი ახალგაზრდა თაობისათვის, აღზარდონ ბავშვები და ახალგაზრდობა გულღიაობის და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით, აზიარონ ისინი ტოლერანტულობის იდეალებს, როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები;

ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობამ — განამტკიცოს ურთიერთგაგება და მეგობრობა თანატოლებთან, შეისწავლოს ჩვენი ხალხების ენები და კულტურა, დააფასოს და პატივი სცეს კულტურათა სხვადასხვაობას, როგორც ჩვენ საერთო სიმდიდრეს;

ჟურნალისტებმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებმა — გამოიჩინონ პირადი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების გაშუქებისას, არ დაუშვან უპატივცემლობის, შეურიგებლობის გამოვლინება და ფაქტების წინასწარი დამახინჯება;

საქმიანმა სამყარომ — ბიზნესმენებმა, ბანკირებმა, სამრეწველო საწარმოებმა და ასოციაციებმა — ყოველმხრივ განავითარონ ეკონომიკური კავშირურთიერთობა, მთლიანად გამოიყენონ ჩვენი ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე და მათ ეკონომიკათა ურთიერთშევსებადობა;

მოვუწოდებთ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, რათა მათი ინტელექტუალური და ზნეობრივი ავტორიტეტი იქნეს გამოყენებული ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ;

მივმართავთ თხოვნით რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ წამოჭრილი პრობლემების გულდასმით განხილვას მათი გადაჭრისათვის რეალური და კონკრეტული ნაბიჯების განსაზღვრისა და იმ პრინციპების განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც შეიცავს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ", აგრეთვე ხელმომწერ მხარეებს შორის ნაკისრი სხვა ვალდებულებანი. დარწმუნებული ვართ, რომ კეთილი ნებისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნები შეძლებენ არსებული უთანხმოების დაძლევასა და ორმხრივი თანამშრომლობის პოტენციალის გამოყენებას ორივე ქვეყნის ხალხების საკეთილდღეოდ.

სიმპოზიუმის მონაწილეები გულითად მადლობას უხდიან „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს", მის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მინიჭებული შესაძლებლობისათვის ორმხრივი ნდობის ვითარებაში განეხილათ რუსეთ-საქართველოს საჭირბოროტო პრობლემები.

მიღებულია 1996 წლის 26 ოქტომბერს „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ისტორია, პრობლემები, პერსპექტივა" — „წინანდლის საუბრები" მონაწილეთა მიერ.

თბილისი-წინანდალი,
1996 წლის 25-27 ოქტომბერი.

კომისია

არავის არაფერს დავაბრალებთ, მაგრამ რაც არ ერგება, არ შევარგებთ

–ამბობს გიორგი ბარამიძე, საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.

ვინც მას იცნობს, იცის, რომ იგი სიტყვებს არც ყასიდად ამბობს არც საკეკლუცოდ, უბრალოდ, სჯერა, საქმე, რომელიც მას ჩააბარეს, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეა და არ ელალატება.

კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საპარლამენტო კომისია წლეულს 8 მარტს, საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლისა და საქართველოს კანონის – „საქართველოს პარლამენტის დროებით. საგამოძიებო კომისიის" საფუძველზე შეიქმნა და პრინციპული მიმართულებითაც მუშაობს. უკვე საკმაოდ გახმაურდა ყოფილ თუ ამჟამინდელ თანამდებობის ზოგიერთ პირთა მუშაობაზე კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნები, რომ ისინი, არა მარტო არ შეეფერებიან დაკავებულ თანამდებობას, არამედ არსებობს საფუძველი მათი სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.

ამგვარი მიდგომა პირველი პრეცენდენტია ქვეყანაში, და საკმაოდ მრავლად გამოჩნდნენ კიდეც მოქირქილენიც: ერთი ჩვეულებრივი ინჟინერ-ქიმიკოსია, რა შეუძლია, რისი გამკეთებელიაო, ამბობენ. მათში ზოგიერთი ქრონიკული ობივატელია, ზოგიც ურწმუნო თომა, ზოგიერთს კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სჯერა, რომ ხელისუფლებაში საკუთარი ავტორიტეტი, ფული და გავლენიან ნაცნობთა ფართო წრე ის ყოვლისშემძლე თილისმაა, მათ უზრუნველ ცხოვრებას რომ განაპირობებს.

გიორგი ბარამიძე კი მარტო არ არის. კომისია, რომელსაც იგი თავმჯდომარეობს, 17 წევრს ითვლის (მათ შორის 9 საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელია), კომისია ერთიანი, შეკრული და უკომპრომისო ძალაა, რომლის უპირველესი, ძირითადი მოვალეობაა ებრძოლოს ქვეყანაში მომძლავრებულ კორუფციას, რომელიც კარგა ხანია დაუნდობლად ხრავს ქვეყანას, და დაეხმაროს ხელისუფლებას ამ კურსის განხორციელებაში, რომელსაც ადგას.

„დროებითი საგამოძიებო კომისიის" კანონი უფლებას აძლევს კომისიას, მიიღოს მისთვის საჭირო რთული სახის ინფორმაცია იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან, აგრეთვე, სახელმწიფოს სამართალდამცავი სტრუქტურებისა და მაკონტროლებელი ორგანოებისაგან.

კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს და წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას ნებისმიერ პირს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი ან თავის არიდება და სიცრუე საკმაოდ მკაცრ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია: ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციის ფაქტების გამოვლენა და ისეთი პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს ე. წ. „ხელშეუხებელი" თანამდებობის პირების არსებობას ქვეყანაში; საკანონმდებლო რეკომენდაციებისა და კორუფციასთან ბრძოლის ერთიანი პროგრამის შემუშავება; ხელი შეუწყოს ეკონომიკური რეფორმების, კერძო ბიზნესის განვითარებას, დააწესოს მაქსიმალური კონტროლი სახელმწიფო ბიუროკრატიული მანქანის მოქმედებაზე.

ასეთი კომისიის მუშაობის გამოცდილება საქართველოში არ არსებობს, პრეცენდენტი ახლა იქმნება და მას სათავეში უდგას უაღრესად პრინციპული და შეუპოვარი 28 წლის კაცი გიორგი ბარამიძე.

საშუალო განათლება თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში მიიღო, დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტი და მუშაობდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა საკითხების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსად. მწვანეთა პარტიის სიით აირჩიეს წინა პარლამენტის წევრად. არის მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და, დაარსების დღიდან, თავმჯდომარის მოადგილეა. შარშან გერმანიაში დაამთავრა ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ჩარჩოებში შექმნილი ევროპის უსაფრთხოების საკითხთა და თავდაცვითი ეკონომიკური ცენტრი. ამჟამად არის დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის წევრი უცოლშეილი.

მიაჩნია, ეთნოკონფლიქტების შემდეგ საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეული და მწვავე პრობლემა ფესვგამდგარი კორუფცია და სამართალდარღვევათა მაღალი დონეა.

– ჩვენს პატარა, მაგრამ ლამაზი და დიდი პოტენციის მქონე სამშობლოს ბატონ-პატრონები ვართ. ამიტომაც თავიდან ბოლომდე ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ქვეყანას დავუტოვებთ შთამომავლობას. – **ამბობს იგი და განაგრძობს,** – პროცესი, რომელიც წამოვიწყეთ, არ შეჩერდება, – არავის ვპატიებთ, თუკი რაიმე აქვს ჩადენილი სახელმწიფოსა და ხალხის საწინააღმდეგოდ. პირველ რიგში, ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა უნდა იგრძნონ მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა, იცოდნენ: დღეს იქნება თუ ხვალ, თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის კანონის ძალით მოეთხოვებათ პასუხი, რომ დაუსჯელი პიროვნება დღეს არ არსებობს.

– ერთია, ეჭვი გქონდეს ადამიანზე, მოარული ხმები დადიოდეს მის კორუმპირებულობაზე, მეორეა, დაუსაბუთო ბრალეულობა.

– ამიტომაც ფრთხილობს კომისია, ხელაღებითა და ჰაიჰარად არაფერი გაგვაქვს სამსჯელოდ, მაგრამ ვცდილობთ, აქტიური და პრინციპულები ვიყოთ იმათ მიმართ, ვინც კი კორუფციაში აღმოჩნდება გარეული. ჩვენთვის თანამდებობრივი იმუნიტეტი არ არსებობს.

ძირითადად ვსწავლობთ იმ საკითხებს, რომლებმაც ქვეყნისთვის, მისი ეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოებისათვის არის მნიშვნელოვანი. უკვე მოგვიხდა შეჯახება ზოგიერთ საკმაოდ გავლენიან, ავტორიტეტულ პიროვნებებთან. მათ, ირგვლივ, შეძლებულ-გავლენიანთა ფართო წრეც აკრავთ და დიდი ფინანსური საშუალებებიც აქვთ. ლოგიკა კი ასეთია: რასაც ვაკეთებდით, შეიძლება დარღვევით, მაგრამ ეს ქვეყნისათვის სასარგებლო და აუცილებელი იყოო. არადა, ისინი ხშირად, უკიდურესად გაჭირვებული ქვეყნის ბიუჯეტისა და ხალხის თანხების ხარჯზე ითბობდნენ ხელს. გარშემო კი ქმნიდნენ ილუზიას, რომ ისინი თავდაუზოგავად იღვწიან სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურში. რაც შეეძლოთ აკეთებდნენ და ახლა, როცა მათი გაწეული შრომისთვის მადლობას ელოდნენ, დასჯასაც კი უპირებთ თურმე.

ბრალეულობის დასაბუთებაზე გეტყვით: კომისია გამოძიებას პროცესუალური თვალსაზრისით არ აწარმოებს. ამას აკეთებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, უშიშროების სამსახური. ჩვენ მათთან ვთანამშრომლობთ და მათი დახმარებით მივყავს ნებისმიერი საქმე. ჩვენი კომპეტენციიდან გამომდინარე, უფლება გვაქვს: გარკვეული კოორდინაცია გავუწიოთ სამართალდამცავთა მოქმედებას, თვალყური ვადევნოთ, რომ მნიშვნელოვანი საქმე არ მიიჩქმალოს, რადგან არ არის დასამალი, რომ იმას, ვისაც ეხება საქმე, იცავენ მის გარშემო მყოფი პოლიტიკური, კრიმინალური თუ ფინანსურად ძლიერი წრეები, ცდილობენ ახალ კორუფციაში ჩაითრიონ ისინი, ან დააშინონ ან დააინტერესონ, ვის ხელშიც საქმის წარმოებაა. ეს რომ არ მოხდეს, ამას ემეთვალყურეობით და ზეწოლისაგან ვიცავთ მათ, როგორც კი ვიგრძნობთ მსგავს რაიმეს, საშკარაოზე გამოგვაქვს და დარტყმის პასუხისმგებლობასაც ჩვენ ვკისრულობთ. ჩვენთან ჭიდილი გაცილებით ძნელია, რადგან კომისია ერთი უწყება არ არის, იგი პარლამენტისა და პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი სტრუქტურაა. და, მადლობა ღმერთს, იმათგან მხარდაჭერასაც მუდმივად ვგრძნობთ. რომ არა ეს მხარდაჭერა, სერიოზული, პოლიტიკური ნება იმისა, რომ ქვეყანაში რეალურად გამოეცხადოს ბრძოლა კორუფციას, პრაქტიკულად, ვერაფერს გავაკეთებდით.

ერთი სიტყვით, მეთვალყურეები ვართ და ამიტომაც ეწყობა ჩვენთან ამა თუ იმ თანამდებობის პირთა საკომისიო მოსმენები, რომლებსაც, იძულებული ვართ დავუსვათ არასასიამოვნო, მწვავე შეკითხვები. ამის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მიერ შეკრებილი მასალები, დასკვნებით, სამართლებრივი შეფასებისათვის ეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს. თუ საკითხი ამჟამინდელ ხელმძღვანელ მუშაკს ეხება, დასკვნას ეგზავნებით პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას, საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელს.

– და, მაინც, როგორ შეირჩევა კომისიის შესასწავლი საქმე?

– ინფორმაციას თვითონ მოვიპოვებთ ან კერძო პირისგან, ან პრესით, ან ვიღებთ დავალებას საქართველოს პარლამენტიდან და თუ მივიჩნევთ, რომ საკითხი საგანგაშოა, ვიწყებთ შესწავლას, როგორც წესი, მივმართავთ სამართალდამცავ ორგანოებს, ვიკრიბებით, ვთათბირობთ რომელი ორგანოს კომპეტენციაა და ვამტკიცებთ კოლეგიაზე. უწყებას, რომელსაც საკითხის შესწავლა დაევალება, მხარში ვუდგებით.

უკვე ქონდა გამოძახილი კომისიის მუშაობას. მისი დასკვნის შემდეგ გაუქმდა ერთი უკანონო სტრუქტურა – თბილისის სალიცენზიო პალატა. კომისიის შენიშვნების საფუძველზე და საქართველოს პროკურატურის მსჯელობისა და საკითხის შესწავლის შემდეგ თანამდებობიდან გათავისუფლდა რუსთავის პროკურორი, რადგან მნიშვნელოვან სამართალდარღვევაზე ცხრა თვის განმავლობაში არ აღძრა საქმე. ამგვარი ფაქტი, სამწუხაროდ, ჩვენში ბევრია და იმიტომაც არის, ასე ღრმად გამჯდარი უმრავლესობაში დაუსჯელობის გრძნობა, – ასე სჯერა კომისიის თავმჯდომარეს.

ჩვენში თანამდებობრივი იმუნიტეტი არ არსებობს, თქვა მან საუბრის დასაწყისში. იქნება ამიტომაც გააღიზიანა ზოგიერთი კომისიის დასკვნებმა და ამბობენ: ეს ახალგაზრდა ძალიან ბევრს კისრულობსო. არადა, გიორგი ბარამიძეს სჯერა: დღეს საქართველო სისხლს იცლის, 21-ე საუკუნეში სრულიად ჯანსაღმა რომ შეაბიჯოს და თუ მე ამ საქმეში ჩემი წილის გაღებას ვცდილობ და ეს ვინმეს ზედმეტად მიაჩნია, გამოდის, ჩვენ ისევ ძველებურად ვაზროვნებთ. ასე კი, როგორც იტყვიან, ვერ გაფრინდებით.

– ჩვენი ქვეყანა რომ ხალხის კეთილდღეობის დევიზით, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად, წლების მანძილზე უმოწყალოდ იძარცვებოდა, ფაქტია. და ამას ხომ კონკრეტული პიროვნებები ჩადიოდნენ. – ამბობს ბატონი გიორგი. პასუხისმგებლობის დრო აღარ დადგა? არ უნდა მოეკითხოთ?

– წინასწარ არავის არაფერს დავაბრალებთ, ეს ჩვენი მუშაობის სტილი არ არის. მაგრამ იმას, რაც არ ერგებათ, არ შევარგებთ და დაუმსახურებლად არც არავის ველაპარაკებთ, რომ თითქოსდა ქვეყნის აღმშენებლობაში გადაცქელეფოდეთ მუხლები.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

თვალსაზრისი

სახელმწიფომ ღამის დარაჯის ფუნქცია უნდა შეასრულოს!

ადამ სმიტის ამ ფრთიან გამონათქვამში მთლიანად არის აკუმულირებული სახელმწიფოს ფუნქცია ქვეყნის აღმშენებლობაში. და თუ ამ აქსიომური ჭეშმარიტებით ვიხელმძღვანელებთ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ), ურთიერთობაში საქართველოს პოლიტიკა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა ერთობლივ, შეჯერებულ გადაწყვეტილებებს უნდა ემყარებოდეს და წარმოების ადგილობრივ ინტერესებს ითვალისწინებდეს.

სსფ-სთან თანამშრომლობა საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის გარკვეულ შეზღუდვას მოითხოვს. ეს არის ფულად-საკრედიტო და საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საკანონმდებლო აქტების, საბაჟო გადასახადების რეგულირება და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ გარკვეული გარანტიების და კონტროლის გარეშე არათუ მარტო სსფ, არამედ არცერთი სხვა საფინანსო ორგანიზაცია არ აღმოუჩენს ამა თუ იმ ქვეყანას მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას.

სსფ-ის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოში ტარდება მკაცრი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა. ამავე დროს უკანასკნელ პერიოდში წარმოიშვა შოკის მდგომარეობიდან გამომავალი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისა და დაცვის ობიექტური აუცილებლობა, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ამ პოლიტიკას. კერძოდ, როგორია ეს წინააღმდეგობები?

პირველი: სსფ-ის რეკომენდაციით დაწესებული საგადასახადო განაკვეთები მნიშვნელოვნად ავიწროებს სამამულო წარმოების პროდუქციას და კონკურენტუუნაროს ხდის მას იმპორტული წარმოების ანალოგიურ ნაწარმთან მიმართებაში. ამ მიზეზების გამო რიგი ტრადიციული დარგების (მევენახეობა, ლუდისა და თამბაქოს წარმოება და სხვა) საწარმოები იძულებული ხდებიან შეწყვიტონ ფუნქციონირება. ამის გამო კი მათთან ერთად ზარალდება ბიუჯეტიც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნები წარმოების ადგილობრივ სპეციფიკას უნდა ითვალისწინებდეს

მეორე: გარკვეულ წრეებში არსებობს უფრო რადიკალური აზრიც, რომლის თანახმადაც სსფ-სთან თანამშრომლობაში საჭიროა მეტი სიფრთხილის გამოჩენა. მათი შეხედულებით, სსფ- შესაძლოა ასრულებდეს მსხვილი კომპანიების დაკვეთებს, რომლებიც ინტერესში საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოება, რიგი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მოპოვება, მათი სამომხმარებლო ბაზრად გადაქცევა. ეს აზრი უფრო ხშირად ფიგურირებს რუს ეკონომისტთა შორის.

საკითხის ასე კარდინალურად დაყენება, ჩვენი აზრით, არამართებულია, თუმცა ასეთი საშიშროების არსებობა ობიექტურად მოითხოვს გამაფრთხილებელი ღონისძიებების განხორციელებას, რის გამოც სსფ-ს, სამთავრობო სტრუქტურებს, მეწარმეებსა და ბიზნესმენებს შორის გამართულმა ხშირმა დებატებმა დაფიქრებისა და განსჯის სერიოზული საფუძველი შექმნა.

სსფ-ს წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს და უსაფუძვლოდ მიიჩნიეს მეწარმეთა მიერ დაყენებული პრეტენზიები, მაგრამ არც მეწარმეებს აკმაყოფილებს მათი პოზიციის უარმყოფელი პასუხები.

სსფ-ს მიდგომის პრინციპები, რომელსაც საფუძვლად უდევს „წმინდა" საბაზრო ეკონომიკის კლასიკური მეთოდები, იდენტურია ცალკეული ქვეყნებისა და დარგების მიმართ. სსფ-ის შეხედულებით ნებისმიერი დარგი თუ საწარმო, რომელიც კონკრეტულ გარემოში არაეფექტიანია, ან არ უნდა ფუნქციონირებდეს, ან უნდა შეცვალოს საქმიანობის სფერო. ერთი მხრივ, ასეთი მიდგომის უარყოფა თითქოს შეუძლებელია, რადგანაც იგი ეკონომიკურ კანონებს ეფუძნება. მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია უგულებელვყოთ იმის აუცილებლობა, რომ საქართველომ და ქართველმა მეწარმემ თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდრონ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, რაც აგრეთვე ეკონომიკურ კანონებს ეფუძნება.

ამიტომ სსფ-ს რეკომენდაციები (მკაცრ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებით) გაცილებით ეფექტიანი აღმოჩნდება, მათ პარალელურად სტრატეგიულ დარგებში პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ფინანსურად და მატერიალურად დაბალანსებული პროგრამები რომ მოქმედებდეს.

ამრიგად, საგადასახადო განაკვეთებთან დაკავშირებით არსებულ წინააღმდეგობას უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით წარმოგვიდგება. სამამულო წარმოების წაუხალისებლად ქვეყანაში ფინანსური და ეკონომიკური სტაბილიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია მეწარმეთა მიერ დაყენებული საკითხების ხელაღებით იგნორირება.

სსფ-მა, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ფუნქციონირებს, არაერთხელ შეიტანა კორექტივები თავის მიდგომებსა და პრინციპებში, გამოიკვეთა განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები. მაგრამ საქართველოს მიმართ სსფ-ს პოლიტიკაში ნაკლებად გაითვალისწინება ისეთი უმნიშვნელოვანესი მომენტები, როგორიცაა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სპეციფიკა და ეკონომიკური პრიორიტეტები, აგრეთვე კონკრეტულ შემთხვევაში სტაბილიზაციის პროგრამების შემუშავების აუცილებლობა და მათი განხორციელების მოსალოდნელი შედეგები. ამიტომ გადამწყვეტი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებსაც სსფ-სთან თანამშრომლობის პროგრამების შემუშავება და განხორციელებისადმი ზედამხედველობა ევალებათ. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვარწმუნებს, რომ დაუძლეველი ზღუდეები არ არსებობს. ბატონ ს. ფიშერის ვიზიტმა, მასთან გამართულმა შეხვედრებმა და ქართველ მეწარმეთა მიერ დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებულმა დისკუსიებმა სსფ-ს პოლიტიკაში გარკვეული კორექტივები შეიტანა (მომზადებულია პროექტი საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის, დღგ-ს შესახებ და სხვა).

გადასახედია საწარმო დანიშნულების ნედლეულზე, დამხმარე მასალებსა და ტექნოლოგიებზე საიმპორტო გადასახადების (საბაჟო, აქციზი, დღგ) ერთიანი რეჟიმის განხორციელება ამიერკავკასიის ქვეყნებში. ამ პარამეტრებს შორის დღეს არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება იწვევს „ჩრდილოვანი" ეკონომიკის გაძლიერებას, რითაც მნიშვნელოვნად ზარალდება ბიუჯეტი.

საქართველო მარცვლეული კულტურებისა და ვაზის სამშობლოა. ამასთან მარცვლეული აღიარებულია მსოფლიოს ნომერ პირველ პრობლემად. ჩვენთვის ასევე უმნიშვნელოვანესია მევენახეობის განვითარება. სწორედ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით მარცვლეულის და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების აუცილებლობა მარტო საქართველოს ინტერესებით არ არის განპირობებული.

სოფლის მეურნეობის რაციონალური დარგობრივი სტრუქტურისა და სასურსათო უსაფრთხოების ათვლის წერტილი მარცვლეულის (უპირატესად ხორბლის) ოპტიმალური პარამეტრების დადგენით იწყება. ეს აქსიომაა.

სწორედ ამიტომ სსფ-სთან, მსოფლიო ბანკთან თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებლობა და სარგებლიანობა არ უნდა იწვევდეს გამოუსწორებელი ხასიათის შეცდომებს და მიიმართებოდეს მხოლოდ სტრატეგიული დარგების დაფინანსებისადმი.

ამჟამად საქართველოში ვენახების ფართობი 76 ათასი ჰექტარია. ბოლო 10 წელიწადში 35 ათასი, ხოლო 20 წლის განმავლობაში 55 ათასი ჰექტარით შემცირდა. თუ უმოკლეს ვადაში რადიკალურად არ შეიცვალა დარგისადმი დამოკიდებულების პოლიტიკა, მოსალოდნელია მეღვინეობას დარჩეს მხოლოდ პირადი მოხმარების ფუნქცია, რადგან იგი შექმნილ სიტუაციაში სამრეწველო მნიშვნელობას დაკარგავს. ამ ტენდენციის გაღრმავება კი სერიოზულ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს გამოიწვევს. მევენახეობა-მეღვინეობაში შექმნილი მდგომარეობა არ შეიძლება მხოლოდ ბოლო წლების, ან რომელიმე ერთი პერიოდის შეცდომებს მივაწეროთ. ეს პროცესი თითქმის სამ ათეულ წელს მოიცავს. ჩვენი შეფასებით იგი შეიძლება სამ პირობით პერიოდად დაიყოს:

პირველი: ვენახის ფართობების დაუსაბუთებელი ზრდისა და გადაადგილების პერიოდი;

მეორე: საბჭოთა კავშირში ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ასევე დაუსაბუთებელი კამპანია;

მესამე: დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა.

პირველ ეტაპზე საქართველოში დაუსაბუთებლად იზრდებოდა ვენახის ფართობები, რასაც დაუყონებლივ მოჰყვა ნეგატიური შედეგები:

– ვენახები გაშენდა ვაზისთვის შეუფერებელ, ან ნაკლებად მისაღებ ზონებში (დამლაშებული, ბიცობი; ეროზირებული და ა. შ.);

– დაირღვა მევენახეობის გადაადგილებისა და სპეციალიზაციის ტრადიციული ზონები;

– ტრადიციული ზონებიდან ვენახის განდევნამ გამოიწვია მრავალი უნიკალური ჯიშის თანდათან გაქრობა და სამარკო ღვინის წარმოების შემცირება;

– გაშენებისა და მოვლის გეგმების შესრულების სავალდებულო ხასიათმა დააქვეითა აგროტექნიკურ სამუშაოთა ხარისხი, ხოლო ზოგიერთი აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესი თითქმის მთლიანად გამოირიცხა;

– ვენახის დაუსაბუთებელმა ექსპლუატაციამ ბუნებრივად გამოიწვია მისი დაკნინება და წარმოებიდან ნაადრევი გამოსვლა. ვენახის სიცოცხლისუნარიანობა 2-2,5-ჯერ შემცირდა.

– თანდათან გამოიკვეთა ყურძნის რეალურ ღირებულებასთან მისი სახელმწიფო შესყიდვის ფასების სრული შეუსაბამობა და ა. შ.

მეორე ეტაპზე ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულმა კამპანიამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საქართველოს მევენახეობას. ყურძნისა და ღვინის წარმოება მეორეხარისხოვანი გახდა. ფაქტობრივად ამ პერიოდმა გააღრმავა მევენახეობის დეგრადაციის პროცესი. მევენახეებს, მეღვინეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის დაიწყო გაურკვევლობის პერიოდი. შემდგომში, ამ დარგში პოლიტიკის შეცვლის მცდელობის მიუხედავად, ვეღარ მოხერხდა ვენახისადმი თუნდაც მინიმალური ყურადღების, მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერის საჭირო დონით აღდგენა.

ყურძნის წარმოებისადმი ეკონომიკური დაინტერესების შემცირება ვენახების აჩეხვასა და გამოთავისუფლებულ ფართობებზე საზამთროს, კიტრის და სხვა მაღალშემოსავლიანი კულტურების გაშენებაში გამოიხატა.

ასეთ რთულ პერიოდში აღმოჩნდა მევენახეობა მესამე ეტაპზე, რომელიც, სამწუხაროდ, ყველაზე დიდი ხარვეზებით აგრარულ სექტორში გამოიხატა: მიწის პრივატიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის არასრული განხორციელება; ღვინის სამომხმარებლო ბაზრის დაკარგვა; წარმოების ციკლისათვის აუცილებელი სერვისული სფეროს მოშლა (სასუქების, შხამქიმიკატების, საწვავ-საცხები მასალების, სათადარიგო ნაწილების უქონლობა); ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დაძველება და მათი განახლებისათვის საჭირო სახსრების უქონლობა; საფინანსო-საკრედიტო სისტემის მოშლა; ჰიპერინფლაციური პროცესების განვითარება; სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სამტრესტის) არათანმიმდევრული უსისტემო რესტრუქტურიზაცია, უფუნქციობა, სტრატეგიისა და ტაქტიკის უქონლობა; პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა; მოქალაქეთა ქონების დაუცველობა; რეგულარული სატრანსპორტო მიმოსვლის უქონლობა; სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების მიერ მოსახლეობიდან შესყიდული პროდუქციის ღირებულების გაუნაღდებლობა; პასუხისმგებელი პირებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი უნდობლობა; ღვინის ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის დაუცველობა; ღვინის ქარხნების დიქტატი ყურძნის შესასყიდ ფასებზე, რომელიც განპირობებულია პირველადი გადამუშავების საწარმოების პრივატიზაციაში მევენახეთა მონაწილეობის მიუღებლობით; ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პროფესიონალ მევენახეთა სხვა სფეროში გადასვლა და ა. შ.

აი იმ ფაქტორების არასრული სია, რომელმაც საბოლოო დარტყმა მიაყენა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას.

დასკვნა მხოლოდ ერთია – თუ პირველ ორ ეტაპზე ეს პროცესი ძირითადად ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგი იყო, დღეს იგი მიუღებელია.

პრაქტიკულად ანალოგიური მდგომარეობაა მეჩაიეობაში, რომელიც მევენახეობასთან ერთად უნდა გვაძლევდეს ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დასაქმების და შემოსავლების ძირითად წყაროს, ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისა და ე. ი. საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების რეალურ საშუალებას.

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მესვეურებს, ან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს არ აინტერესებდეთ ამ სფეროში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. აქ აზრთა სხვადასხვაობა იმ გზების და საშუალებების არჩევაში გამოიხატება, რომელთა მეშვეობითაც ვაპირებთ მის რეალიზაციას.

სახელმწიფომ მიმდინარე ეტაპზე იმგვარად უნდა მოაწესრიგოს ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, რომ გარკვეული დროით (4-5 წლით) აუცილებელი გახდეს ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგებში კაპიტალის მოზიდვა და მუშახელის დასაქმება. ეს, რა თქმა უნდა, ის დარგები უნდა იყოს, რომელთა პროდუქციას აქვს მწვანე შუქი როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. ასეთ დარგად სოფლის მეურნეობა გვესახება (მარცვლეულის მეურნეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა და სხვა). რა ექნებათ ობიექტურად საწინააღმდეგო ამ შემთხვევაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს? ვფიქრობთ, არაფერი.

დიდი ილიას სიტყვებს – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" – არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც აქვს.

პაატა კოლუაშვილი.

პრესკონფერენცია

ყოველი ჟურნალისტის სურვილია ინფორმაცია მიიღოს პირველი პირისაგან. ეს სურვილი ჟურნალისტებს აუსრულეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა, როცა ისინი 29 ოქტომბერს პრესკონფერენციაზე მიიწვიეს. საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლების წინაშე წარსდგა ბატონი კახა თარგამაძე.

მან თავისი გამოსვლა წლევანდელი 9 თვის შედეგებით დაიწყო: სულ, ამ პერიოდში, რესპუბლიკაში სისხლის სამართლის ხაზით აღრიცხულია 8.912 დანაშაული. აქედან გახსნილია – 7.563. დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი უდრის 84,9 პროცენტს. საკმაოდ მაღალი ციფრია.

რაც მთავარია, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით, აღინიშნება საგრძნობი კლება. დანაშაულის საერთო რაოდენობა შემცირებულია 27,8 პროცენტით, მძიმე დანაშაულისა – 31,1, მათ შორის: განზრახ მკვლელობისა – 42,1, სახელმწიფო და პირადი ქონების ყაჩაღობისა კი – 50,5 პროცენტით.

და ეს შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, პოლიციას რომ არ უხდებოდეს ძველი ცოდვების „ამოქექვა". 9 თვეში აღრიცხულია 1991-1995 წლებში ჩადენილი 1569 დანაშაული. მათგან უკვე გახსნილია 1.160. აქედან 31 მკვლელობაა, 288 – ყაჩაღობა, 442 – ქურდობა. როგორც ჩანს, ადრინდელი ბოროტებაც არავის შერჩება.

ასეთი კარგი შედეგები თურმე სხვა, მაგალითად, დსთ ქვეყნებს უკვირთ კიდეც. კერძოდ, უკვირთ, როგორ ხსნიან ჩვენი პოლიციელები ადამიანთა გატაცების ფაქტებს ფულის გამოძალვის მიზნით, როცა დაზარალებულები მიმართავენ არა პოლიციას, არამედ ეძებენ „ავტორიტეტებს" შავი სამყაროდან. პრაქტიკულად, – თქვა მინისტრმა, – საქართველოში ეს პრობლემა მოხსნილია, ადამიანის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფები დაპატიმრებულია, იზოლირებულია.

ცალკე გამოიყო მაგისტრალებზე ჩადენილი დანაშაულობები. აქ იყო სრული განუკითხაობა, თავაწყვეტილობა. ახლა საავტომობილო და სარკინიგზო ტვირთებს აცილებენ პოლიციელები. ისინი დამკვეთის წინაშე პასუხს აგებენ ქონებრივად – თუ რამე დაიკარგება, ანაზღაურებენ. ადრე იკარგებოდა მილიონობით დოლარის საქონელი, წლეულს დაკარგულია მხოლოდ 15 ათასი ლარისა. ესეც წვრილწვრილი ტვირთია. მაგისტრალებზე კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესება ხელს უწყობს ინვესტორების მოზიდვას, უცხო ბიზნესმენების დაინტერესებას. ყოველივე ეს კი სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.

ისე მტკივნეულად არა, მაგრამ პრესკონფერენციაზე მაინც ახსენეს ნარკომანები, მცირეწლოვანები... რესპუბლიკაში შემუშავებულია როგორც ნარკომანიის, ისე არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამები და ამ პროგრამების განხორციელებაში, როგორც ჩანს, ერთ-ერთ წონად სიტყვას პოლიციაც იტყვის.

რაც საზოგადოებაა, ისაა პოლიციაც?...

შედეგები, რომლებიც მოპოვებულია და, სიმართლე უნდა ითქვას, ნამდვილად ხელშესახებია, უპირველეს ყოვლისა, მოუტანია შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებს. კერძოდ კი იმას, რომ აქ დაქსაქსული რგოლები გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ორი ძირითადი სტრუქტურა – კრიმინალური პოლიცია და ადმინისტრაციული პოლიცია. ეს დეპარტამენტები ეფექტიანად ახლალა აკეთებენ თავიანთ საქმეს.

და მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა მინისტრმა რეფორმებზე საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა, პირველივე შეკითხვა მაინც რეფორმების შესახებ დაისვა:

– თქვენ ანტირეფორმისტებს გიწოდებენ. იმასაც ამბობენ, რომ პოლიციის მუშაობა დღევანდელ კი არა, გუშინდელ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს... და ამას ამბობენ არა მარტო პრესაში, არამედ პარლამენტშიც...

– ჩვენ პრაქტიკოსები ვართ. პარლამენტში კი თეორეტიკოსები სხედან და ამ თეორიებშიც შეცდომებს უშვებენ. მათ შორის მიხეილ სააკაშვილიც. ამოგლეჯენ სხვა ქვეყნების კანონებიდან რაღაც-რაღაც ნაწილებს, შეაგროვებენ და ჩვენს კანონებში ჩადებენ. მერე გვეუბნებიან, – შეასრულეთო. ასეთი კანონები ვერ შესრულდება. ასეთ კანონებს ჩვენ ვერ მივიღებთ. და ჩვენ უკან არ დავიხევთ. ჩვენ გავიმარჯვებთ!

– გარკვეული ძალები ხომ არ აპირებენ პოლიციის „ჩარჩოებში მოქცევას", შეზღუდვას?

– პოლიცია ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენია და ეს ხელისუფლება არ უნდა ცდილობდეს ამ ძირითადი დასაყრდენის შესუსტებას. არ შეიძლება ხელისუფლება თავად ჭრიდეს იმ ტოტს, რომელზეც ზის. ახალი კანონებით კრიმინალურ პოლიციას უამრავ ფუნქციას აკისრებენ, პარალელურად კი უთვალავ მაკონტროლებელ ორგანოებს ახვევენ. ვინ გაუძლებს ამას? სურთ, რომ ჩვენ გამოძიებას ჩამოგვაშორონ. იმუშავებს ოპერმუშაკი გამოძიების გარეშე? ეს შეუძლებელია. ჩვენ რეფორმები გვინდა საქმისთვის და არა მხოლოდ რეფორმისთვის.

– არის თუ არა კორუფცია პოლიციაში? ამ სენზეც მწვავედაა საუბარი...

– სენზე რა მოგახსენოთ, მაგრამ... რაც საზოგადოებაა, ისაა პოლიციაც. კორუფციაა ყველგან – ყველა დარგში, ყველა სფეროში, ყველა ქვეყანაში. არის ჩვენთანაც. და ჩვენ ამას დაუნდობლად ვებრძვით. 9 თვეში დასჯილია 2.500 თანამშრომელი, სამსახურიდან დათხოვნილია – 257, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია – 83. ჩვენ ჩვენს მეკრთამეებს ვიჭერთ, სხვები კი – მალავენ. დამისახელეთ სხვა უწყება, სადაც ჩვენსავით წმენდენ რიგებს, ჩვენსავით იჭერენ თანამშრომლებს.

– რა ვითარებაა თქვენს საპატიმრო დაწესებულებებში, იზოლატორებში მართლა სცემენ, აწამებენ დაკავებულებს?

– ჩვენს საპატიმრო დაწესებულებებში, ჩვენს იზოლატორებში ყოველ კვირა მოდიან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი ხვდებიან პატიმრებს, განსასჯელებს, დაკავებულებს. იღებენ მათგან წერილებს, განცხადებებს, შენიშვნებს. ასეთი ფაქტები არ არის. ლაპარაკობენ და ხშირად პრესაშიც წერენ, თავად პარლამენტარებიც კი (და აქ მინისტრმა ახსენა ქალბატონი ელენე თევდორაძე), რომ ჩვენთან უხეშად ირღვევა ადამიანთა უფლებები. ყველას ვურჩევ: ჭორებს ნუ აჰყვებიან, გადაუმოწმებელ ინფორმაციას ნუ დაბეჭდავენ!

– რას იტყვით სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე, მალე პარლამენტი ამ კანონსაც მიიღებს...

– მე, როგორც მინისტრს, როგორც მოქალაქეს, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით, მაგრამ ახალ-ახალი საკითხებია გადასაწყვეტი. თუ სიკვდილით დასჯა მუდმივი პატიმრობით შეიცვალა, ასეთ შენობებში მუდმივ პატიმარს ვერ შევინახავთ. ინგრევა ყველაფერი. ფული არა გვაქვს. საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან ყველას, ჩვენ – არა! ისე კი, საზოგადოების აზრით, არ უნდა გაუქმდეს სიკვდილით დასჯა. ჩვენთან ეს ნაადრევია. შეიძლება სიკვდილით დასჯა კი არ გაუქმდეს, მორატორიუმი გამოცხადდეს. თუმცა ეს მორატორიუმი უკვე გამოცხადებულიც არის. წელიწადზე მეტია, სიკვდილით არავინ დაგვისჯია...

კიდევ იყო კითხვები კოდორის ხეობაში პოლიციელთა შეყვანაზე, ცეცხლსასროლი იარაღით მოვაჭრე მაღაზიებზე, იგორ გიორგაძის ადგილსამყოფელზე, მიხეილ ქურდაძის მკვლელობის გახსნაზე და ა.შ. და ა.შ. ბატონმა მინისტრმა დრო არ დაიშურა, თქვა – ყველა კითხვაზე გაგცემთ პასუხსო. ასეც გააკეთა. მაგრამ პრესკონფერენციის შემდეგ ახალი კითხვები მაინც გაჩნდა:

– ვინ დაიხევს უკან – პარლამენტი თუ სამინისტრო, რომელი უფროა ნაღდი რეფორმატორი?

– გავაუქმებთ სიკვდილით დასჯას, თუ ამის მომხრეა მინისტრიც, პარლამენტარიც, მაგრამ წინააღმდეგია საზოგადოების დიდი ნაწილი?

– რატომ არ გადმოგვცემენ საერთაშორისო ტერორისტ იგორ გიორგაძეს, თუკი მოსკოვში მისი მისამართიც ვიცით?

– მართლა „მენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი" იღებენ აღიარებებს ჩვენს იზოლატორში გამომძიებლები?

– ნუთუ იმიტომ ხვეჭს დიდ ქრთამს პოლიციელი, რომ მას პატარა ხელფასი აქვს?

კიდევ გავაგრძელო? ამას, ალბათ, ცალკე პრესკონფერენცია დასჭირდება.

ბონდო გულიაშვილი.

სიტუაცია

შიდა ქართლი:

მხოლოდ ცხრა თვეში...

1996 წლის ცხრა თვის მანძილზე ეკონომიკის სფეროში ჩადენილ დანაშაულობასთან დაკავშირებით შიდა ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ აღძრულია 34 სისხლის სამართლის საქმე. ეს ინფორმაცია საქინფორმის კორესპონდენტმა მიიღო ორგანიზებული და ეკონომიკური დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ დიმიტრი დავითაშვილისაგან.

ინფორმაციის თანახმად, ეკონომიკური დანაშაულობების მიხედვით ლიდერობს ქარელის რაიონი (უკანონო ვაჭრობა, დატაცება – სახელმწიფო გადასახადების გადახდისათვის თავის არიდება), მეორე ადგილზეა კასპის რაიონი (დატაცებულია 62,3 ტონა კომბინირებული საკვები) და ბოლოს მესამე ადგილს იყოფენ გორის (კრიმინალური აბორტი) და ხაშურის (რამდენიმე ათასი ლარის დატაცება) რაიონები, აგრეთვე ცხინვალის რეგიონი (ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა – ჩამორთმეულია ექვსი გრამი მარიხუანა). სამხარეო პოლიციის ინფორმაციის თანახმად ყველაზე დიდი ეკონომიკური დანაშაული ჩაიდინა კასპის რაიონის მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაკთა ჯგუფმა (დატაცებულია რამდენიმე ათეული ათასი ლარი). მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული რაიონები ან ყველაზე ხელშემწყობია ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების თვალსაზრისით, ან ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები აშკარად პასიურობენ დიდი მასშტაბის დამნაშავეობის წინაშე...

რაც შეეხება მის კოლექტივს, დ. დავითაშვილს მიაჩნია, რომ იგი ჯერ კიდევ საკმარისად არ იყენებს თავის შესაძლებლობებს.

დ. დავითაშვილმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ თუ საქმე ეხება დიდ საწარმოებს, ვიდრე პოლიციის წარმომადგენლები მივლენ ობიექტზე ოპერატიულად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, სამმართველოს ხელმძღვანელობა ვალდებულია, როგორც წესი, ეს აცნობოს მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს. ოპერატიული მოსაზრებებით, როგორც დ. დავითაშვილს მიაჩნია, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ყველაფერს ამის შესახებ მხარის ხელმძღვანელობას მოახსენებენ მხოლოდ დანაშაულის ფაქტის დადგენის შემდეგ.

საქინფორმი.

ეროვნული

სადისკუსიო კლუბი „პრესა"

მაგრამ თავისი საქმე გააკეთა, თუმცა წასვლით არსად წასულა...

უკანასკნელ ხანს ბევრ გაზეთში კრიტიკა თვითმიზნად იქცა. ამას პოპულიზმის ელფერი დაჰკრავს. აკრიტიკებ, მაშასადამე, ხალხზე, ქვეყანაზე „ზრუნავ"! მაგრამ, ხშირად იგი ბუმერანგივით უკან გიბრუნდება.

კალამი ხელში ამაღებინა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის" ამა წლის 32-ე ნომერში გამოქვეყნებულმა ერთმა წერილმა. მისი სათაურია...

თუმცა, სათაურზე ცოტა ქვემოთ, ცალკე მოგახსენებთ. წერილი ეხება „საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილ რიგით მიცვალებულს, თუ მისი ჭირისუფლები სათანადო თანხის მფლობელნი არ აღმოჩნდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება კარდაკარ სიარული მუდარით — შორეთში მიცვალებული დაგვრჩა პროზექტურის მაცივარში გაყინული და ჩამოყვანა-დამარხვაში დაგვეხმარეთო", — წერს ავტორი. იგი სერიოზულ ბრალდებებს უყენებს „ოვირსა" და „გაერთიანებულ ქართულ ბანკს", რომლებმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არაფერი იციან... ვინ შეასრულებს დაზღვევის პირობას". ქვემოთ ავტორიც და მკითხველიც დარწმუნდება, რომ არც ერთ ამ უწყებას ოფიციალურად არ ევალება ამისი ცოდნა, მითუმეტეს, რომ სადაზღვევო თანხის გაცემა მათი პრეროგატივა არ არის.

წარღვნასავით გადაგვიარა საიმედო თუ საეჭვო რეპუტაციის ბანკების ნგრევა-გაკოტრებამ, ბევრი ჩვენი თანამემამულე სამუდამოდ დაემშვიდობა იქ დაბანდებულ უკანასკნელ გროშებს, მაშინ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არაერთხელ გაიელვა ვარაუდმა, რომ ამ სკანდალურ ამბებში აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო უწყებები, მაღალი რანგის ჩინოვნიკები, შეიარაღებული ფორმირებები და, საერთოდ, ყველა, ვისაც მოეპრიანებოდა. მადლობა ღმერთს, ასეთი რამ ახლა თითქმის აღარ ხდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კომუნისტურ ხანაში ბანკებში შეტანილ ანაბრებს, რომელთა ბედი, ჯერჯერობით, გაურკვეველია).

ამიტომ შემაშფოთა ზემოთხსენებული გაზეთის პუბლიკაციამ, ნუთუ ისევ გამოჩნდნენ პირები, უწყებები თუ დაწესებულებები, რომლებიც სარგებლობენ ისედაც გამწარებული ადამიანების უბედურებით? ეს შეშფოთება გამოიწვია წერილის შემდეგმა არაორაზროვანმა განცხადებამ: **„პასპორტის გაცემის დღიდან 12 თვის მანძილზე მოქმედი სადაზღვევო ბარათი ძვირფასი სახელმწიფოს მიერ ჩატარებული მორიგი აფიორაა. გაგვაბითურეს, კვლავ კიდევ და კიდევ, უნიჭოდ, უნამუსოდ. ჩვენც, ეტყობა არ გვბეზრდება მარადიულად მოტყუებულისა და მიტოვებულის ამპლუა, ქვეცნობიერად მაზოხისტებს ჩაგვრა გვსიამოვნებს. არ ვთხოვთ რა პასუხს მოძალადეს, თუმცა სამართლიანი რისხვით აღვსილი მოქალაქის პროტესტი უპასუხოდ დარჩება, როგორც ბევრი რამ სულელების ქვეყანაში".**

ვერაფერს იტყვის კაცი, სერიოზული ბრალდებაა და მასზე გაჩუმება მართლა არ შეიძლება. ოღონდ...

მრავალთა საბედნიეროდ (და ჩემი ახალგაზრდა კოლეგის სამწუხაროდ), წერილში მოყვანილი ფაქტები „ყურით მოთრეული" აღმოჩნდა.

ეს საცნაური გახდა მაშინვე, როგორც კი სადაზღვევო კომპანია „კრწანისის" თანამშრომლებს შევხვდი. არადა, სავსებით საკმარისი იქნებოდა, თუ ჩემი ახალგაზრდა კოლეგაც მიბრძანდებოდა სანაპიროზე, ყოფილ კორწინების სახლთან, დიმიტრი უზნაძის 37-ე ნომერში. იქ, ყოვლად გაურთულებლად გამოუწერდნენ საშვს, ავიდოდა „გაერთიანებული ქართული ბანკის" მეხუთე სართულზე, სადაც განთავსებულია ზემოთხსენებული კომპანია. ვერ გეტყვით, რა ენთუზიაზმით შეხვდებოდნენ საკმაოდ სპეციფიკური (და ნერვიული) სამსახურით გალიზიანებული მუშაკები, მაგრამ ერთი კი ვიცი: ყველა საინტერესო კითხვაზე საჭირო პასუხს უეჭველად მიიღებდა. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ ავტორი თავის ქოთანს სულ სხვა მხარეს შეაბამდა ყურს. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა — ჩემი უმცროსი კოლეგა სავსებით მიენდო დაინტერესებულ პირთა მონაყოლს და თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა...

იქ კი, „კრწანისში", აი, რა შევძლო შევეტყო: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სადაზღვევო კომპანია „კრწანისი" 1993 წლის 25 ოქტომბერს დაარსდა. რეგისტრაცია გაიარა ჯერ დიდუბის, შემდეგ — ჩუღურეთის რაიონულ გამგეობებში. მისი პრეროგატივაა საზღვარგარეთ მოგზაურობის მსურველ ქართველ მოქალაქეთა დაზღვევა შესაძლო სამედიცინო მომსახურებისა და რეპატრიაციის ხარჯებით უზრუნველყოფის მიზნით. სადაზღვევო კომპანია ემსახურება იმათ, ვისი ასაკიც 75 წელს არ აღემატება, ხოლო მოგზაურობა ჯანმრთელობისათვის საშიში არ არის. სადაზღვევო პოლისი ძალაშია გაცემის დღიდან 12 თვის მანძილზე. დაზღვევის საგანია სამედიცინო (ძირითადი) და გარდაცვალების შემთხვევაში, სარეპატრიაციო ხარჯები. ეს ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 5000 აშშ დოლარს. პოლისის მოქმედების არეალი მთელი მსოფლიოა, ე. ი. მნიშვნელობა არა აქვს, დაზარალებული, ვთქვათ, სომხეთშია თუ ავსტრალიაში.

ერთი სიტყვით, პოლისში (და „სამახსოვრო ბარათში"), რომელსაც საქართველოს მოქალაქე საზღვარგარეთ წასვლისას პასპორტთან ერთად იღებს, ყველა წვრილმანი გათვალისწინებულია. იქვე მითითებულია მისამართები, სადაც დაინტერესებულ პირს საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლია. ამ საკმაოდ დიდი მოცულობისა და საპასუხისმგებლო საქმეს კომპანია „კრწანისი" ახორციელებს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო მუშაობის, ვიზებისა და უცხოლთა რეგისტრაციის მთავარი სამმართველოს („ოვირის") რეგიონულ და რაიონულ განყოფილებებში თავისი აგენტების, ხოლო უცხოეთში — ინგლისის სადაზღვევო კომპანიის „პირველი საერთაშორისო სადაზღვევო ჯგუფის" (FIGI) მეშვეობით. ამ უკანასკნელს აქვს ორი სამსახური — სადღელამისო-სამორიგეო „ეუროპ ასისტანსი" და „ზარალის დისპეტჩერი".

ინგლისური კომპანია და „კრწანისი" ჯერ კიდევ მაშინ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, როცა საქართველოში ქვემეხები ქუხდნენ. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული რისკიც იყო ინგლისელთა მხრიდან. გავიდა წლები და ამ ორ მხარეს შორის რაიმე გაურკვევლობა არ წარმოშობილა: ისინი ხმაშეწყობილად თანამშრომლობენ და მზად არიან, არსებული კანონის ფარგლებში, დახმარება აღმოუჩინონ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს.

მაგრამ აქაც არის ერთი „მაგრამ" (რაც, ვფიქრობ, „ჯორჯიან თაიმსის" პუბლიკაციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა). პოლისში სკრუპულოზური სიზუსტით არის მითითებული, რა შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს სადაზღვევო დახმარების მიღება და რა საბუთებია საამისოდ საჭირო. სიტყვა რომ არ გამექცეს, მოვიტან ამონაწერს „სამახსოვრო ბარათიდან": „ყველა სახის სარჩელი წარმოდგენილი უნდა იქნას სარჩელის ოფიციალური ფორმით. თან უნდა ახლდეს სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი ყველა სახის საბუთი — ექიმის ან სპეციალისტის მიერ ხელმოწერილი საბუთი, რომელიც ადასტურებს დაზღვეული პირის ავადმყოფობას ან სხეულის დაზიანებას. სამედიცინო რეცეპტებზე, დახმარებაზე და ნებისმიერი სახის მომსახურებაზე გაცემული ყველა ქვითარი, რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო შემთხვევასთან. გარდაცვალების შემთხვევაში დამატებით საჭიროა საპოლიციო უწყების, დამკრძალავი ბიუროს ან პოსტ მორტემ გამოკვლევის დასკვნების წარდგენა".

თუ სტილს არ მივაქცევთ ყურადღებას, ყველაფერი გარკვევით არის ნათქვამი. ერთი სიტყვით, საბუთი და მხოლოდ საბუთიო. „განხეთქილების ვაშლიც" თურმე, სწორედ ეს არის. აი, რას ამბობს კომპანია „კრწანისის" კონსულტანტი მარიკა მერაბიშვილი:

— ყველაზე დიდი პრობლემა და გაუგებრობა რეპატრიაციასთან არის დაკავშირებული, როგორც წესი, ახლობლები და ჭირისუფლები სადაზღვევო თანხას წინასწარ, ავანსის სახით ითხოვენ. თანაც, აუცილებლად 5000 დოლარს. ჩვენ კი, დებულების თანახმად, მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის ხარჯებს ვანაზღაურებთ. ამისათვის ოფიციალური დადასტურება გვჭირდება როგორც დაზიანების, ისე გარდაცვალების შესახებ. ზუსტად უნდა ვიცოდეთ აგრეთვე დაზარალებულის ადგილმდებარეობა, ხშირად ჭირისუფალს საბუთები ხელზე არა აქვს, არც ზუსტი მისამართი იცის. მისი მოძებნა არ გვევალება, ამიტომ მხოლოდ ადამიანური მოვალეობისა და გულისხმიერებიდან გამომდინარე, ვეხმარებით. ისინი შეუფერხებლად და უსასყიდლოდ სარგებლობენ ჩვენი სატელიტური კავშირით. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ დაზარალებულთა მოძებნასა და ადგილმდებარეობის დაზუსტებაში ოპერატიულად და უანგაროდ გვეხმარებიან საქართველოს საელჩოები და საკონსულოები, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

ქალბატონ მარიკას თქმით, სადაზღვევო თანხის გაცემას თვითონ კომპანია „კრწანისი" და მისი ინგლისელი პარტნიორები ახორციელებენ. არც „ოვირსა" და არც „გაერთიანებულ ქართულ ბანკს" ამასთან არავითარი საქმე არა აქვს".

— კურიოზები თუ ხდება?

— რამდენიც გნებავთ! თვით „ჯორჯიან თაიმსში" გამოქვეყნებული წერილის მინაწერიც კურიოზი არ არის? გარდაცვლილის ახლობლებს საბუთები არ ჰქონდათ, სადაზღვევო თანხის მიღება კი მაშინვე სურდათ. სხვა შემთხვევებიც არის, მაგრამ მათი გამხელა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რადგან არ მსურს, ადამიანებს კიდევ ერთხელ ვატკინო გული. 1995 წლიდან, რაც ქართული პასპორტები ძალაში შევიდა, საქართველოს 147 მოქალაქეს მოვემსახურეთ, აქედან 31 რეპატრიანტი იყო, 116 — დაშავებული.

აი, ასე უბრალოდ გაირკვა ყველაფერი, ჩემო ძვირფასო კოლეგავ! ვწუხვარ, რომ ვიღაცეებმა თქვენი ნდობით ბოროტად ისარგებლეს და შეცდომაში შეგიყვანეს. მაგრამ მარტო თქვენ კი არა, თქვენი მეშვეობით შეცდომაში შეიყვანეს საზოგადოებრივი აზრიც. ამიტომ გჭირდებოდათ მეტი სიფრთხილე. მესმის, რომ კრიტიკა ლამაზი ქალი არ არის, ყველას უყვარდეს. რატომღაც უკანასკნელ ხანს ასე დამკვიდრდა: ჟურნალისტებს სხვათა კრიტიკის უფლება გვაქვს, პირიქით კი — არა. განა ჩვენ თვითონ არ გვიყვარს ხოლმე თქმა, კრიტიკა ადამიანს აფხიზლებს, ერთხელ დაშვებული შეცდომა რომ აღარ გაიმეოროსო?

სხვათა შორის, ტელეფონით თქვენი და ქალბატონ მარიკას საუბარის უნებური მოწმეც გავხდი. ამ საუბრიდან შევიტყვე, რომ თქვენ სადაზღვევო კომპანია „კრწანისის" არა თუ ადგილმდებარეობა, არსებობაც კი არ იცოდით. ჩემი იქ ყოფნისას ათენიდან დარეკეს, ოცდასამი წლის თბილისელი ქალიშვილი გარდაცვლილიყო და მისი მონაცემები აინტერესებდათ. საჭირო ცნობა მაშინვე ფაქსით გადაიცა, და ამისათვის რაღაც 4-5 წუთიც საკმარისი გახდა! ეს მაინც გამონაკლისია — ცნობილი იყო დაზარალებულის ზუსტი მისამართი. ხოლო მაშინ, როცა სადაზღვევო კომპანიას ეს მონაცემები არა აქვს, ძებნა შეიძლება რამდენიმე დღეც კი გაგრძელდეს. სწორედ ასე იყო წერილის პოსტსკრიპტუმში მითითებული შემთხვევის დროს. „კრწანისში" მიჩვენეს ინგლისის სადაზღვევო კომპანიიდან მოსული ხუთი ბარათი, რომელშიც დაბეჯითებით ითხოვდნენ დაზარალებულის ზუსტ მისამართს. და მხოლოდ იმიტომ, რომ პრობლემა სწრაფად მოეგვარებინათ!

ამიტომ, თქვენ რომ „კრწანისში" მისულიყავით...

წერილი, ლიტერატურული თვალსაზრისით, ურიგო როდია. ავტორს მშვენივრად უჭრის კალამი. მაგრამ, როგორც ვთქვი, მას აკლია უმთავრესი რამ — სიმართლე! საერთოდ წერილის (და ავტორის) სიძლიერე ხომ უპირველესად სიმართლეშია და არა ფრაზის სიკეკლუცეში. ავტორს ცოტა მეტი რომ ეფიქრა ფაქტების უტყუარობაზე, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდებოდა. თითოეულ ფაქტს კი ისეთივე სიფრთხილით მოპყრობა სჭირდება, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძეს.

ახლა — შეპირებულ სათაურზე. წერილი სწორედ რომ სათაურმა წამაკითხა. გულწრფელად გითხრათ, არ მინდოდა მისი გამეორება. იმდენად შემაზრზენი მეჩვენა იგი. და თუ ვიმეორებ, მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველი (და, რა თქმა უნდა, ავტორი) დარწმუნდეს: რაც ადამიანს ენაზე მოადგება, ყველაფრის ქაღალდზე გადატანა არ შეიძლება. „პრეზიდენტი მომკვდარა... რა ვუყოთ გვამს?" — კითხულობს ავტორი და ამით გვამცნობს კიდეც თავის პოზიციას. სხვათა შორის, სიტყვიდან „მომკვდარა" ისიც ჩანს, რომ იგი სხვათა მიერ მოყოლილ ამბავს გვთავაზობს და არა საკუთარი თვალით ნანახს. ეს ისე, სიტყვის მასალად. მე სხვა რამ მინდა ვთქვა, საქმე ეხება იმდენად არა კონკრეტულ პიროვნებას, რამდენადაც ცნება „პრეზიდენტს". პრეზიდენტი, როგორც პიროვნება, სახელმწიფო მოღვაწე, აკრიტიკე, ბატონო, თუ კი ამას იმსახურებს. მაგრამ ასე ავყია, ყოვლად თავშეუკავებელი ქილიკი, ხომ მთელი ერის შეურაცხყოფაა.

ბოლო დროს უზომოდ მომრავლებულ ბეჭდურ გამოცემებში იოლად იკვალავს გზას საეჭვო დონისა და ღირებულების მასალები. უფრო ბევრს ვფიქრობთ წერილის გამოქვეყნებაზე, ვიდრე მის ფორმაზე, გამომხატველობაზე და, რაც მთავარია, უტყუარობაზე. რედაქტორები მარტოოდენ პროდუქციის გამოშვებაზე კი არა, ჟურნალისტთა პროფესიული დონის ამაღლებაზეც უნდა ფიქრობდნენ. „მაღალ დონეში" იგულისხმება ყველაფერი, რასაც წერილის შინაარსი, ქარგა თუ ქსოვილი წარმოადგენს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რაზე ვწერთ და როგორ ვწერთ. განა თვალში საცემი არ არის ჟანრობრივი სიღატაკე? სად გაქრა ნარკვევი, ჩანახატი, რეპორტაჟი, ფელეტონი... რატომ შემოვიფარგლეთ ინტერვიუებით, დიალოგებით, საუბრებით, რომლებშიც, საერთოდ არა ჩანს არა თუ რედაქციის, თვით მათი ავტორის პოზიციაც. ან, რატომ ვეძებთ მხოლოდ საეჭვოს, საჩოთიროს, მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველის ყურადღება მივიქციოთ და გაზეთი გავასაღოთ? აი, ამაზე მსჯელობა დიახაც რომ უპრიანია. და არა მარტოოდენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე. რატომ იგივე სხვა გაზეთებმაც არ უნდა გააკეთონ, ეს ხომ ერთი რომელიმე გამოცემის კი არა, მთლიანად ქართული ჟურნალისტიკის მომავალსა და ინტერესებს ეხება!

ეს მსჯელობა უნდა ესადაგებოდეს უაღრესად რთული თანამედროვეობის ნიუანსებს, რათა არნახულად მომრავლებული გამოცემების ლაბირინთებში ახალბედა ჟურნალისტი არ ჩაიკარგოს.

ელგუჯა ლიბანიძე.

გემოვნებაზე არ დაობენ

ჩვენი ქვეყნის დღევანდელობაში პრესასაც თავისი ლომის წილი რომ უდევს, არ უნდა იყოს სადავო და საკამათო. შემთხვევით კი არ უწოდებენ მას „მეოთხე ხელისუფლებას". ჟურნალისტის მართალ სიტყვაზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული. როგორ, რა ფორმით მიაწვდი შენს ნახელავს მკითხველს, ეს არის ძირითადი, უმთავრესი.

საშუალება კი ნამდვილად არის. სად იყო ადრე ამდენი გაზეთი, ვინ გვაძლევდა ყველაფრის თქმის საშუალებას? რამდენადაც ვიცი, დღეს საქართველოში 400-მდე დასახელების მარტო გაზეთი გამოდის. კარგია თუ არა ასეთი სიმრავლე? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება ორმხრივი იყოს, დადებითიც და უარყოფითიც. დადებითი იმ მხრივ, რომ ყველას შეუძლია თავისი ნიჭი, უნარი, შესაძლებლობა გამოამჟღავნოს ჟურნალისტიკის სფეროში. მეორე მხრივ, ვის სჭირდება ამდენი გაზეთი?

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ფეხბურთზე რამდენიმე დასახელების გაზეთი გამოდის: „ფეხბურთი" („შანსის" დამატება), „ქართული ფეხბურთი", „11 X 11", „ფეხბურთი მსოფლიოს ფარგლებს გარეთ", თბილისის „დინამო". გვჭირდება კი ამდენი საფეხბურთო გაზეთი? არ აჯობებს ისინი გაერთიანდნენ და ერთი, თუნდაც 24-გვერდიანი პერიოდული ორგანო გამოსცენ? ვიცი, კოლეგებში გარკვეულ წყენას გამოვიწვევ. მაგრამ, დამერწმუნეთ, კეთილ სურვილს გამოვთქვამ.

დღეს პრესა ჩვენში, შეიძლება ითქვას, დემოკრატიულია. ვისაც შეუძლია, სურვილი აქვს, გაზეთს გამოსცემს. ასეთმა მომეტებულმა სიმრავლემ გარკვეულად დასცა პროფესიული დონე.

რა ძირითადი ნაკლი შეიმჩნევა ქართულ პრესაში? იგი რამდენიმე ასპექტს მოიცავს:

1. თემატური და ჟანრობრივი სიღარიბე: მხოლოდ ინტერვიუ გამეფდა. ნარკვევი, ჩანახატი, ფელეტონი, რეპორტაჟიც კი უცხო ხილი გახდა. არადა, ბიზნესმენზე კარგი ნარკვევის დაწერა არ შეიძლება?
2. გეოგრაფიული სიღარიბე: გაზეთები თბილისს ვერ გასცილებიან. მიყრუებულ სოფელს ვინ ჩივის, რაიონებზეც ვერ ბეჭდავენ მასალებს.
3. ცუდ ტრადიციად დამკვიდრდა ხელმძღვანელ მუშაკთა ყოვლად გაუმართლებელი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი კრიტიკა, თვით — პრეზიდენტისაც. გაზეთების ფურცლებზე თვლა არ აქვს დაპირისპირებულ ადამიანთა ურთიერთანგარიშსწორებას.
4. მომრავლდა ერთ ნომერში ერთი ავტორის რამდენიმე მასალა.
5. გახშირდა ე.წ. „ხეწრები". თუ მკითხველი არ გებრალებათ, თქვენი საკუთარი თავი, კორექტორები მაინც შეიბრალეთ. ესეც არ იყოს, დიდმა შოთამ ბრძანა. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის..
6. გაზეთში მოხშირდა მშობლიური ენისადმი უსულგულო დამოკიდებულება, უხეში ენობრივ-სტილისტური შეცდომები. ზოგიერთი რედაქცია, ახალგაზრდა ჟურნალისტი იმდენად გათამამდა, რომ პირდაპირ კომპიუტერზე კარნახობს მასალას. რატომღაც რედაქციებმა უარი თქვეს სტილისტზე. მე კი ვფიქრობ, იგი ერთ-ერთი წამყვანი ძალაა კოლექტივში. რაც უნდა ძლიერი იყოს რედაქტორი, გადატვირთვის გამო შეცდომები მაინც გაეპარება.

ყველაფერი ეს, ჩემის აზრით, ძალზე სერიოზულია. საქართველოში დღეს უამრავი კარგი გაზეთი გამოდის. ყველა მათგანს აქ ვერ დავასახელებ, მეშინია რომელიმე არ გამომრჩეს, არ ვაწყენინო მათ რედაქტორებს. პირფერობაში ნუ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, „საქართველოს რესპუბლიკას" ბოლო დროს მნიშვნელოვნად დაეტყო სასიკეთო ცვლილება.

რა პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, პირადად მე არ მომწონს, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ვკითხულობ ისეთ გაზეთებს, რომლებიც კარგად საღდება.

ჯერ ერთი, გემოვნებაზე არ დაობენ. მეორე, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: ამ გაზეთებმა საგრძნობლად დააქვეითეს ქართული ჟურნალისტიკის დონე. ყველა ის ნაკლი, რომლებზეც ზემოთ ვთქვი, მეტ-ნაკლებად სწორედ მათ გააჩნიათ. კი, მართალია, ისინი კარგად იყიდება, მაგრამ... ხვალ, ზეგ, მაზეგ ეს ფაქტორი არ აღმოჩნდება არსებითი და გადამწყვეტი. ცოტა შორს უნდა გავიხედოთ, მთავარია, რას ვუტოვებთ შთამომავლობას. მხოლოდ ინფორმაციას! გამოდის, რომ განსჯის უნარი დავკარგეთ, თუ მარტო ამ გაზეთების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჟურნალისტიკაში ინფორმაციის გარდა სხვა ჟანრი არ არსებულა. აღარაფერს ვამბობთ გაზეთის ტექნიკურ გაფორმებაზე, ენასა და სტილზე, ავტორთა ერთფეროვნებაზე. იქნებ ვინმემ ზედმეტი კატეგორიულობა, სიმკაცრე დამწამოს, მაგრამ ეს ჩემი საკუთარი აზრი და პოზიციაა. ალბათ, დადგება დრო (ადრე თუ გვიან), ყველაფერი მისხალ-მისხალ აიწონება და მხოლოდ მაღალპროფესიული გაზეთები შემორჩება. დანარჩენები, ალბათ, დაიხურება სხვადასხვა მიზეზით. არადა, არ მინდა ზოგიერთი გაზეთი ასეთთა რიცხვში მოხვდეს. ჩემი აზრით, მხოლოდ მაღალი დონის გაზეთებს აქვს არსებობის უფლება.

ერთი მტკივნეული საკითხიც, რომელზედაც შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილო. სამწუხაროდ, ბოლო დროს ხელმძღვანელი მუშაკები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ პრესაში გამოთქმულ სამართლიან შენიშვნებს, წინადადებებს. ჟურნალისტების ნათქვამი რჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა". რამდენჯერ ითქვა, სამარშრუტო ტაქსებს არ უნდა ეწეროს „პლეხანოვი", „პეკინი" (კიდევ კარგი „ლენინის მოედანი" არ უწერიათ)... მაგრამ ასეთწარწერებიანი სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა არა თუ კლებულობს, პირიქით — მატულობს...

არაერთ პერიოდულ ორგანოში უამრავჯერ დაიწერა, თბილისის ქუჩები გაათავისუფლონ მაწანწალა ძაღლებისაგან, დედაქალაქის ცენტრალური ქუჩებიდან მაინც აიღონ სოკოებივით მომრავლებული კომერციული ჯიხურებით. სხვათაშორის, ეს ღონისძიება ქალაქის მერიას წლეულს, წლის დასაწყისისათვის, უნდა გაეკეთებინა, მაგრამ, ვაი, რომ ვერ შეძლო.

ურიგო არ იქნებოდა, მერიას ყურადღება გაემახვილებინა კულტურის ობიექტებისადმი. როგორც იქნა, თბილისის ყოფილი ოფიცერთა სახლის კინოთეატრს „ნატო" დაარქვეს. კინომოყვარულთა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგანაც „ნატო" დღეს აღარ ფუნქციონირებს. მართლაც სამარცხვინოა, არ გვქონდეს ასეთი აღიარებული, ულამაზესი ქალბატონის ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კანონით კულტურული ძეგლების გაყიდვა აკრძალულია. არადა, კინოთეატრი „ნატო" გაყიდეს, გაათავისუფლეს მისი 14 თანამშრომელი. რატომ, ,რისთვისო, სხვებთან ერთად რატომ არ დაინტერესდა მერია?

პროფესიონალიზმი, პრესისა და სახელმწიფო ორგანოების მყარი, მტკიცე თანამშრომლობა კიდევ უფრო საინტერესოს და შინაარსიანს გახდის ჩვენს მრავალფეროვან პრესას.

ირაკლი მეჟანწიშვილი.

პრობლემა

სანამ თურქულს ავუკლივართ

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის დამკვიდრება, დღის წესრიგში აყენებს ვეტერინარული მომსახურების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის აუცილებლობას. ეს წინაპირობაა იმისა, რომ არ გაჩნდეს განსაკუთრებით საშიში დაავადების კერა, რომელთა ლიკვიდაციას შემდგომში ათეული წლები არ ეყოფა.

დღეს მსოფლიოში ასზე მეტ დაავადებას აღნიშნავენ, რომელიც ცხოველიდან ადამიანზე გადადის და მას უდიდეს ზიანს აყენებს, ამიტომაც, ბევრ ქვეყანაში ვეტერინარიის დარგში არსებულ პრობლემებს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტით განიხილავენ.

ვეტერინარიის სამსახურის საქმიანობის უკეთ წარმართვისა და არსებულ პრობლემათა დაძლევის გზების ძიებას მიეძღვნა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რაიონების ხელმძღვანელთა და ვეტერინარიის დარგის მუშაკთა თათბირი, რომელიც ზუგდიდში გაიმართა.

მეცხოველეობის აღდგენა-განვითარება და ამ საქმეში ვეტერინართა წვლილი; ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურების დიდეფექტიანი მუშაობა; მედიკამენტების და ვეტსაქონლის სიმწირე; პირუტყვის სავალდებულო დაზღვევის ადრინდელი ფორმის აღდგენის აუცილებლობა; სოფლებში ახალი ვეტერინარული უბნების გახსნა; ვეტერინართა კადრების პროფესიული დონის ამაღლება — ამ საკითხებზე ისაუბრეს ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკის, მესტიის, ქალაქ ფოთის ვეტექიმებმა.

თათბირზე გადაჭრით ითქვა, რომ რაიონებში ვეტსამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ხარვეზებია მედიკამენტებით, ბიოპრეპარატებითა და სადეზინფექციო საშუალებებით მოსახლეობის მომარაგებაში, რაც სერიოზულად აფერხებს ვეტსამსახურის მუშაობას. ამ და სხვა მიზეზების გამო მოსახლეობამ პირი კომერციული ჯიხურებისაკენ იბრუნა, სადაც ვეტერინარებისა და მოსახლეობისათვის საჭირო ქიმიურ-თერაპიული საშუალებები ხშირად ინსტრუქციის დარღვევით, ულიცენზიოდ იყიდება, რაც ყოვლად დაუშვებლად მიიჩნიეს. გამომსვლელებმა ვაქცინებით თავისუფალი ვაჭრობის აღკვეთა და ვეტერინარული დარგის ნაწილობრივ ფასიან მომსახურეობაზე გადასვლა მოითხოვეს.

— 1984 წელს, სოფელ კირცხში ახალი ვეტუბანი გაიხსნა — თქვა ჩხოროწყუს რაიონის მთავარმა ვეტექიმმა თინა კაჭარავამ, — რომელიც მოსახლეობასა და კირცხის მეცხოველეობის სანაშენო კომპლექსსაც ემსახურებოდა. მაგრამ ბოლო წლებში, ცნობილი მიზეზების გამო, ეს უბანიც გაუქმდა. საყოველთაო განუკითხაობის ჟამს ზოგიერთ შენობას სხვები დაეპატრონენ და შიგ პურის საცხობი გახსნეს. არა და ეს შენობა დღესაც ვეტერინარული სამსახურის ბალანსზეა, იგი სახელმწიფო სახსრებით არის აშენებული. პურის ცხობის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ეს შენობა-ნაგებობა ისევ ვეტერინარიის სამსახურში უნდა ჩადგეს. ასეთია ჩვენი თხოვნა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს ვეტერინარიის სამსახურის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილემ **გიორგი ჯიქიამ.**

ბატონ გიორგისთან ცალკე საუბარი განვიზრახეთ, მაგრამ იგი პარიზს გაემგზავრა. ამ დღეებში დაბრუნდა და ჩვენი საუბარი შედგა.

— ბატონო გიორგი, როგორც თათბირზე ითქვა, მოსაგვარებელია ცხოველთა აღრიცხვა, სტატისტიკის მიერ მოცემული ციფრი და რეალურად არსებული რაოდენობა ერთიმეორეს არ ემთხვევა, ამ პრობლემის გადაჭრა როგორ გესახებათ?

— სტატისტიკური მონაცემები ხშირად მართლაც არ არის რეალური. საქართველოში პირუტყვის რაოდენობა მუდამ მეტია, ვიდრე ოფიციალურად არის ხოლმე ცნობილი. ამიტომ ძირითადად ვეტუბნების მიერ ჩატარებული ღონისძიებების ნუსხას ვეყრდნობით. არადა პირუტყვის რაოდენობა თუ ზუსტად არ ვიცით, სოფელში ან რაიონში, პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ძალიან ძნელდება.

მიგვაჩნია, რომ პირუტყვის რაოდენობის ზუსტად განსაზღვრის ერთადერთი გზა საყოველთაო დაზღვევის შემოღებაა, ჩვენი აზრით, გლეხი დაინტერესდება და პირუტყვს ვეტერინარულ უბანში ასაცრელად აუცილებლად მოიყვანს. ამდენად დაზღვევის პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობა მიმდინარეობს და ამის შემდეგ ალბათ ეპიზოოტური ღონისძიებების ჩატარების საკითხიც უკეთესად მოგვარდება.

— როგორ მარაგდება მოსახლეობა ბიოპრეპარატებითა და ვეტერინარული წამლებით ან ამ პრეპარატების რეალიზაციის უფლება ვის ეძლევა?

— ბიოპრეპარატების გაყიდვა სასტიკად აკრძალულია, რადგან არ შეიძლება რიგითმა მომხმარებელმა ბიოლოგიურად საშიში ნივთიერების მოხმარების ყველანაირი წესი იცოდეს. მაგალითად, მედიცინისა და ბიოლოგიისაგან შორს მდგომმა პიროვნებამ ციმბირის წყლულის ვაქცინა რომ იყიდოს და მისი მოხმარების ყველა წესი დაიცვას, ხოლო ამპულა მონარჩენი ვაქცინით, ეზოში გადააგდოს, იცოდეთ, რომ ამ ადგილას 100-150 წლის მანძილზე დაავადების კერა ჩნდება, რადგან წყლულის გამომწვევი ბაქტერია ნიადაგში მოხვედრის შემდეგ იქ მარაგს იკეთებს. თუ იმ ადგილზე ამოსულ ბალახს მოძოვს ცხოველი, იმავე წუთს დაავადდება. ამიტომ მისი გაყიდვის უფლება არც კერძო პიროვნებას აქვს და არც სახელმწიფოს. ბიოპრეპარატების მანიპულირების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ვეტექიმს აქვს. იგი სახელმწიფოს სამსახურში იმყოფება და პასუხისმგებელია მის მიერ ჩატარებული ღონისძიების კეთილსაიმედობისათვის. რაიონებში და სოფლებში ამ სამუშაოების ვეტერინარული სამსახურების ხელმძღვანელები და ვეტუბნის გამგეები ასრულებენ. ბიოპრეპარატების შემოტანის უფლება, ჩვენთან მოქმედი წესის თანახმად, მხოლოდ ზოოვეტმომარაგებას აქვს; იგი სახელმწიფო სტრუქტურაში შედის და ასევე პასუხისმგებელია მის მიერ შემოტანილი ვაქცინის ვარგისიანობისათვის, იმისთვისაც, რომ ეს პრეპარატი ხელში შემთხვევით პიროვნებას არ ჩაუვარდეს და მხოლოდ ვეტუბანს გადასცეს, რომელიც ვალდებულია საჭირო ღონისძიება ჩაატაროს.

გარდა ბიოპრეპარატებისა, სხვა ვეტპრეპარატების შემოტანის და რეალიზაციის უფლება აქვს, როგორც ზოოვეტმომსახურებას, ასევე ყველა იმ კერძო კომერციულ ორგანიზაციას, რომელსაც ჩვენგან მიღებული ლიცენზია აქვს და იგი რეგისტრირებულია.

— როგორ ებრძვით განსაკუთრებით საშიშ დაავადებებს? გვაქვს ამ დაავადებათა ლიკვიდაციის საშუალებები? ამბობენ, თურქული საქართველოს ბევრ რაიონშია გავრცელებულიო.

— მინდა სწორად გამიგოთ, ნათქვამი, როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო. ამ მიმართულებით ყველაფერს ვაკეთებთ, რის გაკეთებაც ძალგვიძს. ტაბახმელის ბიოკომბინატი ამჟამად აბსოლუტურად პარალიზებულია, მუშა-მოსამსახურეებს რამდენიმე თვეა ხელფასი არ მიუღიათ. ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გადავჭრათ იქ არსებული პრობლემები, რათა კომბინატი ამუშავდეს. მანამდე კი თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინა, 125 ათასი დოზა, მოსკოვის შოლკოვოს ბიოკომბინატიდან პირდაპირ აჭარაში გადაიგზავნა. ამის გარდა 100 ათას დოზას დამატებით შემოვიტანთ. 300 ათასი დოზა ვაქცინას საერთაშორისო ეპიზოოტიის ბიურო უფასოდ გამოგვიგზავნის და მგონი საკმარისი იქნება.

— სადაც თურქულმა იფეთქა, ალბათ, კარანტინი გამოაცხადეთ, ისე, რამდენად ეფექტიანია ამ დაავადებისაგან დაცვის მექანიზმი?

— თურქულის ბოლო აფეთქება ცხვრის გადასარეკ ტრასაზე იყო. შეძლებისდაგვარად იქვე მოვაწყვეთ მოძრავი ვეტუბნები, მოვამარაგეთ საჭირო ვაქცინით, ჩვენი ძალებით მდინარე ალგეთზე გავაკეთეთ ხიდი და ამით ქალაქი მარნეული მეტნაკლებად განიტვირთა, დაავადებული პირუტყვი ავაცილეთ. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხიდის აგებაში დიდი დახმარება გაგვიწია სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ. ეს ღონისძიებანი, რა თქმა უნდა დაავადებას მთლიანად ვერ აღმოფხვრიდა, ამიტომ მოსახლეობას ვთხოვ კვების პროდუქტები, განსაკუთრებით ხორცი და რძის პროდუქტები მხოლოდ და მხოლოდ მაღაზიაში და ბაზარში იყიდონ, და არა ქუჩაში.

ბაზარს იმიტომ ვურჩევთ, რომ აქ შეტანილ პროდუქტებს ჩვენი სამსახური ამოწმებს. მაგრამ აქაც შეიძლება გაიპაროს, რადგან პროდუქტების შეტანას ზოგჯერ ჩვენი სამსახურის გვერდის ავლით ახერხებენ, მაგრამ დაცვის გარანტია ბაზარში უფრო მეტია, ვიდრე ქუჩაში, ამიტომ ქუჩაში ვაჭრობას უნდა მოვერიდოთ, ბაზარში კი ყველა გამყიდველს უნდა ჰქონდეს პროდუქციის ვარგისიანობის დამადასტურებელი საბუთი.

— საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორ გესახებათ ვეტერინარული მომსახურეობა, რამდენადაც ვიცით, ჯერჯერობით ცხოველთა ვაქცინაცია და ვეტმომსახურეობა უფასოა?

— ვეტმომსახურეობა საბიუჯეტო ორგანიზაციაა და, ალბათ, ასეთად დარჩება, მაგრამ მთლიანად რომ ბიუჯეტს დავაწვეთ და ხელი არ გავანძრიოთ, არც ეს იქნება მოსაწონი. ვფიქრობ, უნდა გამოიძებნოს რაღაც საშუალებები, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს ჩვენს თავსაც გამოვადგეთ და ქვეყანასაც.

ჩვენი დეპარტამენტის სამმართველოთა უფროსები და განყოფილებათა წამყვანი მუშაკები ჩართული არიან ამ საქმეში და დარგის ნაწილობრივ ფასიან მომსახურებაზე გადასვლის პრეისკურანტს ვადგენთ.

— პარლამენტმა ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო კანონი ვეტერინარიის სრულყოფის შესახებ. როგორ ფიქრობთ, იგი სრულყოფილია?

— კანონის შედგენაში უშუალოდ ჩვენი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ჩვენი ფუნქციები მასში [illegible] არის ასახული, მაგრამ დღემდე არ გვაქვს კანონქვემდებარე აქტები, რომლებმაც ეს კანონი უნდა ამუშაონ.

ბოლო ოთხ თვეში დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, საქართველოს თითქმის ყველა მხარეში ჩაატარა თათბირები, ოქმებში მოცემული საკითხები ჩამოყალიბდა 8-9 გლობალურ პრობლემად, ესენია: **ვეტერინარი ექიმების სოციალური დაუცველობა, ბიოპრეპარატების მანიპულაცია, პირუტყვის აღრიცხვიანობის მოწესრიგება, განსაკუთრებით საშიში დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა, ახალი მეთოდების დანერგვა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბება** და სხვა, რომელიც თითოეული მხარისა და რეგიონისათვის მეტნაკლებად ნიშანდობლივია.

ამ პრობლემებს დაემატება აგრეთვე საერთაშორისო ეპიზოოტიის ბიუროს თბილისის გამსვლელი სესიის (იგი ამ დღეებში მოეწყო) მასალები, სადაც, ალბათ, ჩვენი საერთო პრობლემები აღირიცხება და გადაწყვეტის მექანიზმიც პრეზიდენტის ბრძანებულებაში აისახება.

— ბატონო გიორგი, თქვენთან ინტერვიუ ზუგდიდის თათბირის ჩატარებისთანავე იყო დაგეგმილი, მაგრამ პარიზში გაფრინდით. ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის რაიმე საინტერესოს ხომ არ გვიამბობდით?

— დიდი სიამოვნებით. საფრანგეთში ჩემი ვიზიტის მიზანი საერთაშორისო ეპიზოოტიის ბიუროს სხდომაზე დასწრება იყო. იგი იხილავდა განსაკუთრებით საშიში დაავადების — ღრუბლოვანი ენცეფალოპათიის გავრცელების საკითხებს. ეს ის დაავადებაა, რომელმაც ინგლისში იფეთქა და შემდეგ მსოფლიო მასშტაბი მიიღო.

საერთაშორისო ეპიზოოტიის ბიურო პარიზში მდებარეობს, მისი წევრი მსოფლიოს სხვა 150 ქვეყანასთან ერთად საქართველოც არის, როგორც აღვნიშნეთ, სხდომაზე იხილებოდა ამ დაავადების გამომწვევი მიზეზები და გავრცელების მიმდინარეობა. გადმოგვეცა დირექტივები საზღვრებზე საგარანტიო წესების გამკაცრების შესახებ.

რაც მთავარია, საშუალება მომეცა და საქართველოში ვეტერინარიის დარგში არსებული მდგომარეობის თაობაზე 15-წუთიანი ინფორმაციით გამოვედი. საერთაშორისო ბიუროს გენერალურმა დირექტორმა, დოქტორმა ბლანკომ, რომელიც თბილისობის დღესასწაულზე მოვიპატიჟე, ჩემთან ცალკე შეხვედრა ისურვა. ეს შეხვედრა, რასაკვირველია, შედგა და იგი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. როგორც მითხრეს, ბიუროს მუშაობაში, უპრეცედენტო ყოფილა გენერალური დირექტორი, საერთო შეკრების გარეთ — სხვა საკითხზე ესაუბროს მოწვეულ სტუმარს. ბატონმა ბლანკომ როცა დაწვრილებით მოისმინა ჩემი ინფორმაცია, არა მარტო ვეტერინარიის მდგომარეობაზე, არამედ საერთოდ საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, დახმარების სურვილი გამოთქვა. აღმითქვა, რომ მოელაპარაკება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, იმის თაობაზე, რომ გამოიყონ ტექნიკური დახმარება და გრანტები საქართველოში ვეტერინარიის შემდგომი განვითარებისათვის, და რაც ყველაზე მთავარია, იგი შემპირდა, რომ უახლოეს ხანებში 300 ათას დოზა (დაახლოებით 60 ათასი დოლარის ღირებულებით) თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინას უსასყიდლოდ გამოგვიგზავნის. ფრანგები სიტყვის ხალხია და დარწმუნებული ვარ, ბატონი ბლანკო დანაპირებს აუცილებლად შეასრულებს. ასე რომ, საფრანგეთში ჩემი ვიზიტის ასეთი შედეგი მგონი ინტერვიუს გადადებად ღირდა.

უდავოდ კარგ ფეხზე უდგა ბატონ გიორგი ჯიქიას. ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროს დახმარება მართლაც დიდი შეღავათია, მით უმეტეს, რომ მინიმალური დანახარჯით — ვეტერინარული წესის სრულყოფილად დაცვით, ჯანმრთელ ცხოველს კეთილსაიმედო პროდუქტების მოცემა შეუძლია. ამიტომ ვეტერინარული დარგის სრულყოფის ღონისძიებების გადადება დიდი დანაშაულია.

ნათქვამია, მედიცინა ემსახურება ადამიანს, ვეტერინარია კი — კაცობრიობას. ამ სიტყვებს, ალბათ, აღარაფერი აქვს დასამატებელი.

ნაზი იმნაიშვილი,
იოსებ გობეჩია,
ოდიკ ძუხილავა.
„სრ" საკ. კორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომბის ბორბლები

საბჭოთა ატომური ბომბის შექმნის ისტორია თვალწარმტაცი ეპოპეაა,

მაგრამ დიდი მასშტაბის მოვლენების ფონზე ამ ეპოპეაში არის კიდევ უამრავი ცალკეული ეპიზოდი, რომლებიც დღემდე უცნობია. მაგალითად, თუკი დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ მაშინ, 40-იანი წლების დამლევს პირველი ატომური ბომბები სამიზნეებთან თვითმფრინავებს უნდა მიეტანათ, როგორ გგონიათ, რით უნდა მიეტანათ თვით ეს ბომბები საცავებიდან თვითმფრინავებთან?

დღეს გიამბობთ (უფრო ზუსტად, გაგაცნობთ გარდასულ მოვლენათა ცოცხალი და აწ გარდაცვლილი მონაწილეების მოგონებებს) იმ სრულიად საიდუმლო „სატრანსპორტო საშუალების" შემუშავების ისტორიას, რომლითაც ატომური ბომბი მიჰქონდათ მზიდი თვითმფრინავის საბომბე ლუკთან.

ყოფილი ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ვალენტინ ჩაიანოვი:

— 1944 წელს, როდესაც უმძიმესი ომი გამარჯვების ფინალს უახლოვდებოდა, დავამთავრე ყაზანის საავიაციო ინსტიტუტი და გამგზავნეს ციმბირის საავიაციო ქარხნის ტექბიუროში, რომელიც 42-ის შუახანებიდან უშვებდა მოპიკირე ბომბდამშენს ტუ-2.

... მოულოდნელად გამომიძახეს სპეცგანყოფილებაში, სადაც ჩეკისტმა ქალმა ჩამომართვა ხელწერილი, რომ არ გავთქვამდი საიდუმლოს, და გამაცნო მთავარი სამმართველოდან მოსული წერილი: „მივლინებული იქნეს ამხ. ვ. პ. ჩაიანოვი სპეციალობის მიხედვით სამუშაოს გასაგრძელებლად..." ასე აღმოვჩნდი უზარმაზარ ქალაქში, კოლექტივში, სადაც ქმნიდნენ „საფრენ აპარატთან სპეცობიექტის მიტანის თვითმავალ სატრანსპორტო საშუალებას". სპეცობიექტებად იგულისხმება არა მარტო ატომური, არამედ აგრეთვე წყალბადის ბომბებიც... და ისე მოხდა, რომ ახალ ადგილზე ჩემი პირველი დავალება გახდა პირველი საბჭოთა ატომური ბომბის თვითმავალი ურიკის კონსტრუირება.

დავალების მიღების მომენტში სულ 23 წლისა ვიყავი. თანაც „სპეცტვირთი" — ატომური ბომბი — იმ მომენტში ჩვენ თვალითაც არ გვენახა, გვქონდა მხოლოდ ინფორმაცია ამ ბომბის პროტოტიპის, მისი მასისა და გაბარიტის შესახებ...

საბჭოთა კავშირის გმირი სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი დიმიტრი სუშინი:

— ომის მიწურულში, დაახლოებით 45-ის მარტის შუა ხანებიდან მე პო-2-დან ტუ-2-ზე გადამსვეს და ამ თვითმფრინავებით დაახლოებით ათჯერ მოვასწარი დამებომბა პომერანიაში მომწყვდეული გერმანელების დაჯგუფებები.

ერთხელ გამომიძახეს კადრების განყოფილებაში, სადაც თმაჭაღარა გენერალმა მითხრა:

— ამხანაგო გვარდიის პოლკოვნიკო, დღე-დღეზე მივიღებთ ჩვენს „შურისგების იარაღს"! მაგრამ სანამ გამოვიყენებდეთ, იგი დედამიწაზე უნდა ავაფეთქოთ, რათა დავრწმუნდეთ მუშაობისუნარიანობაში, განვსაზღვროთ აფეთქების სიძლიერე, გავზომოთ დამზიანებელი ფაქტორები ფიზიკოსების, შემმუშავებლების მონაწილეობით. მერე კი — ჰაერში! მაგრამ იქამდე ჯერ უნდა ვისწავლოთ ამ მრისხანე იარაღის ხმარება, რომელსაც სამშობლო გვანდობს.

და როგორც კი „სპეცნაწარმის" სახე საბოლოოდ გამოიკვეთა, — მე აღმოვჩნდი ერთ-ერთი უაღრესად გასაიდუმლოებული ნაწილის ეკიპაჟში, სადაც 51 წლის გაზაფხულამდე ვხვეწდით ზღვრული სიმაღლიდან 10-11-კილომეტრიდან და ზღვრულ მანძილებზე — 6000 კილომეტრზე, თან — უხილავ სამიზნეებში ატომური ბომბების დაშვების მეთოდებსა და ტაქტიკას, მათ შორის, უხილავ სამიზნეებზეც...

ვალენტინ ჩაიანოვი:

— როდესაც საიდუმლო ოთახში ურიკის ტექნიკური დავალების გავეცანი, [illegible]:

გახსოვდეს, შენი მომავალი მანქანა მას ასჯერ უფრო ნაზად და საიმედოდ უნდა [illegible], ვიდრე მოყვარული დედა — თავის შვილს.

უკვე ნახევარი წლის შემდეგ საცდელი საამქროდან შესამოწმებელ ბაქანზე გამოვიდა ჩემი პირველი აპარატი, რომელსაც თავის „მკლავებში" ატომური ბომბის მაკეტი ეკავა. ჩემი შეფი მას რატომღაც „ილიჩის ნათურას" უწოდებდა (როდესაც მარტონი ვიყავით). აპარატის თავისებურება იყო არა მარტო თითოეული თვლის ინდივიდუალური დარესორება, არამედ საბომბო ლუკში „სპეცტვირთის" ავტონომიური მიწოდების უნარიც, გარედან რაიმე ტექნიკური საშუალების — ამწევების, დომკრატების, ჯალამბრების გამოუყენებლად.

50 წლის ადრე გაზაფხულზე, ჩვენს საკონსტრუქტორო ბიუროში მოვიდა შეიარაღების მინისტრი დ. უსტინოვი, გამოთხოვებისას მან მთავარ კონსტრუქტორს უთხრა:

შენი იმედი მაქვს! გახსოვდეს: უტყუარობა ნებისმიერ ვითარებაში — აი, მთავარი კრიტერიუმი, რომელსაც თქვენი ურიკა უნდა აკმაყოფილებდეს. ბომბებს, ადრე იქნება თუ გვიან, ათასობით ცალს დავამზადებთ, და „ნაწარმის" თვითმფრინავში მიწოდება არცერთხელ არ უნდა ჩაიშალოს თქვენი აპარატის მიზეზით.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი პაველ ტარანი:

— ბოლოს და ბოლოს, 51 წლის ადრეულ შემოდგომაზე დადგა ამაღელვებელი მომენტი — რდს-2 ვ ბომბით უნდა დაგვებომბა აღმოსავლეთ ყაზახეთის სავალე აეროდრომზე ტუ-4. აქამდე, ბუნებრივია, ხშირად გავდიოდით წვრთნას ბომბის მაკეტებით, მათ შორის ალტაის მხარის ხეობების „დაბომბვისას". ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. ჩვენი საუკეთესო ტექნიკოსები მცირე მექანიზაციის სახელდახელო საშუალებებით ახერხებდნენ მაკეტის თვითმფრინავში ჩატვირთვას. რაც შეეხება სატრანსპორტო ურიკას, იგი თვით ბომბის საშტატო დანართი იყო და, მაშასადამე, უკანასკნელ მომენტამდე თვალით არავის ენახა...

მაგრამ ამჯერად ყველაფერი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა: სანგარში გამზადებული იდგა ხასხასა წითელი ურიკა, რომელიც წინა დღით ჩამოგვიტანა თვითმფრინავმა დამამზადებელი ქარხნიდან. ურიკაზე კი ოცამდე ავტომატმომარჯვებული პოლკოვნიკი ჩეკისტის გარემოცვით რუხი — ფოლადისფერი ატომური ბომბი წამოსკუპებულიყო...

ვალენტინ ჩაიანოვი:

— დილით, ჩემთვის გადამწყვეტი გამოცდის დღეს, ადრე ავდექი და სასწრაფოდ მივაშურე სანგარს, რათა წინასწარ შემემოწმებინა ყველაფერი. ათი საათისათვის მოვიდნენ გამოცდის ხელმძღვანელები, ჩვენი მინისტრი, გენერლები, ცალკე იდგნენ შლიაპიანი ფიზიკოსები. რატომღაც სულ ყველას სათვალე ეკეთა. თერთმეტი საათისათვის ასაფრენ ზოლზე მდგომ ბომბდამშენთან მუხრუჭების ღრჭიალით გაჩერდა შავი „ემადიების" კავალკადა. პირველი მანქანიდან გამოვიდა თვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი პავლეს ძე ბერია, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკის ფორმა ეცვა და ავისმომასწავებლად უელავდა ოქროსჩარჩოიანი პენსნე.

ჩვენ პირობითი სიგნალი მოგვცეს და ბომბიანი ურიკა უხმაუროდ, მსუბუქად დაიძრა ადგილიდან. მე, როგორც ამ სასწაულის შემქმნელსა და შემოქმედს შეეფერებოდა, ღირსეულად გავყევი ურიკას უკან და დაფიქრებული, თავდახრილი მივდიოდი. მოულოდნელად დამესხლა: შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ბომბის გარსსა და ლუკს შორის იმდენად მცირე მანძილი იყო, რომ „სპეცტვირთი" ფიუზელაჟის ქვეშ ვერ შეეტეოდა!

მყისვე მივვარდი ოპერატორს და ვუბრძანე, დაეშვა საბურავები იმ იმედით, რომ ბომბიანი ურიკა თვლის დისკოებით მაინც გაეტეოდა, გაისმა შიშინი და სტვენა, ურიკა მტვრის ბუდეში გაეხვია — მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: ღრიჩო ბომბსა და ლუკს შორის კვლავინდებურად არ იყო საკმარისი...

დამბლისმაგვარობისა და საკმარისი შურისგების მოლოდინისაგან თავზარდაცემულმა, უნებლიედ თვალი დავხუჭე. ყველა გაშეშებულიყო, და სამარისებურ სიჩუმეში მჭახედ გაისმა ბერიას ყვირილი:

— ნაძირალებო, ამას ჰქვია „სამშობლოს თავდაცვის განმტკიცება?!" მაშ რაღას ეწოდება, ასეთ შემთხვევაში, საბოტაჟი, გამცემლობა და ღალატი?!

„ნომერ პირველმა ჩეკისტმა" ავად დაგვიბრიალა თვალი და მერე დაგვიცაცხანა:

— ერთი ამათ დამიხედე: ვიჭერთ, ვხვრეტთ, სახრჩობელებზე ავგავეს, — და მაინც არაფერი შველის! არ კლებულობს დივერსიულ-ძირგამომთხრელი მუშაობის მასშტაბი! კიდევ რა ჯანდაბით უნდა ამოშანთო ეს ღალატი?!

შემდეგ სახალხო კომისარმა ღრმად ამოიოხრა და მამხილებელი მონოლოგი ასე დაასრულა:

— ყველა, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ ოპერაციის ჩაშლაში, უფრო ზუსტად, — ძირგამომთხრელ აქციაში, დააპატიმრეთ, დაადგინეთ თითოეულის ბრალეულობის ხარისხი! და დაუ[illegible]...

მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდა ჩემი მინისტრისაკენ:

— თქვენ კი პერსონალურად გაძლევთ ერთ საათს ბომბის თვითმფრინავში ჩასადებად. თუ ვერ მოგისწრიათ — შლაპის დასახურად მხოლოდ მხრები შეგრჩებათ!..

თქვა და ლიმუზინისაკენ გაეშურა, მერე კარი მიიჯახუნა და მანქანა გაიქცა...

მდგომარეობის გამოსავალი გვიკარნახა არა მინისტრმა, ბუნებრივია, რომლის ბედიც ბეწვზე ეკიდა, არამედ პოლიგონის ტექნიკოსებმა: მათ თვალის დახამხამებაში აიძრეს ასაფრენ ზოლს ერთი ფილა, და სასწრაფოდ გათხარეს გრუნტში ნახევარი მეტრი სიღრმის „ბალიში". შემდეგ ბომბიანი ურიკა შეაგორეს ლითონის ფურცლებზე, საწევარით გადაიტანეს ტრანშეაში და ზემოდან თვითმფრინავი მოაყენეს. ბომბის ცენტრისა და ლუკის ცენტრის თანხვედრის მომენტში ჩართეს ჰიდრავლიკა, რომელიც მე მქონდა გათვალისწინებული კონსტრუქციაში, და ამ უკანასკნელმა ბომბი თვითმფრინავის სტომაქში მოათავსა. ცოტა ხნის შემდეგ ტუ-4 მშვიდობით აფრინდა და რომელიღაც პოლიგონზე ჩამოაგდო ბომბი...

რაც შეეხება „წახალისებას", ჩემს გვარს დასაჯილდოებელთა სიაში მსხვილი ხაზი გადაუსვა წითელი ფანქრით პირადად ლავრენტი პავლეს ძემ. კიდევ კარგი, რომ მარტო ეს მაკმარა, ამაზეც მადლობელი ვარ!..

რუსი დემოკრატის მრწამსი

აკადემიკოსი სერგი ბლაგოვოლინი, რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის — ორტ-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: „ნუ გვრცხვენია იმპერიული წარმოშობისა!"

დღევანდელ რუსეთს უდიდეს საფრთხეს უქადის ისეთი ცნებების საყოველთაო უგულებელყოფა და გამასხარავებაც კი, როგორიც არის საკუთარი ქვეყნის სიყვარული, პატრიოტიზმი, მოვალეობა. ამ გრძნობებს ჯიუტად ასაღებენ დემოკრატიის რაღაც ანტიპოდად. ყველას, ვინც ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას, რუსეთის მთლიანობის უცილობელ შენარჩუნებას მოითხოვს, რეაქციონერებად და თავისუფლების სულთამხუთავებად აცხადებენ.

ხალხს შეფარვით უნერგავდნენ იმ აზრს, რომ სახელმწიფო რუსეთში — ყოველთვის ცუდი იყო, ყოველთვის იყო პიროვნების დათრგუნვისა და ეროვნული ჩაგვრის ინსტრუმენტი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, თუ რა სახელმწიფოა ეს — კომუნისტურამდელი, კომუნისტური თუ პოსტკომუნისტური, — მას უნდა ვებრძოლოთ. ალბათ, დემოკრატიის სასიკეთოდ? თითქოს დემოკრატიას არ უნდა ჰქონდეს სპეციფიკური ეროვნული ნიშან-თვისებები: ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდხანს კამათობდნენ, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს დემოკრატიულ ქვეყნად იაპონია. იქ კი, თავის მხრივ, მხრებს იჩეჩდნენ დასავლური ნიმუშების შემყურენი...

ნუთუ გაუგებარია, რომ ჩვენს მიწა-წყალზე სიცოცხლის სრულიად განსაკუთრებული ფორმის სამოცდაათი წლის არსებობა, რომელმაც ქვეყანა სულიერად დააქცია, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა აუნაზღაურებელ დანაკარგებზე, — წვრილმანი არ არის, ამის საზღაური უნდა გადაიხადო. აკი ვიხდით. და ამიტომაც ბევრი გვიკლია „ნორმალურ" დემოკრატიამდე. არა, ინტელექტუალური თავისუფლება ახლა იმდენია, რამდენიც გინდა. ოღონდ — ეს არ არის დემოკრატია. მეტისმეტად ბევრია ცუდად მცხოვრები ადამიანი, მეტისმეტად ბევრია ორმხრივი სიძულვილი და შეუწყნარებლობა, და ამიტომ ჭირს ერთმანეთის გაგონება და პასუხისმგებლობის შეგრძნება. სხვათა შორის, სწორედ მარგარეტ ტეტჩერმა უწოდა სინონიმები სიტყვებს „დემოკრატია" და „პასუხისმგებლობა". და თუკი დღეს ასეთ დიდ გასავალშია ცივილიზებული ქვეყნების წარამარა დამოწმება, მოდით, არ ავღნიშნოთ ისიც, რაც აშკარაა: „წრეს გადასვლა" ყველა ნამდვილად დემოკრატიულ ქვეყანაში სასტიკად ისჯება და ეს იმის გარანტიაა, რომ კანონმორჩილი უმრავლესობა ლაღად გრძნობს თავს.

ჩვენში, რა თქმა უნდა, სხვაგვარად არის. დემოკრატიისათვის ვიბრძვით, სინამდვილეში კი საკუთარ ქვეყანას ვანგრევთ. ბუნებრივია, ვანგრევთ საკუთარი ხალხის სახელით და მისივე სასახელოდ და სასიკეთოდ. იმპერია ვიყავით, იმპერიად დავრჩით — მიდი, დასცხე იმპერიასო! და აი, ახლა ბანდიტებს გმირებად აცხადებენ...

ნუ გვრცხვენია ჩვენი იმპერიული წარმოშობისა. რაცა ვართ, ეგა ვართ. ჩვენი ქვეყანა საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. მე არ მინდა მთელი სიგრძე-სიგანით დავაყენო ურთულესი „იმპერიული" საკითხი, მაგრამ რუსეთის იმპერიამ უდიდესი აღმშენებლობითი როლი შეასრულა. ვინ ამბობს, რომ იგი სამოთხე იყო (სხვათა შორის, სააქაოში სამოთხე არც არის). მაგრამ ასეთი დიდი ქვეყნის, ასეთი დიდი კულტურის, ასეთი დიდი მემკვიდრეობის შექმნა თავისთავად მეტყველებს. რუსეთის იმპერიას ჰქონდა სამი სრულიად უნიკალური ნიშანი: ტერიტორიული მონოლითურობა, ერთი ერის და ერთი რელიგიის დომინირება (თანაც, არავის საწყენად არ ვამბობ, მაგრამ ვაზუსტებ: დომინირება არა მარტო არითმეტიკული, არამედ კულტურულიც). და, ბოლოს, განაპირობა მხარეების განვითარება მეტროპოლიის ხარჯზე. თანდათან ყალიბდებოდა სრულუფლებიანი მმართველობის სისტემა, მსხვილდებოდა მისი სუბიექტები, ხოლო მთელ რიგ მათგანთა ავტონომიურობის დონე უდიდესი გახდა (მაგალითად, ფინეთი ან პოლონეთი). სამაგიეროდ, ბოლშევიკების შემდეგ ქვეყანა ადმინისტრაციულად დანაწევრდა ეროვნული ნიშნის მიხედვით, თანაც მახინჯი საზღვრებით. სტალინის დროს ყოველივე ეს ჯერ კიდევ ძლებდა. მაგრამ ძლებდა მხოლოდ შიშის ხარჯზე. არსებითად ყველაფერი განწირული იყო. საკმაოდ ეფექტიანი ეროვნული პოლიტიკა შეცვალეს დეკორაციით, რომლის მიღმაც სასწრაფოდ იწყო გაღივება დაშლის მარცვალმა.

არ არის მიღებული იმის ქება, რაც ბელოვეჟის ტყეში მოხდა. არც მე ვიზამ ამას, მაგრამ მოდით, გამოვუტყდეთ საკუთარ თავს: ეს იყო ერთადერთი შესაძლებლობა უკვე დალუპვის პირას მისულ სსრ კავშირის პირობებში გადაგვერჩინა თუნდაც რუსეთი. მადლობა ღმერთს, ეს შევძელით. მაგრამ ჩეჩნეთი?! არავის მოსწონდა ეს ომი, არავინ დარჩენილა გულგრილი უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის მიმართ. ალბათ, ყველაფერი შეიძლებოდა უომრადაც გადაწყვეტილიყო. მაგრამ იმას, რაც ჩეჩნეთში მოხდა იმ პერიოდის ცენტრალური ხელისუფლების უკიდურესი სისუსტის შედეგად, ამბოხება ეწოდება. აქ სადავოც არ არის არაფერი: სხვაგვარად ვერ შექმნიან უკანონო არმიას, ვერ გამოყრიან ასიათასობით კაცს ეროვნული ნიშნის მიხედვით... წარსული ხანგრძლივი, გაუთავებელი და სისხლისმღვრელი ომი თითქმის „ჰეპი-ენდით" დამთავრდა: შამილი — საპატიო გადასახლებაში, ელიტის შვილები — პაჟთა კორპუსში, „ველური დივიზია" — რუსეთის არმიაში. მაგრამ დღეს რომ არ გამოდის ასე? საკითხი ჯიქურ დადგა. ხომ არ გახდება ჩეჩნეთის ტრაგედია პრეცენდენტი? თუ ყველაფერი, რაც ა. წ. აგვისტო-სექტემბერში მოხდა, მეამბოხეთა (არა სეპარატისტთა, სეპარატისტები კვებეკში არიან. — აწყობენ რეფერენდუმებს, თავისსას ამტკიცებენ, იბრძვიან, და ყველაფერი კანადის კონსტიტუციის ფარგლებში ხდება) გამარჯვება აღმოჩნდა, ეს არის ნაბიჯი ეროვნული კატასტროფის გზაზე. თქვენ იმის მომხრენი ხართ, რომ დავუშვათ რუსეთის დაშლა? როდესაც ულტრალიბერალები ხმის კანკალით გვეკითხებიან: „თქვენ რა, მზად ხართ ძალა გამოიყენოთო? — ვუპასუხებ: „ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ეს არ მოხდეს. მაგრამ თუ მოხდა, უნდა გამოვიყენოთ!" ჩვენ არ ვიქნებით არც პირველი, და, სამწუხაროდ, არც ბოლო ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც იცავს თავის მთლიანობას სხვა საშუალებებთან ერთად ძალის გამოყენებით და არა იმიტომ, რომ ვიღაცას სურს თავისი შვილები სასიკვდილოდ გასწიროს. იმიტომ, რომ თუ რუსეთის დაშლა დაიწყო, იუგოსლავიის ტრაგედიაც კი ჩვენ ბავშვურ თამაშად მოგვეჩვენება და არა მარტო შვილები, დედა-წულიანა ყველანი შეიძლება სისხლში ჩაგვახრჩონ.

ერთიანი და განუყოფელი რუსეთის შენარჩუნება — ეს ჩვენი მოვალეობაა არა მარტო წინაპართა და შთამომავალთა წინაშე, არამედ აგრეთვე ყველა იმ ხალხთა წინაშე, ვინც ისტორიულად საუკუნეთა მანძილზე იყო და არის ჩვენთან შეკავშირებული, თუმცა დღეს ეს კავშირები ერთობ უცნაურ და სავალალო მდგომარეობაშია.

მე კავშირის აღორძინებაზე როდი მოგახსენებთ. კავშირი გარდაუვალად დაილუპება, მაგრამ თუკი ჩვენ ვოცნებობთ ახალ, ევროპული ტიპის ინტეგრაციაზე, მაშინ ნათლად უნდა გვესმოდეს: მისი სულისჩამდგმელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიანი და აყვავებული რუსეთი.

ვხვდები, რომ თვით ეროვნული იდეის ხსენებაც კი გულისწყრომისა და მწარე დაცინვის აფეთქებას გამოიწვევს. როგორ შეიძლებაო, ქვეყანა ხომ მრავალეროვანია, ჩუქჩას ერთი უყვარს, ებრაელს — მეორე, რუსს — მესამე... თითქოს რევოლუციამდელი რუსეთი არ იყო მრავალეროვანი, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები არ იყო „სადნობი ღუმელი" ასობით ეროვნებისათვის, თითქოს, ვთქვათ, ბრაზილიელები — ყველანი ერთი ფერისანი იყვნენ. მაგრამ ეროვნული იდეა ხომ სავსებით არის „მატერიალიზებული" ხსენებულ ქვეყნებში!

კიდევ ერთი ფრიად მტკივნეული საკითხი — შეიარაღებული ძალები! მსოფლიოში არ არის ქვეყანა, პატივს რომ არ სცემდეს თავის არმიას — წრფელი გულით თუ მოვალეობით, რომ არ ზრუნავდეს მისთვის. ჩვენ კი ვლანძღავთ და ვ[illegible] [illegible] წინააღმდეგ (იმხანად სსრ კავშირი უფრო მეტ ძირითად სახეობათა შეიარაღებას უშვებდა, ვიდრე ნატოს ყველა ქვეყანა ერთად აღებული). მაგრამ არც მაშინ იყვნენ სამხედროები ასეთი მფლანგველობის მთავარი დამნაშავენი. ჰიპერტროფირებული სამხედრო ძლიერება ლამის ერთადერთი არგუმენტი იყო — შინაც და გარეთაც — პოლიტიკური ხელმძღვანელობისა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა ერთი რამ. სამხედროებს აბრალებენ ყველაფერს — ახალი ზედაფენის შეცდომებსა და მიქარვებს, არმია, რომელიც ჯამაგირს არ იღებს, ჯარი, რომელიც თავს გერად გრძნობს საკუთარ ქვეყანაში, — ეს არის ნაბიჯი ეროვნული კატასტროფისაკენ. დიახ, ახლა ისტორიამ საშუალება მოგვცა შვებით ამოგვესუნთქა. მაგრამ ჩვენს საზღვრებზე მრისხანე იარაღის ჟღარუნი შეგვახსენებს: დრო სწრაფად მიდის.

განვითარებულ ქვეყნებთან პარტნიორობა ჩვენ გვჭირდება, მაგრამ აშშ — თანაც, ნატოსთან იაპონიასთან და ევროკავშირთანაც ურთიერთობაში თანასწორუფლებიანობა შეუძლებელია, თუ არ გვეყოლა თანამედროვე შეიარაღებული ძალები. სწორედ ასეთთა არსებობა (თუ უქონლობა) არის საკვანძო ფაქტორი, რომელიც თვით პარტნიორობის შესაძლებლობას განსაზღვრავს.

და ვერავითარი რეფორმა ვერ გასჭრის, თუ მასზე ლაპარაკს მოჰყვება სამხედროებისათვის ზურგში ქვის სროლა. დადის ქვეყანაში „უნიჭო გენერლების სიები, რომლებმაც ჩეჩნეთის ომი წააგეს". პირდაპირ აბსურდის თეატრია: სიაში რატომღაც ჩამოთვლილი არიან ისინი, ვინც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა გამარჯვებას. ამ გენერლებიდან ზოგიერთი ჩემი მეგობარია, კარგად ვიცი, როგორ ომობდნენ ისინი, ვიცი, რომ 95 წლის მარტიდან აყენებდნენ საკითხს საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ისინი არ დაეძებდნენ გამარჯვებას ჩეჩენ ხალხზე. მაგრამ მეამბოხეთა ორგანიზებული წინააღმდეგობის განადგურება სავსებით რეალური იყო და განიხილებოდა როგორც ბაზა მოლაპარაკების დაწყებისა — არა სისუსტის, არამედ ძალის პოზიციიდან. რატომ არ მოხდა ასე — ცალკე საკითხია და საეჭვოა, იგი მოიხსნას „ხანდაზმულობის გამო".

რეფორმაზე უკვე მრავალი წელია ვლაპარაკობთ. აქამდე ბევრს იგი ესმოდა როგორც შეიარაღებული ძალების მექანიკური შემცირება, მაშინ როდესაც საქმე უნდა ეხებოდეს მათ სტრუქტურულ გარდაქმნას. რეფორმა უნდა ეხებოდეს არა მარტო თავდაცვის სამინისტროს, არამედ ყველა ძალოვან სტრუქტურას, რომლებიც ერთიან კომპლექსში განიხილება. მორიგი გადავადებისათვის ათასგვარ მიზეზებს და საბაბს იშველიებენ, მაგრამ დრო აქაც იწურება. ან — რეფორმა, ანდა რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ უბრალოდ არ გვეყოლება შეიარაღებული ძალები ამ სიტყვის სერიოზული მნიშვნელობით. და მაშინ — მშვიდობით, სახელმწიფოვ!

... მე არ მინდა დავკარგო ჩემი ქვეყანა. და ვიმედოვნებ, ჩემისთანები ბევრნი არიან.

პრეზიდენტ ელცინის ოპერაციასთან დაკავშირებით

პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა სამედიცინო ბიულეტენის ტექსტი საოპერაციო სამზადისის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ „ამ კვირიდან დაიწყო საოპერაციოდ ბორის ელცინის მომზადების დამამთავრებელი ეტაპი. მისი ძირითადი მიზანია პაციენტი მიიყვანოს ფიზიკური და ფიზიოლოგიური შესაძლებლობების პიკთან". ბიულეტენს ხელს აწერს პრეზიდენტის საქმეთა მმართველის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი სერგი მირონოვი.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დი ველტი" წერს, რომ ელცინის ავადმყოფობის ახლანდელი ეტაპი, ისევე როგორც წინა ეტაპები, აღინიშნება შეუსაბამობით სხვადასხვა წყაროებიდან მოსულ ცნობებში. მაგალითად, პრეზიდენტის პრესმდივანმა იასტრჟემბსკიმ განაცხადა, რომ ოპერაცია ნოემბრის შუა რიცხვებში მოეწყობა. ამავე დროს კარდიოქირურგი მაიკლ დებაიკი ამტკიცებს, რომ ნოემბრის დამლევამდე ოპერაციის გაკეთება არ შეიძლება.

ᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ
ᲠᲣᲡᲘ

პროტესტის საყოველთაო აქცია 5 ნოემბერს გაიმართება

რუსეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარემ ევგენი შკამოვმა დაადასტურა, რომ 5 ნოემბერს მოეწყობა პროტესტის საყოველთაო აქცია. მასთან შეხვედრისას პრემიერმა თქვა, რომ უახლოეს ხანს დაიფარება ხელფასის დავალიანება, მაგრამ შმაკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქცია გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ ამ დღემდე დაიფარება მთელი დავალიანება — 43 ტრილიონი რუბლი.

უშიშროების საბჭოში ახალი პირები გამოჩნდნენ

პრეზიდენტის ბრძანებულებით სააქციო საზოგადოება „ლოგოვაზის" მეთაური, რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის — ორტ-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბორის ბერიოზოვსკი და გენერალ-პოლკოვნიკი ლეონიდ მაიოროვი დაინიშნენ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეებად.

გერმანია ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებას მოითხოვს

ბელგიის გაზეთმა „გრენც ეხომ" გამოაქვეყნა მასალა, რომელიც ეძღვნება უკრაინის მთავრობის თანხმობას შეწყვიტოს ჩერნობილის ატომური ელსადგურის პირველი ელექტრობლოკის მუშაობა. ამ თანხმობის შესახებ გამოაცხადა უკრაინის გარემოს დაცვის მინისტრმა იური კოსტენკომ. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ რეაქტორის სწორედ 30 ნოემბერს ჩაქრობის თანხმობა მიღებულ იქნა მხოლოდ გერმანიის მხარის ულტიმატუმის შემდეგ. გერმანელმა დიპლომატებმა და მეწარმეებმა უკრაინის მთავრობას გაუგზავნეს პეტიცია და განცხადება, რომ თუ არ დაიცავენ ჩერნობილის ატეს-ის მწყობრიდან გამოყვანის გრაფიკს, მაშინ შეწყდება ყველა გერმანულ-უკრაინული პროექტის დაფინანსება.

ნატოს გენერალური მდივნის განცხადება

ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ 1997 წლის დამდეგისათვის ნატოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს დაუდოს რუსეთს თანამშრომლობის ხელშეკრულება. ყოველ ღონეს ვიხმარ, თქვა კავშირის გენერალურმა მდივანმა, რათა მივაღწიო „მტკიცე შეთანხმებას, რომელიც ხელს მისცემს რუსეთსაც და ნატოსაც". მისი თქმით, „ერთადერთი მტერი, რომელიც რუსეთსა და ნატოს ემუქრება, — „ეს არის არასტაბილურობა და მას ერთობლივი ძალისხმევით უნდა ვებრძოლოთ".

რუსეთი „ნემსზე ზის"

1990 წელს რუსეთში 27,5 ათასი ყმაწვილი დაიღუპა ორ ასაკობრივ ჯგუფში – 15-დან 19 წლამდე და 23-დან 24 წლამდე. შარშან ამ ციფრმა უკვე 44,3 ათას მიაღწია. არსებითად მათ ჯერ ხეირიანად არც კი დაეწყოთ ცხოვრება... სიკვდილიანობის ამ უსწრაფეს ზრდას (ორივე ასაკობრივ ჯგუფში) სპეციალისტები მნიშვნელოვანწილად ხსნიან ნარკოტიკების გამოყენებით. 29 მილიონ ახალგაზრდა რუსთაგან (15-დან 24 წლამდე), ექსპერტების აზრით, სულ ცოტა 7 მილიონი, ანუ ყოველი მესამე, ნარკომანი ან ტოქსიკომანია.



ეს მარკები ძლიერმოქმედი ნარკოტიკით არის გაჟღენთილი

ფედერაციის 10 მილიონი მცხოვრები ნარკოტიკის მონა გახდა

უფროსკლასელების, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი სკოლების მოსწავლეთა ორმოცი პროცენტი რეგულარულად ხმარობს ნარკოტიკებს, რომელთა ყიდვა დღეს თავისუფლად შეიძლება პრაქტიკულად ნებისმიერ დისკოთეკაში, ხალხმრავალ საცეკვაო მოედნებზე თუ ქალაქის ქუჩებში. სულ მთლიანად კი რუსეთში ათ მილიონზე მეტი ნარკომანია. სტუდენტები უმთავრესად ხმარობენ „**ლსდ**"-ს, შემოქმედი ინტელიგენცია — კოკაინს, კრიმინალურ გარემოში პოპულარულია ოპიუმი, ჰეროინუმი, მორფინი. ნარკოტიკი ანგრევს ღვიძლს, ტვინს, აბინძურებს სისხლს, იწვევს პიროვნების უსწრაფეს დეგრადაციას...

ნარკოლოგიურ სამედიცინო ცენტრებში ექიმთა უმრავლესობა (არაოფიციალურ საუბრებში) დაბეჯითებით აცხადებს, რომ ნარკომანის სრული განკურნება თითქმის შეუძლებელია. ასე რომ, „ნემსზე მჯდომ" ათ მილიონს ძნელი ბედი მოელის. მაგრამ ყველაზე საშინელი ის არის, რომ ეს 10 მილიონი ნარკომანი მხოლოდ დასაწყისია ჯაჭვური რეაქციისა, რომელსაც სერიოზული დეფორმაცია მოჰყვება საზოგადოებაში.

ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას საფრთხე ემუქრება

— მდგომარეობა კატასტროფული გახდა, — ამბობს უშიშროების ფედერალური სამსახურის ეკონომიკური კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი გენერალი ალექსი კუშტარენკო. — ნარკოტიკებისა და ნარკომანიის გავრცელების მასშტაბი და სიჩქარე ქვეყანაში იმდენად დიდია, ხოლო ნეგატიური ტენდენციები ისე სწრაფად ძლიერდება, რომ დღეს სრული სერიოზულობით დადგა ქვეყნის ეროვნული უშიშროების საფრთხის საკითხი. ამას მოწმობს არა მარტო რუსეთში და საზღვარგარეთ განტოტვილი ქსელის მქონე ნარკობიზნესის ფარული ოპერაციების განსაკუთრებით დიდი ოდენობა, არამედ აგრეთვე ფართო კორუფციული კავშირები აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში. ამ კრიმინალურ სფეროში ტრიალებს უზარმაზარი ფული — ასეულ მილიონობით დოლარი. ექსპერტთა შეფასებით, ნარკოტიკების წლიური ბრუნვა რუსეთში, დაახლოებით 200 ტონას შეადგენს. ყოველი გრამის გამაბრუებელი შხამი იატაკქვეშა ბიზნესში ძალიან ძვირი ღირს. მაგალითად, გრამი კოკაინი 80-დან (ბითუმად მყიდველებისათვის) 250 დოლარამდე, გრამი ჰეროინუმი — 30-200, აბი „ექსტაზი" (**მდმ**) — 50-70... ფასები მეტია, ვიდრე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ ევროპაში. რუსეთი, მისი ფაქტობრივად გაშიშვლებული საზღვრებით, კრიმინალური კლანებისათვის ნამდვილ [illegible] დამატად იქცა. დიდ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო ნარკოსტრუქტურების რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს. ამ იატაკქვეშა ბიზნესში ჩაებნენ რუსეთის ის დანაშაულებრივი დაჯგუფებებიც, რომლებიც წინათ ნარკოტიკებზე არ „მუშაობდნენ". მარტო შარშან ნარკომანთა რიცხვი ჩვენში 64 პროცენტით გაიზარდა...

ჩვენ გულხელდაკრეფილი არ ვსხედვართ. სპეცსამსახურები და სამართალდამცველი ორგანოები, მე ვიტყოდი, უკანასკნელი ზღუდეა ნარკომაფიის ტოტალური შემოტევის გზაზე. ლამის ყოველკვირეულად, ზოგჯერ კი ყოველდღიურად ვავლენთ ფართომასშტაბიან კონტრაბანდულ ოპერაციებს, ვაამჟღავნებთ ფარულ ბუნაგებსა და იატაკქვეშა ლაბორატორიებს. მარტო მოსკოვის რეგიონში ჩვენმა ერთ-ერთმა განყოფილებამ შარშან 330 მილიარდი მანეთის ნარკოტიკები ამოიღო. ძალ-ღონეს არ იშურებენ არც შინაგან საქმეთა ორგანოები. სულ მრავალი ტრილიონი მანეთის შხამიანი ბანგია ამოღებული. გასულ წელს ჩადენილია 80 ათასი დანაშაული ნარკოტიკებთან დაკავშირებით. მსჯავრდებულია 45 ათასი კაცი. ასე რომ, ოპერატიული სამსახურები ალალ პურს სჭამენ. მაგრამ მარტოოდენ ჩვენი ძალისხმევა უკვე აღარ არის საკმარისი. იმიტომ, რომ სახელმწიფო ამ ბოროტებას უნდა ებრძოლოს ყველა მიმართულებით. უწინარესად უნდა იზრუნოს ახალგაზრდობისათვის, რომლებიც არსებითად ბედის ანაბარაა მიტოვებული. უმაღლესი სკოლებისა და სასწავლებლების ათიათასობით კურსდამთავრებულს სამუშაო ვერ უშოვია. ისინი უსაქმოდ, უმიზნოდ, უპერსპექტივოდ დაეხეტებიან. ერთს ნარკოტიკებისაკენ უბიძგებს სტრესი, სიცარიელე და სასოწარკვეთა, მეორეს — მისწრაფება, გაექცეს რეალობას ზმანებათა სამყაროში, მესამეს — ახალგაზრდული „მარიაჟობა", სურვილი, გაითქვას ძალები, რათა, მაგალითად, ფიზიკურად გაუძლოს ხანგრძლივ მრავალსაათიან მარათონს დისკოთეკაში, ხოლო მოსწავლეები „კაიფს იჭერენ" ცნობისმოყვარეობის გამო, უფროსი ბიჭების წამხედურობით, ყალბი მეობის დამკვიდრების მიზნით. მე შენ გეტყვი და ნარკოტიკს ვერ იშოვიან, იგი ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება.

რამდენიც უნდა იჭირო კონტრაბანდისტები, „თეთრი სიკვდილის" რაღაც ნაწილი მაინც აღწევს ქვეყანაში. ნარკოტიკები ჩამოაქვთ ნიგერიიდან, ავღანეთიდან, პაკისტანიდან, ინდოეთიდან, ბრაზილიიდან, ჰოლანდიიდან, ტაჯიკეთიდან, უკრაინიდან, ჩრდილოეთ კორეიდან, აზერბაიჯანიდან. აქ მთავარია, რომ მეხუთეკლასელსა და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს, ინჟინერსა თუ მუშას გამოუმუშაო იდეოლოგიური იმუნიტეტი ამ სენის წინააღმდეგ. ამისათვის კი აუცილებელია საგულდაგულო და ჭკვიანური, პროპაგანდისტული ახსნა-განმარტებითი მუშაობა. საჭიროა ახალგაზრდული ცენტრები, რომლებიც ყმაწვილებს მიიზიდავენ არა ბანგით, არამედ ავტომობილებით, კომპიუტერული თამაშებით. მაგრამ ჩვენში ამ მხრივ თითქმის არაფერი კეთდება.

ძალზე ბევრი პრობლემა სწორედ დაფინანსების უქონლობის გამო ვერ გადაწყვეტილა. ქვეყნისათვის აუცილებელი პროგრამა — ნარკოსტრუქტურების აგრესიისაგან დაცვის კონკრეტული პროგრამა ჯერ კიდევ 1994 წელს შემუშავდა, მაგრამ დღემდე კაპიკიც არ არის გამოყოფილი. არ გვყოფნის ტექნიკა, ადამიანები. „ფიჭა"-ტელეფონი ხომ საერთოდ წარმოუდგენელი ფუფუნებაა ოპერატიული [illegible]სათვის.

[illegible], ოპერატიული სამსახურების დასახმარებლად სულაც არ არის აუცილებელი ავიღოთ ფული სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მარტო წლეულს უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა დამნაშავეებს ჩამოართვეს ათიათასობით დოლარი, საიუველირო ნაწარმი, მსუბუქი ავტომობილები, კომპიუტერები და ბევრი სხვა რამ. რატომ არ შეიძლება, რომ სხვა სახელმწიფოთა მაგალითისამებრ ჩვენშიც გაიხსნას სპეციალური ანგარიში იუსტიციის სამინისტროს ეგიდით, სადაც გადაირიცხებოდა კრიმინალური სამყაროსათვის ჩამორთმეული სახსრების ნაწილი (მაგალითად, 30 პროცენტი)? მარტო ეს საგრძნობლად დააცხრობდა პრობლემის სიმწვავეს.

ახლა ვნახოთ, როგორ ებრძვიან ნარკომაფიას ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1997 წელს ამ მიზნით ასიგნებულია 15,1 მილიარდი დოლარი. ფული განკუთვნილია არა მარტო მართლწესრიგის, სპეცსამსახურების გაძლიერების, არამედ აგრეთვე იმ პროგრამების დაფინანსებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ნარკოტიკებზე მოთხოვნილების და მათი შემოსავლის შემცირებას, აგრეთვე ამ სფეროში საერთაშორისო თანამოქმედების განვითარებას. 540 მილიონი დოლარი მარტო სკოლებში მუშაობისთვის არის გამოყოფილი, კიდევ 371 მილიონი — გამაფრთხილებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებებისათვის სკოლის კედლებს გარეთ. 904 მილიონი დოლარი განკუთვნილია ნარკომანების სამკურნალოდ, ხოლო 1,4 მილიარდი — ჰეროინუმის, „**ლსდ**"-ს, ჰაშიშის მომწოდებლებთან საბრძოლველად. ნარკობიზნესთან ბრძოლის სამმართველო 121 ერთეულით ზრდის თავისი აგენტების შტატს საზღვარგარეთ, რასაც 25 მილიონი დოლარი (!) მოხმარდება. დიდძალი სახსრებია გამოყოფილი ახალი ტექნიკის შესაძენად. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სახელმწიფოს ესმის ნარკომაფიის საშიშროება და სერიოზულად ებრძვის მას. ჩვენში კი სულ სხვა სურათია. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, სულ მალე რუსეთი ნარკოეპიდემიის გაქანებით უკან ჩამოიტოვებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებს.

სიურპრიზიანი მარკები

მაგიდაზე გროვად აწყვია პაწაწინა ფერადი მარკები (ზომით 1 სმX1სმ). მასზე გამოსახულია ზოდიაქოს ნიშნები, ასოები, ნახჭი... აი, სსრ კავშირის ექსპრეზიდენტის ნაცნობი პორტრეტიც — მარკას ასევე ეწოდება — გორბაჩოვი. 78 ფერადი კვადრატია — ფილატელისტებს გაუხარიათ. მაგრამ ფილატელია აქ არაფერ შუაშია. ეს უბრალო შენიღბვაა. მარკები გაჟღენთილია სინთეზური ნარკოტიკით — „**ლსდ**"-თი. ერთი დოზისათვის საკმარისია არა მთელი მარკა, არამედ მისი მეოთხედი. მას ენის ქვეშ იდებენ ან ღეჭავენ — ბანგი რვა საათს მოქმედებს. ერთი მარკის ღირებულება 80-დან 130 ათას მანეთამდეა.

მარკების გაგზავნა მოსახერხებელია ფოსტით. თავდაპირველად ისინი არავითარ ეჭვს არ იწვევდნენ არც კავშირგაბმულობის მუშაკებისა და არც კონტრმზვერავებს შორის, მაგრამ დღეს ყველა სამსახურს აქვს დიდი ფერადი კატალოგები, სადაც ამგვარი „პროდუქციაა" შეტანილი. ამოწმებენ არა მარტო აღნიშნულ, არამედ ახალ მარკებსაც. ყველაზე ძნელია მათი ჩავლება, როდესაც გზავნილება სასწრაფო ფოსტით მიდის. კონვერტს დილით ჰოლანდიაში აბარებენ, დღისით კი იგი უკვე ბარდება მოსკოველ ადრესატს. წერილს, მოგეხსენებათ, ვერ გახსნი, თუ არა გაქვს სასამართლოს ან პროკურატურის ნებართვა. მის მიღებას კი გარკვეული დრო სჭირდება...

ეს მხოლოდ პრელუდიაა

ყოველ დაბანდებულ დოლარს ნარკოსაქმოსნებისათვის კარგად მომზადებულ ფარულ ბაზარზე ათასი დოლარი მოგება მოაქვს. სწორედ ამიტომ მოიწევენ ასე თავგამოდებით რუსეთში საერთაშორისო კრიმინალური სტრუქტურები. მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი.

სახელმწიფოს მხრივ პრობლემისადმი ჯეროვანი ყურადღების უქონლობა გვიქადის საფრთხეს ხელიდან გავუშვათ სტრატეგიული ინიციატივა ნარკოსაშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც მოწმობს „თეთრი სიკვდილის" ბაზრის და მისგან მიღებული ზეშემოსავლის მასშტაბები.

საერთაშორისო კრიმინალური სტრუქტურები ამზადებენ პლაცდარმს რუსეთში ნარკობაზრის შემდგომი გაფართოებისა და ფულის გაწმენდის სისტემის მოგვარებისათვის. ასე რომ, ახლანდელი სიტუაცია, შეიძლება ითქვას, მხოლოდ პრელუდიაა კიდევ უფრო მეტი უსიამოვნებებისა, თუ დროზე არ იქნა მიღებული გადამჭრელი, კომპლექსური და მასშტაბური ზომები.

ნარკობიზნესის შემოტევა ძლიერდება...

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების — OMRI -სა და „პლანეტა-ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება არჩილ მანჯგალაძე.

კონფერენცია

როგორ აღვზარდოთ „იმედი ხვალის“!

ტოლერანტობის აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საერთაშორისო ფორუმმა, რომელიც შარშან თბილისში საქართველოს კულტურის მოღვაწეთა თაოსნობით საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და იუნესკოს გენერალური დირექტორის ფედერიკო მაიორის მეურვეობით ჩატარდა.

ამ ფორუმის მიერ მიღებული პროგრამა უკვე პრაქტიკულად ისხამს ხორცს.

ამ დღეებში საერთაშორისო კონფერენციის — „სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადება მრავალეროვან საზოგადოებაში“ — მონაწილეებს ამჯერადაც საქართველო მასპინძლობდა.

იუნესკოს საქმეთა საქართველოს ეროვნულ კომისიასთან, ფონდთან „დემოკრატია და აღორძინება“ და იუნესკოს სამდივნოსთან თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის თანამშრომლობით გამართული კონფერენციის მიზანი იყო მასწავლებელთა საერთაშორისო გაცვლების საქმეში წვლილის შეტანა და განხილვა უმნიშვნელოვანესი თემისა: „როგორ აღვზარდოთ ბავშვები და ახალგაზრდები ტოლერანტობისა და სხვა ეროვნების, რელიგიისა და კულტურის თანატოლებისადმი მეგობრობის სულისკვეთებით“.

ტაბახმელის საკონფერენციო ცენტრის დიდ დარბაზში თავი მოიყარეს განათლების სისტემის მუშაკებმა, საშუალო სკოლის მასწავლებლებმა, ძირითადად იუნესკოს ასოცირებული სკოლებიდან, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ამიერკავკასიის რეგიონიდან, რუსეთიდან, აზიიდან და დასავლეთ ევროპიდან. პლენარულ სხდომებსა და ცალკეულ სექციებში მათ ბევრი საინტერესო მოხსენება მოისმინეს.

ქართველმა პროფესორმა ვახტანგ სართანიამ და კორეელმა პროფესორმა პაკ ჯე ვუმ, ფრანგმა ელიზაბეტ კავაშკემ და ლუქსემბურგელმა ე. ვაგნერმა, ინგლისელმა ლ. ვესტმა და ავსტრიელმა გ. გოშნიკმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს არა მარტო ბავშვებსა და ახალგაზრდებში ტოლერანტობის აღზრდას, არამედ მასწავლებელთა მომზადებას უცხო რელიგიების, ეროვნებისა და კულტურებისადმი შემწყნარებლობის სულისკვეთებით.

— მთავარია საკუთარ სიძნელეებს არ გავუჩუმდეთ და არ დავმალოთ, — ორაზროვნად განაცხადა იუნესკოს გენერალური დირექტორის საგანგებო მრჩეველმა ვლადიმერ ლომეიკომ. მართალია ეს ფრაზა კონფერენციის ამ მონაწილეთა მისამართით იყო ნათქვამი, მაგრამ იგი სხვა კონტექსტითაც იკითხებოდა.

ალბათ, ნარკომანია უნდა ვიგულისხმოთ, რომელსაც კონფერენციის მონაწილეებმა გვერდი ვერ აუარეს და პრობლემის განხილვის შემდეგ დაასკვნეს — მათემატიკური აზროვნების განვითარებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ნარკომანიის გავრცელებას.

ეს კონფერენცია თუნდაც ამ „აღმოჩენით“ იყო დასამახსოვრებელი და იმედის მომცემი — იქნებ მათემატიკური მეცნიერებისაკენ ახლა მაინც შევბრუნდეთ ჰუმანიტარულ პროფესიებზე შეყვარებული ქართველები.

ბექა ჟღდია.

თამბაქოს — კატეგორიული უარი

თბილისში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მართვის ცენტრში მუშაობა დაიწყო კონფერენციამ, რომელიც ერთ თვეს გასტანს. იგი ეძღვნება მეტად მტკივნეულ პრობლემას — თამბაქოს წევას მავნეობას, იმ კატასტროფული შედეგების განხილვას, რაც თამბაქოს წევის ეპიდემიას მოჰყვება. კონფერენციის ორგანიზატორები არიან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი. მის მუშაობაში მონაწილეობენ რესპუბლიკის თვალსაჩინო მედიკოსი მეცნიერები, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მრგვალი მაგიდის სხდომა გახსნა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ რამაზ ურუშაძემ.

მომხსენებელმა, თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის დირექტორმა გელა კობეშავიძემ მოიყვანა ცენტრის მიერ გამოვლენილი რამდენიმე შემაშფოთებელი ფაქტი: ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მამაკაცებში მწეველთა რაოდენობამ 1,4 ჯერ მოიმატა, ხოლო ქალებში — 9,4-ჯერ. მწეველთა რიცხვის ინტენსიური ზრდა მოზარდთა ხარჯზე ხდება. თბილისის სკოლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ 12-16 წლის მოზარდებში თამბაქოს სისტემატურად ეწევა ბიჭების 84 და გოგონების 78 პროცენტი.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, — აღნიშნა მომხსენებელმა, რომ უახლოეს მომავალში თამბაქოს წევა განსაკუთრებულ სირთულეებს შეუქმნის ჯანმრთელობის სისტემას, მთელ ქვეყანას, მოსახლეობას. მკვეთრად გააუარესებს ერის ჯანმრთელობის ისეთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, როგორიცაა საერთო სიკვდილიანობის დონე, რომელშიც, როგორც საბოლოო შედეგში, შეჯერებულია მედიკო-ბიოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ურთიერთმოქმედება. თამბაქოს წევით გამოწვეული ავადმყოფობის მიზეზით მუშა-მოსამსახურეებში გაიზრდება სამუშაო დროის დანაკარგი და დროებითი შრომისუუნარობისათვის გაწეული ხარჯები. საწარმოო-შემოქმედებით პროცესში შეფერხდება მათი ინტელექტუალურ-ფიზიკური პოტენციალის გამოყენება, რასაც მოჰყვება შრომის ნაყოფიერების მკვეთრი დაცემა, საყოფაცხოვრებო და ფსიქოლოგიური პირობების გაუარესება.

მრგვალი მაგიდის გარშემო გამართულ დებატებში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი პაატა იმნაძე, მისი მოადგილე გურამ კაციტაძე, პროფესორი გელა ლეჟავა, ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრიდან — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კიბოს ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელი ვასილ ტყეშელაშვილი, ონკოლოგიის ცენტრის გულმკერდის ქირურგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თემურ ჩაჩხიანი და სხვები.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში შემცირდეს თამბაქოს ეპიდემიის გავრცელების მასშტაბები? გამოითქვა მოსაზრება, რომ თამბაქოს წევის ინტენსივობის ზრდის შეჩერებისათვის იქნებ გამოვიყენოთ აკრძალვითი მეთოდები, ისე, როგორც ეს საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშია.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის გათვითცნობიერებას. ფილტვის კიბოთი დაავადებულთა 87 პროცენტი ხომ თამბაქოს მწეველია! ბევრს ჰგონია, რომ მას არ გაუჩნდება კიბო, რადგან თავს კარგად გრძნობს. და არა მარტო ფილტვის კიბო, ხორხის, ზემო სასუნთქი გზების ონკოლოგიურ დაავადებებში დიდი როლი თამბაქოს წევას „მიუძღვის“.

გამომსვლელებმა არა ერთი ფაქტი მოიყვანეს, თუ რა პათოლოგიურ შედეგებს იწვევს თამბაქოს წევა მოზარდებში, ქალებში, განსაკუთრებით ორსულობის პერიოდში. ყოველფერი უნდა ვიღონოთ, რომ მოზარდმა არ დაიწყოს წევა. უნდა გამოვიკვლიოთ: რატომ მიმართავს იგი ასე ადრეულ ასაკში თამბაქოს წევას. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ სკოლამ, ფსიქოლოგებმა.

განსაკუთრებით მწვავედ დაისვა თამბაქოს ნაწარმის რეკლამის საკითხი, რაც საზღვარგარეთის ქვეყნებში კარგა ხანია აკრძალულია. აქ, ჩვენში კი ქუჩებში, მეტროში, თუ ტელევიზიით მისი ფართო რეკლამა მიმდინარეობს. ანტირეკლამა კი არსად ჩანს.

კონფერენციის მეორე სხდომა დღეს გაიმართება.

მესამე სხდომა 14-15 ნოემბერს შედგება. კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები, პროფესიული კავშირების, აგრეთვე საფინანსო-საგადასახადო დაწესებულებების მუშაკები.

მეოთხე სხდომა 22 ნოემბერს არის დაგეგმილი. იგი მიეძღვნება ერთი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შეჯამებას, მრგვალი მაგიდის ძირითადი გადაწყვეტილებების შემუშავებას.

ვფიქრობთ, თამბაქოს საწინააღმდეგო პირველი კონფერენცია უთუოდ ნაყოფიერ შედეგს მოიტანს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ორიენტირებისა და კონსოლიდაციის საქმეში, რასაც უნდა მოჰყვეს საზოგადოების აქტიურობის გაზრდა თამბაქოს საწინააღმდეგო მოძრაობაში.

ლარისა ხუბულური.

ფრთხილად!

დღეს, 31 ოქტომბერს საზოგადოებრივი მობილიზაციის პროგრამის „თამბაქო თუ ჯანმრთელობა“ ეგიდით გაიმართება კონფერენციის მეორე სხდომა, რომლის ძირითადი თემაა „თამბაქო და არასრულწლოვანი“: მრგვალი მაგიდის მუშაობაში ექიმებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ განათლების სისტემის მუშაკები. 1 ნოემბერს კონფერენციაზე მოწვეული არიან პრესის, რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლები. ძირითადი თემაა „მას-მედია — როლი და რეალობა“.

სხდომები მრგვალი მაგიდის გარშემო გაიმართება ჯანდაცვის სამინისტროს მართვის ეროვნულ ცენტრში, მისამართი: ივანე ჯავახიშვილის ქ. № 51, დასაწყისი 12 საათზე.



ბინები, აგარაკები

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება სამოთახიანი ბინა მიშენებით. აბაზანა-სამზარეულო კაფელში, სუფთა გარემონტებული ბინა. მისამართი: თემქის დასახლება, მეტრო „სარაჯიშვილთან“, მე-9 კვარტალი, მე-18 კორპუსი, მე-3 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა 40. ფასი შეთანხმებით. ტელ: 60-85-27, ნუნუ.

ვყიდი ბინას ვერაზე ფილარმონიის წინ, ოროთახიანს გადაკეთებულს სამოთახიანად, ხუთსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე. ბინა მაღალჭერიანია. საერთო ფართი 75 კვ. მ. ლოჯიით და ორი აივნით, ტელეფონით. სინათლე, ლიფტი და წყალი მუდმივადაა. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 93-40-75, ეკა, დათო. 31-68-26, გია.

იყიდება ქ. ქუთაისში, სამოთახიანი (28-22-18) პრივატიზებული, მაღალჭერიანი, გარემონტებული ბინა (ოთხ ოთახად გადაკეთებული) დიდი ლოჯიით (22 კვ. მ.) საერთო ფართობი 110 კვ. მ. იზოლირებული საძინებლებით, მუხის პარკეტით, მუხის კარ-ფანჯრებით, მუხის ჩადგმული კარადებით, კაპიტალური გარაჟით, ბინა არის ხუთსართულიანი სახლის მე-2 სართულზე, ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში ან იცვლება ქ. თბილისში ოროთახიან, არასტანდარტულ ბინაზე, სასურველია ვაკის, საბურთალოს ან ვერის უბანში. ტელეფონი ქუთაისში — 5-80-65, ამირანი; თბილისში — 95-14-32.

ვცვლი ოროთახიან, არასტანდარტულ, კოოპერატიულ ბინას საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, 14-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, ტელეფონით, სამაგიეროს მიღებით დიდ დიღომში ან ღრმაღელეში, განსხვავებული ფასით. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-7 კვარტალი, მე-4 კორპ. I სად. 30-09-81.

ქირავდება ოროთახიანი სუფთა ბინა მე-3 სართულზე, ერთ გოგონაზე, ცალკე ოთახით, სათანადო ავეჯით, ტელეფონით, მაღალჭერიან მზიან ბინაში, ქალაქის ცენტრში. ფასი 50 დოლარი. მისამართი: მთაწმინდის რაიონი, ყიფიანის № 7. 99-09-49, ნაზიკო.

ქირავდება ოროთახიანი ბინა, კომერციული საქმიანობისათვის კრწანისის რაიონში, იერუსალიმის მოედანზე, ფასი შეთანხმებით. 96-43-39.

სასწრაფოდ იყიდება კერძო ეზოიანი, კაპიტალური, ერთოთახიანი სახლი ბუხრით, 25 კვ. მ. ფართობით. სახლს აქვს მიშენებული რკინის კარკასი 15 კვ. მ. ფართის ერთი ოთახისათვის. ეზოს ფართია 1000 კვ. მ. მისამართი: გურამიშვილის გამზირი 70, ჩიხი № 10. (მე-8 საავადმყოფოს გაჩერების მოპირდაპირე მხარეს) საწყისი ფასი 15000 დოლარი. მოგვაკითხეთ ყოველდღე 12-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

ვაქირავებ ბინას უცხოელებზე, ბინა სამოთახიანია, ლოჯიით, ფალიაშვილის ქ. 81 (ვაკის პარკთან), ტელ: 23-08-70, ია ან აბელი.

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი, იზოლირებული ბინა ავეჯით, რკინის კარებით, თემქის მე-3 მ/რ, მე-2 კვარტალში, 33-ე კორპუსში, მე-9 სართულზე, საწყისი ფასი 7500 დოლარი. 38-07-61 (საღამოს საათებში).

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული, მაღალჭერიანი, არასტანდარტული ბინა ბარნოვის ქუჩაზე, ვაკეში, სარდაფით, ფასი შეთანხმებით. 29-19-82.

ვყიდი ოთხოთახიან, ჩეხური პროექტის, პრივატიზებულ ბინას, მუხიანის მე-4 მ/რ. მე-11 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული. ბინას აქვს ორი აივანი, ლოჯია 18 კვ. მ. ტელეფონი 63-34-95, 38-50-87, ნელი.

იყიდება თემქაზე, ხუთოთახიანი, ინდივიდუალური პროექტით აშენებული ბინა მე-11 მ/რ-ში, III კვარტალში, მესამე სართულზე ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 60-26-25; 60-08-34; 62-65-23.

სასწრაფოდ იყიდება საგურამოსთან ახლოს მდებარე სოფელ ახატანში ორსართულიანი, გაუმართავი სახლი 1500 მეტრი ხეხილის ბაღით. ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით ტელეფონით: 99-62-47.

იყიდება სამოთახიანი ბინა, გამსახურდიას გამზ. 14/26, რვა სართულიანი სახლის მე-5 სართულზე. საერთო ფართობია 95 მ², ჭერის სიმაღლე — 2,75 მ. ტელეფონით. ცალკე ტუალეტით, 8 მ² საკუჭნაოთი. პროექტი ინდივიდუალურია. დარეკეთ: 38-12-89.

ქირავდება ერთი ოთახი სამოთახიან იზოლირებულ ბინაში მეტრო „ღრმაღელის“ წინ, ერთ ან ორ გოგონაზე. ტელ: 61-63-38.

იყიდება სამოთახიანი, მაღალჭერიანი, გარემონტებული ბინა, ალმაშენებლის გამზირის ტერიტორიაზე (ტურგენევის № 4-ში).
ტელეფონი: 96-09-48.

იყიდება ოთხოთახიანი, გარემონტებული, დიდი ფართის ბინა „დელისის“ მეტროსთან. ტელ: 39-10-71.

იყიდება კაპიტალური შენობა ფონიჭალის დასახლებაში, ფართით 200 კვ.მ. ეზო 100 კვ.მ. საწყისი ფასი 30 000 დოლარი. ტელეფონი: 71-71-86 ან 93-89-53.

იყიდება ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე ხუთი ოთახი (44, 38, 21, 32, 14 კვ.მ.) რამდენიმე სველი წერტილით. ჭერის სიმაღლე ხუთი მეტრია. ბევრი სათავსოებით, იზოლირებული შესასვლელით სადარბაზოდან, სამი ტელეფონით, მუდმივი ელექტროენერგიით. მეტრო „სამგორთან“. საწყისი ფასი 35 000 დოლარი. ტელ: 71-79-67 ან 71-71-86.

ვაქირავებ საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე ოროთახიან იზოლირებულ ბინას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-39-77; 66-05-17.

ქირავდება ოროთახიანი ბინა მეტრო „დელისის“ თავზე, ავეჯით, ტელეფონით, მუდმივი ცხელი წყლით. ფასი 200 დოლარი. ტელ: 64-64-39; 95-95-84.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო „ღრმაღელესთან“. ფასი 5 000 დოლარი. დარეკეთ: 61-77-04.

ვაქირავებ ოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას დიდ დიღომში, რკინის კარებითა და ავეჯით. თექვსმეტსართულიანი სახლის მე-12 სართულზე. ფასი 70 ლარი. ტელ: 51-53-29. სახლის მფლობელს მიაკითხეთ მისამართზე: მეტრო დიდუბე, დიღმის მასივი, II კვარტალი, მე-16 კორპუსი, 1 სართული. მედეა. 14 00 საათიდან.

ქირავდება ორი ოთახი საკუთარი სახლის პირველ სართულზე. ბინა არის მეგრელიძის ქუჩაზე. (მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“). სასურველია სტუდენტი გოგონასათვის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-64-82.

იყიდება ოთხოთახიანი ბინა, კარგად გარემონტებული. ბინა არის ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, მე-7 სართულზე. მე-5 ოთახი 8 კვ.მ-ია, რომელშიც გაკეთებულია ოთხივე მხარეს დაფანერებული კარადები. ბინას აქვს სარდაფი, ტელეფონი. ფასი 90 000 დოლარი. ტელ: 23-26-46.

ქირავდება საკუთარი სახლის 1-ლი სართული, ნუცუბიძის ქუჩაზე, სახელოსნო ან კომერციული საქმიანობისათვის. ტელ: 31-88-11.

ქირავდება ოთახნახევრიანი, გარემონტებული ბინა საირმის ქუჩაზე, ავეჯით, ცხელი წყლით, გაზით, ტელეფონით. ფასი 250 ლარი. ტელ: 38-04-58; 98-74-87.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა, ჩიქოვანის ქუჩაზე, 16 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე, ტელეფონით, ორი ღია აივნით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-12-59. ან 72-10-39.

იყიდება სამოთახიანი, სტანდარტული ბინა 40 კვადრატული მეტრის მიშენების პერსპექტივით, დიდუბის ცენტრში, 9 სართულიანი კორპუსის მეოთხე სართულზე, არის ტელეფონი და საგარაჟე ადგილი, ფასი 28 ათასი დოლარი ან იცვლება ორ ოთახიან ბინაზე მასივების გარდა. იყიდება აგრეთვე აგარაკი მცხეთისა და დუშეთის რაიონების საზღვარზე, კაპიტალური სახლით და მსხმოიარე ხეხილის ბაღით 8 ათას დოლარად და ოროთახიანი ბინა ქ. რუსთავის ცენტრში, მესამე სართულზე, მუდმივი გაზით და ელექტროენით, 4 ათას დოლარად. ცნობებისათვის დარეკეთ: 38-67-04.

ქირავდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა, მეტრო „პოლიტექნიკურთან“. ფასი 100 დოლარი. ტელ. 95-17-91 ან 96-94-08.

იყიდება ოთახნახევრიანი ბინა (სარემონტო), ნუცუბიძის პლატოზე,მე-4 მ/რ-ში, ფასი 8000 დოლარი. 31-42-57.

იყიდება ან იცვლება ერთოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველაზე, მშენებარე მეტროს წინ, მე-5 სართულზე, ან იცვლება ოროთახიან ბინაზე ნუცუბიძის პლატოზე ან მეტროსთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. 34-03-97.

იყიდება ოთხოთახიანი, გარემონტებული,ჩეხური პროექტის ბინა დიდუბის ეკლესიასთან, ჩაშენებული კარადებით, ავეჯით, საშრობით, აივნებით, ცხელი წყლით, ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. 34-14 27.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო „დელისთან“ ცხელი წყლით, ტელეფონით, ორი აივნით, ფასი 11000 დოლარი. 39-81-37.

სასწრაფოდ იაფად იყიდება აგარაკი საგურამოსთან ახლოს, კოტორაანთ კარში. სახლი კაპიტალური და ორსართულიანია, მანსარდით, 21 კვ. მ. ღია აივნით. ეზო 800კვ. მ. ყველანაირი ხეხილით და ვენახის ხეივნით. მუდმივად არის წყალი და შუქი. ფასი 9000 ლარი. დაგვირეკეთ: 30-21-22, ნანა ან ნათელა (საღამოს).

იყიდება სასწრაფოდ საკუთარი სამსართულიანი სახლი ნინოშვილის ქუჩაზე. სახლი აშენებულია ევროპული დიზაინით, ჩამონტაჟებულია გათბობისა და ცხელი წყლის სისტემა. სახლს აქვს სარდაფი, ავტოფარეხი. სახლი გამოდგება, როგორც საცხოვრებლად, ასევე საოფისედ და მინი სასტუმროსათვის. ფასი 100 000 დოლარი. ტელ. 39-00-98. 95-50-35.

ვყიდი ერთოთახიან ბინას სამედიცინო ინსტიტუტთან, რვასართულიანი სახლის მე-6 სართულზე. ბინას აქვს ღია აივანი, ტელეფონი. ფასი შეთანხმებით. 39-82-60.

იყიდება ვერაზე, ორსართულიანი, კერძო სახლი 10X7 საკუთარი ეზოთი. საერთო ფართი 140 კვ. მ. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ბელინსკის (ჭოველიძის)37ა, ვანო.

იყიდება ოროთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა გადაკეთებული სამ ოთახად, დაუმთავრებელი რემონტით. მისამართი: ელიავას 38, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული. ფასი 28 ათასი დოლარი. ტელ.: 95-76-83 დღისით. 35-47-09 საღამოს. რუსლან ჩხიკვაძე.

ვცვლი ოროთახიან ბინას დიდი დიღმიდან მთაწმინდაზე, ვერაზე ან აღმაშენებლის გამზირზე. 38-72-78 (საღამოს).

ვაქირავებ ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას, ტელეფონით, კინო „საქართველოსთან“. ფასი შეთანხმებით. 38-72-78.

იყიდება სამოთახიანი, ჩეხური პროექტის, კუთხის ბინა ვაზისუბნის II მ/რ მე-8 სართულზე. გამოცვლილია სანტექნიკა, კარ-ფანჯარა, იატაკი, ბინა გალესილია, საჭიროებს მცირეოდენ რემონტს. სამზარეულოში დამონტაჟებულია კარადები, აქვს რკინის კარები. ფასი 12.000. ტ. 74-36-62.

იყიდება ვაკეში, არაყიშვილის ქუჩის II ჩიხში, ოთხოთახიანი, სარემონტო ბინა 115 კვ. მ. საერთო ფართით. ოთახების ფართი 65 კვ. მ. ლოჯია 22 კვ. მ. ორი სარდაფითა და მანქანის დასაყენებელი ადგილით, ფასი 35000 დოლარი. ტ. 22-10-92, 92-10-22.

ქირავდება კერძო სახლი საბურთალოზე, ცაგერის ქ. №84 (მიცკევიჩის ქუჩის პარალელური). პირველ სართულზე არის ავტოფარეხი და საკუჭნაო, მეორე სართულზე ოთხი საცხოვრებელი ოთახია ავეჯით და ტელეფონით. აქვს ხეხილიანი ეზო. ტელ. 37-08-01. ფასი 200 დოლარი.

ქირავდება ოროთახიანი ბინა ჭავჭავაძის №56-ში. დარეკეთ: 22-37-09.

ვყიდით ოროთახნახევრიან ბინას გლდანის „ა“ მ. რაიონის 66-ე კორპუსის I სადარბაზოს მე-9 სართულზე. ბინას აქვს ტელეფონი, რკინის კარები. დარეკეთ: 62-45-57, იზა.

იყიდება ერთოთახიანი, გარემონტებული, ყაულაშვილის პროექტის ბინა. არის მანქანის ადგილი. მისამართი: ვარკეთილის მე-4 მ. რ. მე-2 რიგი, მე-13 კორ, მე-5 სართული, ბინა 30, ვარკეთილის მეტროსთან. იკითხეთ ვართანოვა. ფასი შეთანხმებით დილის 10 საათამდე, და საღამოს 17 საათის შემდეგ.

იყიდება მაღალჭერიანი, ოროთახიანი, იზოლირებული ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისში, მეტრო — „სამედიცინო ინსტიტუტთან“. ბინას აქვს რკინის კარები, სარდაფი, ტელეფონი. ფასი 23 ათასი დოლარი. ტელეფონი: 38-45-67 ან 37-07-61.

იყიდება ოთხოთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა. მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის 149, მე-2 სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 35. მარინა ჩერნოვა.

ვყიდი სამოთახიან, გარემონტებულ ბინას დიღმის მასივში 14 სართულიანი სახლის მე-12 სართულზე ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, რკინის კარებით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-35-37.

იყიდება სასწრაფოდ ოროთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სამედიცინო ინსტიტუტთან, რვასართულიანი სახლის მე-4 სართულზე. ბინა გარემონტებულია. აქვს ლოჯი, აივანი, რკინის კარები, ჭერის სიმაღლე 2,65 სმ. აქვს ტელეფონი. საწყისი ფასი 24500 დოლარი. ტელ. 39-77-21, ქეთევანი.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა, დოლიძის ქუჩაზე, 8 სართულიან სახლის მე-4 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 34-62-28, ია.

ვყიდი კერძო, სამოთახიან სახლს დიდი ეზოთი და ხეივნით სამზარეულო და დამატებით ერთი ოთახი ცალკე ეზოში. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ლოტკინის დასახლება, წეროვნის ქ. № 105.

იყიდება ერთოთახიანი ბინა საბურთალოზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტის“ მახლობლად. ტელ. 51-67-17.

იყიდება ოთახნახევრიანი , ნახევრადგარემონტებული ბინა ტელეფონით, გლდანის მე-3 მ/რ კორპუსი—73, მე-8 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-44-21, ნაირა ან ლენა, ნებისმიერ დროს.

იყიდება სასწრაფოდ ოროთახიანი ბინა, რკინიგზის სადგურთან, ნინოშვილის ქუჩაზე. ბინის ფართი 26X15, ჰოლი ცხრა კვადრატული მეტრია, სამზარეულო 12 კვ. მ. აქვს აბაზანა და ტუალეტი, ჭერი 3,60 სმ. აქვს სარდაფი, მანქანის ადგილი; წყალი და დენი მუდმივადაა. ფასი 12 ათასი დოლარი. ტელეფონი ,95-30-47, ჯიმშერი.

იყიდება ოროთახიანი ბინა ტელეფონით, სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-5 კვ. 23-ე კორ. ბინა — 57; ტელეფონი: 51-50-19; 51-43-62, 51-22-51, ფასი შეთანხმებით.ზაზა, სოსო ჯანგულაშვილი, საღამოს 7 საათის შემდეგ.

იყიდება საბურთალოს ქუჩაზე, ჰიპოდრომთან, სამოთახიანი კუთხის ბინა, ოთხი დიდი აივნით, საერთო ფართი 90 კვ. მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-35-36.

იყიდება ერთოთახიანი, კუთხის ბინა, რომელიც გარემონტებულია. აქვს რკინის კარები. ბინა არის მე-3 სართულზე. მისამართი: ავჭალის სამხედრო დასახლება (მუხიანი). ტელ.: 99-75-51, ირმა,

იყიდება ოთხოთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა გლდანის მასივის მე-5 მ/რ მე-5 სართულზე. აქვს ავტოფარეხი, სარდაფი, ტელ.: 67-77-06 ან 68-51-33, დემური.

ვიქირავებ სამ ან მეტოთახიან ბინას ან კერძო სახლს. მასივები და გარეუბნები არ შემომთავაზონ. ტელ.: 22-22-46.

სასწრაფოდ იყიდება ახალგარემონტებული, ტიპიური პროექტის ბინა, იოსებიძის ქ. № 69-ში, ოთხსართულიანი სახლის მეორე სართულზე ტელეფონით, რკინის კარებით, ატმორით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 26.500 დოლარი, ტელ.: 37-35-00.

იყიდება მეტრო „ისანთან ახლოს ოროთახიანი, სუფთა ბინა, მოსკოვის პროექტის,ტელეფონით. ტელ.: 38-42-56, 29-34-20, ფასი შეთანხმებით.

იყიდება, სამოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა ტელეფონით. საბჭოს მოედანზე, ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ბინას აქვს ბუხარი, სარდაფი, მანქანის გასაჩერებელი ადგილი, საცხოვრებელი ფართი 70 კვ. მ. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ტ. გრანელის ქ. 4. ტელ: 96-46-15.

ქირავდება ერთი ოთახი, სამოთახიან, იზოლირებულ ბინაში, ღრმაღელის მეტროსთან, მხოლოდ გოგონებისათვის. ტელ.: 61-63-38.

იყიდება ოროთახიანი ბინა ვაკეში, მრგვალ ბაღთან. ლოჯია 30 კვ. მ. აქვს შუშაბანდი. ბინა პრივატიზებულია. ტელ.: 36-46-60. ფასი შეთანხმებით.

იყიდება ჩეხური პროექტის სამოთახიანი ბინა დიდუბეში, მეტრო „წერეთელთან“, ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. მისამართი: ევდოშვილის —2/10, მე-7 კორპ. ბინა 3. ტელეფონი: 35-31-22.

იყიდება 4 ოთახიანი ბინა მეტრო „სამგორთან“ (მერვე ლეგიონი). ბინა გარემონტებულია. აქვს გარაჟი, სარდაფი, მისამართი: სამგორის დასახლება, 26 კორპუსი, ბინა 63. ტელეფონი: 35-31-22.

ქირავდება მხოლოდ უცხოელებზე ერთოთახიანი ბინა დიღმის მასივის მე-6 კვარტალში, მე-19 კორპუსში. ფასი შეთანხმებით. 51-60-13.

იყიდება არასტანდარტული, მაღალჭერიანი, ოროთახიანი, იზოლირებული ბინა ვაჟა-ფშაველას დასაწყისში, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“, რკინის კარებით, სარდაფით, ტელეფონით. ფასი 23000 დოლარი. ტელ: 38-45-67, 37-07-61.

იყიდება მშენებარე სახლი 2000 კვ. მ. ხეხილიანი ნაკვეთით, მცხეთის რაიონის სოფელ აღდგომლიანთკარში, მისაქციელთან. არის ნაკვეთის მომატების პერსპექტივა. აქვს საკუთარი სარწყავი და სასმელი წყალი. ნაკვეთი მდებარეობს სამხედრო გზიდან 200 მეტრის მანძილზე. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 98-86-98, მარინა, სამუშაო საათებში.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო ღრმაღელესთან ახლოს. ფასი 5000 დოლარი. ტელ.: 61-77-04.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა საბურთალოზე იოსებიძის ქუჩაზე, რვასართულიანი სახლის მე-3 სართულზე, გარემონტებულია, ტელეფონით, გრძელი აივნით, სარდაფით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 37-12-50, 30-24-21.

იყიდება ერთოთახიანი, 24 კვ. მ. ფართის ბინა, ვაკის პარკის პირდაპირ. ბინას აქვს ტელეფონი, სარდაფი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ: 73-40-46 ან 22-48-52.

სხვადასხვა

ფირმა იღებს შეკვეთებს დიდი რაოდენობით (200-300 ფურცელზე მეტი) ქსეროასლების გადაღებაზე, შეღავათიან ფასებში როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე გადარიცხვით. მაღალხარისხიანი და სწრაფი მომსახურება გარანტირებულია. მსხვილი შეკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილზე მისვლით მომსახურება. მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას 14, გამომცემლობა „სამშობლოს“ პირველ სართულზე მდებარე წიგნის მაღაზია. ტელ: 99-93-03; 34-35-96.

იყიდება დიდი ზომის იტალიური წარმოების 2-სართულიანი მასიური ბრინჯაოს ჭაღი ბროლის მოსართავებით — ერმიტაჟის ერთ-ერთი ჭაღის ასლი. საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ: 37-68-61, 37-06-96.

იყიდება ორი ცალი მომინანქრებული ცისტერნა, თითოეული 14 ტონის ტევადობის, დამზადებულია 10 მმ-იანი ლითონისაგან, შეიძლება გამოყენებული იქნეს ღვინისთვის, ზეთისთვის და ა. შ. ფასი შეთანხმებით. 22-13-42. 93-29-63.

იყიდება ან ქირავდება მუშა მდგომარეობაში მყოფი, ლიცენზირებული და გაფორმებული ძეხვისა და სოსისის წარმოება ქალაქის ცენტრალურ უბანში. ტელ: 34-84-83.

იყიდება უჟანგავი ლითონის, ქარხნული წესით დამზადებული 300 ლიტრი ტევადობის კასრები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი სითხისათვის. ტელ: 34-84-83.

იყიდება ჩეხური ხის წიგნის თაროები, ახალი შეფუთული, ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-46-47.

იყიდება ინგლისური სადილის სერვიზი 12 კაცზე, 61 ნაჭერი, თეთრცისფერი, ფირმა ჯონსონ-ბროს, სახელწოდებით „ნოუაით“. ფასი შეთანხმებით, ტელ: 34-04-05; ეკა.

იყიდება შავი ფერის შანდლებიანი, ანტიკვარული პიანინო „ანტონ პაპენ ბეკერი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 61-16-09.

ვაქირავებ კომერციული საქმიანობისათვის ნახევრად სარდაფს 24 კვ.მ. რკინის კარებით, გამავალი მახარაძის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-95-02.

იყიდება ორ კამერიანი მაცივარი და 6 კამფორიანი ელექტროქურა, ფასი შეთანხმებით. 22-13-42, 93-29-63.

იყიდება ცომის საზელი, 70 კილოგრამიანი სამი უჟანგავი დეჟით. ფასი 1200 დოლარი. 95-78-57, 30-00-25, ზაური.

იყიდება იაფად რუსეთის ფიჭვისაგან დამზადებული ფანჯრები. 62-03-64, ალექსი (საღამოს).

ვყიდი ძალიან იაფად შუშხუნა ღვინის ჩამოსასხმელ სრულ მოწყობილობას, რომელშიც შედის 3-ტონიანი ავზი სატურატორი, ბოთლების საცობი დანადგარი, ღვინის გასაციებელი დანადგარი, პლასტმასის ყუთები, ბოცები, კასრი, ჟანგბადის ბალონები და სხვ. ფასი შეთანხმებით. 38-29-54.

იყიდება ბულგარული საძინებელი „ვაილა“ 7 ნაჭრით. კარგ მდგომარეობაშია. ფასი 1500 დოლარი. ტელ. 39-01-47.

იყიდება თბილისის წარმოების ორი საწოლი, ფასი 150 ლარი. გასაშლელი მაგიდა პოლონური წარმოების — 100 ლარი, სამზარეულოს გასაშლელი მაგიდა — 60 ლარი და მოსკოვის წარმოების სარკე — 80 ლარი. 31-42-57.

იყიდება როიალი „ბეკერი“ და ადგილობრივი ნაწარმის თეთრი ფერის საძინებელი. ტელ.: 99-90-66 ან 36-02-41.

იყიდება ბენზინმზიდი ავტომანქანა „ურალ 43,20“ კამაზის ძრავით, 1990 წლის გამოშვება. ცისტერნის ტევადობა 5 ტონანახევარი, ერთდროულად ემსახურება ორ ავტომანქანას, აქვს შემწოვი და გამწოვი დანადგარები. საუკეთესო მდგომარეობაშია. გავლილი აქვს 27000 კმ. ფასი 6.500 ლარი. ტელ. 74-36-62.

სასწრაფოდ იყიდება არაბული სასადილო გარნიტური: მაგიდა, თორმეტი სკამი, ორი დესაო და არაბული კაბინეტი: საწერი მაგიდა, სავარძელი, წიგნების კარადა. ორივე ერთად 1500 დოლარად. ტელ. 30-41-98, მანანა.

ვიყიდი ენციკლოპედიას „რადოსტ პოზნანია“. დარეკეთ: 22-22-46.

იყიდება ავტომანქანა „ჟიგული“ 21-06, 011-ის ძრავით. მანქანა ოთხი წლისაა, კარგ მდგომარეობაშია. ტელ. 29-04-60, ზურაბი.

იყიდება ფერადი ტელევიზორი „ივერია“, დიაგონალი-54, სამსუნგის კინესკოპით, ვიდეო ბლოკით და პულტით. ფასი 250 ლარი. ტელ. 38-96-05.

იყიდება შავი ფერის ანტიკვარული როიალი „ბეკერი“, კარგ მდგომარეობაშია. ტელ. 29-04-60, ზურაბი.

ვყიდი ორი ცალი კამერა-მაცივარი და ორი ცალი ექვსკამფორიანი ელექტროქურა. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 22-13-42 ან 93-29-63, გოჩა.

იყიდება შავი ფერის სალონის როიალი „ბლუტნერი“. ფასი 2500 ამერიკული დოლარი, ტელეფონი 95-80-42.

ვყიდი იუგოსლავიის გამოშვების რბილ სამეულს — ერთი დივანი და ორი სავარძელი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-90-66 ან 36-02-41. მედიკო.

ვყიდი ანტიკვარულ სალონურ როიალს. სპეციალისტთა შეფასებით, გამორჩეულად სუფთა ჟღერადობა აქვს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-50-27.

პედიატრიული აფთიაქი ყველაზე იაფად თბილისში გთავაზობთ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებს, ბავშვის მოვლის საგნებს, აქვე იყიდება ნებისმიერი სახის წამალი უფროსებისათვის. მობრძანდით ნავთლუღის ბაზრის წინ, მეველის ქუჩაზე (მეტრო „სამგორთან“). დარეკეთ ტელ: 71-73-83.

იყიდება როიალის სკამი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-68-42.

იყიდება 6 რბილი სკამი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-15-00.

იყიდება ზეთის საღებავებით შესრულებული ორი სურათი. ერთი პეიზაჟი, მეორე კი მონა ლიზა. ორივეს ფასი 300 ლარი. ტელეფონი : 34-15-00.

იყიდება პრივატიზებული, შემოღობილი 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სახლის პროექტით. ნაკვეთი არის გლდანიდან ათ კილომეტრზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-73-78, 71-37-74, 71-86-19.

იყიდება შავი ფერის როიალი „ბეკერი და ადგილობრივი წარმოების თეთრი ფერის საძინებელი. კარგ მდგომარეობაში. ტელ: 36-02-41 ან 99-90-66.

იყიდება იაფად ძვირფასი ანტიკვარული ბუფეტი. ტელ.: 62-03-64 ან 62-41-56, საღამოს 8 საათის შემდეგ.

იყიდება დახლ-მაცივარი, კამერა-მაცივარი, გაზქურა, ელექტროქურა და საწვავის საზომი მეტრა-ჭოკი. ტელ: 39-23-12.

ვაქირავებ მიკრო ავტობუსს „ერაზს“. ტელ: 95-95-57, ირაკლი.

იყიდება ძველებური „დესაო“. ფასი—5500 დოლარი. იყიდება აგრეთვე ორი ვიტრინა. თითოეულის ფასი 2000 დოლარი. 37-55-93.

ავტომანქანები

ვყიდი ქარხნულ მდგომარეობაში მყოფ მსუბუქ ავტომანქანა „ზიმს“. მანქანა მუშაობს. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 22-22-46.

ვყიდი „გაზ 24-02“მარკის ავტომანქანა „ვოლგას“ („ფურგონი“) გამოშვებულია 1985 წელს. გავლილი აქვს 56 ათასი კილომეტრი. ფასი 5000 დოლარი. მიაკითხეთ ხარაგაულში, წერეთლის № 17-ში. ტელეფონი: 2-15-15.

იყიდება „ნივა“ 1990 წლის გამოშვება. თეთრი. გავლილი აქვს 90 000 კმ. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 3800 ლარი. ტელ: 23-38-34.

იყიდება 09 მარკის ავტომობილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-10-90.

იყიდება გაზ „69“, ძალიან კარგ მდგომარეობაში, ახლად გაკეთებული ხიდითა და ძრავით, ფასი 3000 დოლარი, დარეკეთ: 95-19-53. დათო.

შევიძენ „ოაზის“ ტიპის ბორტებიან ავტომობილს და ოთხთვლიან მინი ტრაქტორს. 29-22-28.

იყიდება „გაზ 31“ მარკის ავტომანქანის ოთხი ახალი საბურავი. ერთი ცალის ფასია 100 ლარი. 96-71-16, ბექანი.

იყიდება ავტომანქანა „ნივა“ 1986 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაშია. ტელ: 95-97-50 ან 95-49-84, ლევანი.

ვყიდი იაფად ლიმონისფერ „მერსედესი-23“ მარკის ავტომანქანას, ძრავი — 230-ე (ინჟექტორული), განახლებული 1990 წელს გერმანიაში. ფასი 3000 დოლარი. 31-21-98, 95-78-57, 30-00-25, ზაური.

იყიდება „გაზ 244-10“ მარკის ავტომანქანა, 1988 წლის გამოშვება, თეთრი ფერის, ფასი 5000 ლარი. დარეკეთ 37-79-89, 37-84-35, ვანო.

ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა დაგვირეკეთ:

ტელ: 99-73-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველ მოტივიდან“

ჩემი თანამედროვე

— **მაში**, ჩვენებური იქნება, ვილაცაა, — ჩაილაპარაკა მამაჩემმა, როდესაც, ერთ დღეს, რადიოში გამოაცხადეს: „კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე“. კარგა ხნის ამბავია, მაშინ რადიოც ახალი შემოსული იყო ჩვენს სოფელში. აქ მართლაც ბლომად იყვნენ კვერნაძეები...

ყოველივე ეს ახლა გავუმხილე ჩემს თანამოსაუბრეს. იცინის: — კი, ძირი მაღლაკში მაქვს. მახსოვს, საწყალი ბაბუაჩემი იტყოდა, მოვა დრო და ჩემს მიწებს დაიბრუნებენ, ეს ვიცნებიო. ისე ყველაფერი კარგად აგვიხდეს. მაგრამ რაღად მინდა აწი მაღლაკის მიწები?

— რატომ, კვერნაძეებში კარგი საზამთრო მოდის.

— კი, მოდის, მაგრამ, მოყვანა ხომ უნდა? ისე, დაბადებული სიღნაღში ვარ, იქ მთელი ნახევარი საუკუნე პროვიზორად მუშაობდა მამაჩემი. აი, ხომ ხედავ, ბიოგრაფია მარტო ბეღადებს კი არა, მეცა მაქვს.

• • •

იქნებ ყმაწვილკაცობის მოგონებამ, გაფრენილი დღეთა ცისფერმა ზმანებებმა აამღერებინეს კომპოზიტორს, მოგვიანებით, გალაკტიონის სტრიქონები: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მიერტან, ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველი მოტივიდან“.

იქნებ, ეს ძველი ჰანგი და მოტივი, ალაზნის ველზე განფენილი დარბაისლური კახური, ანდა გენებში მოკრიალე ტკბილხმოვანი იმერული იყო? რა გასაკვირია...

...გადუგდია ყელი ნანი ბრეგვაძეს, მიუბნედია ჯერალაჰირილი თვალები. „გული, რა გემართება, სული რა მოგივიდა...“

ეს, მართლაც გალაკტიონის ლექსის ტოლფასია, ჩვენია, სულს რომ აკიფორიაქებს, ისეთია.

— ფანტასტიკაა ეგ ქალი, საოცრებაა.... როგორ იმღერა თავის ბენეფისზე...

— თბილისის საპატიო მოქალაქედ აგირჩიეს და, მგონი, თბილისზე სიმღერა არ გაქვთ.

— როგორ არა. სხვათა შორის, ნანი მღეროდა იმასაც, „თბილისის ღამე“ ერქვა. „ო, რომ შემეძლოს თბილისის ღამეს, შემოგახვევდი სახეზე ჩადრად“...

— კი, კი!.. მახსოვს, მახსოვს!..

— ჰო... თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა, მართლაც მოულოდნელი იყო ჩემთვის. წინა საღამოს დამირეკეს. მე, უფრო, კაკო ძიძიგურის არჩევა გამიხარდა. რა თქმა უნდა, ყველასი, მაგრამ განსაკუთრებით ბატონი კაკოსი. არც მეგონა, თუ აქამდე არ იყო იგი თბილისის საპატიო მოქალაქე.

— ბატონო ბიძინა, აი, ჩვენი შეხვედრის მიზეზიც გამოჩნდა. რა ხანია კი — ვაპირებდი. თქვენ განსაკუთრებით გაფასებენ ქართული მუსიკის მოყვარულები, როგორც დიდად ეროვნულ, ღრმად მოაზროვნე შემოქმედს, ხართ თბილისის კოლორიტი, გონებაცინცხალი, ენამახვილობით განთქმული. ერთი რამეც ღირს თქვენთან პურის ჭამა... რასა იქმთ, ამ ხნის განმავლობაში, რა სიახლეა თქვენს შემოქმედებაში?

— რასა ვიქმთ, ბატონო და, ვაქირავებთ ნელ-ნელა აქაურობას... (ჩვენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში — ძველი ფილარმონიის შენობაში ვსაუბრობთ, ბატონი ბიძინა კავშირის მდივანია, უეცარი აცივების გამო, ვეებერთელა კაბინეტში უკვე ელექტროკურა აქვს ჩართული).

— რა ვქნათ, აბა, ხომ უნდა ვიარსებოთ. ვიცით, რომ უჭირს სახელმწიფოს, გვესმის ყველაფერი, მაგრამ, იქნებ, მაინც გამონახოს მთავრობამ სახსრები და, რაღაცნაირად, გაზარდოს ჩვენი საავტორო ჰონორარი. ნელ-ნელა, მგონი, ვემსგავსებით სახელმწიფოს და სულიერი ღირებულებანი მეტად უნდა დაფასდეს.

ამ ხნის განმავლობაში მე და ჩემს კოლეგებს ერთი წუთითაც არ გაგვიწყვეტია მუსიკასთან კავშირი, ვქმნიდით, ვიღვწოდით. უბრალოდ, ნაწარმოების შესრულება გაძნელდა, ყველაფერს ფული უნდა. თუკი ადამიანებს საარსებო საშუალება მაინც მიეცემათ, როგორ იფიქრებს ქართველი მუსიკოსი თუ მომღერალი (გნებავთ, სხვა) უცხოეთს შეაფაროს თავი? ეს კი, თავისთავად, ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას.

რახან ქვეყანა დაწყნარდა, კომპოზიტორთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს აღადგინოს ძველი ურთიერთობები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, ჩვენ უამრავი მეგობარი გვყავდა, ვხარობდით ერთმანეთის შემოქმედებითი მიღწევებით. რა იყო ამაში ცუდი? აი, შუქიც წავიდა... შუქი და სითბო ერთად არ შეიძლება, ეგ ნამეტანი განცხრომაა.

კომუნისტებს ჰქონდათ ასეთი გამოთქმა — „კომუნისტური სიფხიზლე“. მაგალითად, რომ არ ჩაგძინებოდა, გზაზე ორმოები იყო, ანდა, კიბეს რომელიმე საფეხური აკლდა...

— მთლად წყალწაღებულიც არ იყო ის დრო. აი, ურთიერთობების აღდგენა გვინდაო, დენიც საკმარისად იყო...

— გეთანხმებით, მაგრამ უკეთესი დრო დაუდგებათ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს. ჰო, იმაზე ვსაუბრობდით... მე პირადად, ბოლო წლებში, დავწერე სამი ოპერა. ერთი — „იყო მერვესა წელსა“ თბილისის საოპერო თეატრში რობერტ სტურუამ დადგა. გახსოვთ, ალბათ, რა ამბავი ატყდა ამ ოპერის გამო. სამწუხაროდ, ოპერის საფონდო ჩანაწერი არ არსებობს.

მეორე იყო „მედეა“, ქუთაისის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დამიკვეთეს იქაურებმა. დაიდგა კიდეც ქუთაისში, თუმცა რთული კი იყო ამ ქალაქის საოპერო თეატრის დასისთვის, მაგრამ, ფაქტია, რომ პრემიერა შედგა. მომავალ გაზაფხულზე „მედეას“, ალბათ, თბილისში წარმოვადგენთ. სრულიად ახალი ვარიანტი დავწერე, შეიძლება „მედეა“ არც ერქვას. გიგა ლორთქიფანიძე აპირებს დადგმას.

აი, ჩემი მესამე ოპერა კი ჯერ არ დადგმულა. მას „ჩვენისთანა ბედნიერი“ ჰქვია, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მოტივებზეა და, ძირითადად, ლუარსაბის თემაა გამოკვეთილი... რაღაც ნაწყვეტები დასამთავრებელი მაქვს და მალე მზად იქნება. შემდეგ რა იყო, ჩემო ბატონო... ჰო, დავწერე სიმფონია დიდი სიმებიანი ორკესტრისათვის. იგი გერმანულმა ფირმამ „სიკორსკიმ“ დამიკვეთა და ამ ხუთი წლის წინათ შესრულდა კიდეც ციურიხში. უნდა დავსწრებოდი პრემიერას, მაგრამ ჩვენთან გადატრიალებები დაიწყო და ვილას ჰქონდა მაგის თავი. თბილისში, ალბათ, მალე შესრულდება ეს ნაწარმოები. თანაც ახალ ვარიანტს ვამზადებ — კამერული ორკესტრისათვის.

დავწერე „სამი ლოცვა სოპრანოსა და ფორტეპიანოსათვის“ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის — „იღლიც ბავშვის“ მიხედვით. მუსიკალურად გავაფორმე, აგრეთვე, კინოფილმები, სპექტაკლები. კიდევ რა იყო?... იყო ბევრი კარგი მეგობრისა და კოლეგის იმ ქვეყნად გაცილება, გულდაწყვეტა, იმედგაცრუება...

— მე ვიცი, პოეზია გიყვართ ძალიან.

— განსაკუთრებით — გალაკტიონი. მის ლექსებზე რამდენიმე სიმღერა დავწერე. აი, ახლაც მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლისათვის ვქმნი მუსიკას. ტექსტი გალაკტიონისაა. საერთოდ, მე ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ შეიძლება ჯერ მუსიკა დაწეროს კომპოზიტორმა და შემდეგ „მოარგოს“ მას ლექსი... მე ლექსის ინტონაცია მაწერინებს მუსიკას. თან გემოვნებასაც წარმართავს. უგემოვნობის ლაფსუსის უფლებასაც კი არ მოგვცემს გალაკტიონის პოეზია.

— ბატონო ბიძინა, ჩემი აზრით, ქართული საესტრადო მუსიკის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ჩვენმა კინემატოგრაფმა...

— სწორი ბრძანებაა. მაგალითად, რეზო ლაღიძე, ეს უზარმაზარი ტალანტი, დარწმუნებული ვარ კინოფილმების გარეშე არ დაწერდა საოცარ სიმღერებს, „ხევისბერ გოჩაში“, „საბუდარელ ჭაბუკში“, „განგაშში“ და კიდევ მრავალ ფილმში რომ არის. ასევე შეიძლება ითქვას სხვა ბევრ ქართველ კომპოზიტორზე. აი, შუქიც ჩაგვირთეს!..

• • •

კარებამდე მაცილებს და თან იქვე მდგარ მაცივრისკენ მითითებს: — ამ მაცივარში, სხვა დროს, შამპანური ელაგა, ახლა უქმად დგას. უნდა მაპატიო... იქნებ „სხვა დრო“ დადგეს.

— ჰოდა, შამპანური თქვენზეა!..

ვილენ მარდალეიშვილი.

ფიქრი

მხოლოდ „მონატრება“? იქნებ, სხვა რამ, უფრო დიდი და მნიშვნელოვანიც

თინიკო ცისკარაძის ფილმის „მონატრების“ გამო

ეკრანზე გრუხუნით შემოიჭრება ჯავშანტრანსპორტიორი და უმალვე ჩერდება. იქიდან გამოდის ბრძოლით დაღლილი ჯარისკაცი და ბრძოლაგადახდილ ადგილებს ათვალიერებს. სხვა თვალით, სხვა გრძნობით, სხვა განწყობილებით და ტყვიის ღრუბლებით დამძიმებული ფიქრებით.

შენთვის სრულიად უცნობიც რომ იყოს ეს ჭაბუკიც და ეს დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებული ტყე-ველი, ბაღ-ვენახები, ეზო-სახლები, კუთხე-კუნჭულები და ანა კალანდაძისეული ასეთი ღრმა ქართული ცა, არ შეიძლება ჟრუანტელმა არ დაგიაროს, არ აგაკანკალოს, არ დაგაფიქროს ქვეყნისათვის მტრების მიერ თავსმოხვეული დამანგრეველი, მუხანათური ომის შედეგებმა, ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლაში ბოროტის (უტყუარია, დროებით) გამარჯვებამ. მაგრამ რას იზამ, ისტორია არაა სწორხაზოვანი, მასაც მთაგორებივით აქვს აღმართები და დაღმართები, ფლატეები და ხევები, უფსკრულებიც. ყველა არასასურველი მოსახვევის იოლად გავლას, რასაკვირველია, ყველა ერი ვერ შეძლებს და ვერც საქართველომ მოახერხა ეს, ვერც მრავალსაუკუნოვან მარათონში და ვერც ამჯერად, ჩვენს თვალწინ — გუშინ თუ გუშინწინ (უფსკრულისაგან ღმერთმა დაიფაროს).

მაგრამ ამ ჭაბუკის ერთი წუთის სოფელი, მისი ხანმოკლე სიცოცხლე ეკრანზეც და ცხოვრებაშიც, სასოწარკვეთას როდი გვინაცვლებინებს, მიუხედავად იმისა, რომ ის, ვისი ოცნების ჭაბუკიც იგია, ბოლო კადრებში ეკრანიდან გასძახის მთასა და ველს: — „გივი, სადა ხარ? ნუ მიმატოვებ. მეშინია“. ეს შიში ოპტიმიზმს, იმედს, რწმენას, გამარჯვების გარდუვალობას, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების გარდუვალობას გინერგავს გულსა და გონებაში.

მაგრამ მთავარი, რაზეც ფილმის ფილოსოფია ლაღადებს, ეს უფრო დიდი და ღრმა რამაა, რომლის ჩარჩოებში ვერ ეტევა უბრალო ცნებები, როგორიც არის სიყვარული, მოვალეობა, სიკეთე თუ ბოროტება, ცხოვრების სირთულე და სიმარტივე, ადამიანებს შორის ურთიერთობა, ნათესაობა, პირველი შეურყვნელი გრძნობები, მოქალაქეობრივი პოზიციები და ცხოვრების არსი საერთოდ.

დარბაზში ფილმის დემონსტრაციის შემდეგ მოვისმინე ერთ-ერთი მაყურებლის ნათქვამი, რასაც მისმა მსმენელმა თანხმობის მანიშნებელი დუმილითა და თავის „მრავლისმეტყველი“ კანტურით უპასუხა. ეს ფრაზა კი ასეთი იყო: ვერ გავიგე, ვინ იყო ეს ჯარისკაცი იმ გოგონასათვის — ნათესავი, ბიძა თუ შეყვარებული?

სინანულით გავიფიქრე, რომ ზოგი ჩვენი კინომაყურებელი (და, იქნებ, არამარტო ის), ხელოვანისა და ხელოვნებისაგან ელოდება მზამზარეულ დასკვნებსა და გამარტივებულ კომენტარებს — ეს იცოდე, თეთრია, ეს კი — შავი, ის ცუდია, ეს — კარგი და ასე შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ თვითონაც ჩაერთოს ოსტატის მიერ მოწოდებულ ცხოვრების სცენებში, იაზროვნოს დამოუკიდებლად, ჩასწვდეს ცალკეული დეტალის მნიშვნელობას, აზრსა და დანიშნულებას, ედავოს, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მის ინტერპრეტაციებს, შეიქმნას საკუთარი პოზიცია და შეხედულება ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, გახდეს ავტორის თანაავტორი გონებაში. ანდა სულაც შეიქმნას საკუთარი სამყარო მოწოდებულ იდეასა თუ მინიშნებაში და იაზროვნოს, იფიქროს, მონახოს სიუჟეტის თუ თემის თავისეული გაგრძელება და დასასრული. ეს არის ხელოვნების დანიშნულება და ამას მხოლოდ აღიარება როდი სჭირდება, ეს უნდა შეისისხლხორცო რაც, სამწუხაროდ, ვაი, რა დიდად გვაკლია.

დიდი ფილმის (გთხოვთ, ამას პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გამიგებთ — ფილმი მხოლოდ 40 წუთი გრძელდება) პატარა დიასახლისი ბევრ სხვა ხელოვანზე ღრმად ჩასწვდა ხელოვნების ამ დანიშნულებას (იქნებ, ეს ბუნებრივი, ღვთით ნაბოძები მიდგომაა და არა უბრალოდ ჩაწვდომა. ყოველ შემთხვევაში, საბედნიეროდ, აშკარად იგრძნობა, ის ამაზე არც ფიქრობს) და თავის მაყურებელს შესთავაზა თანაავტორობა განსჯაში და თავისი პიროვნული განცდები ფილმის გმირების განცდების სახით. რა საჭიროა იმის გაშიფვრის მცდელობა, ვინ არის ის მებრძოლი ფილმის მეორე გმირისათვის — ბიძა, ნათესავი, მეზობელი, მეგობარი თუ თუნდაც შორეული ნაცნობი. მთავარია ის, რომ გოგონამ შექმნა საკუთარი სულიერი სამყარო, სამყარო, სადაც სიყვარული დომინირებს — პირველი, შეუცნობელი, შეურყვნელი, ოცნებებით დახატული და წარმოდგენილი. გოგონას სიყვარული — ესაა წარმოსახვითი იდეალები გმირისა, სამშობლოსათვის თავდადებული მეომრისა თავისი ბიძის ყველა დადებითი თვისებებით რომ შეუმკია. ეს იდეალი მიანიჭა თავისი ოცნების სიყვარულს და იმიტომ ისმის ასე სულისშემძრავად დაკოდილი მშობლიური კუთხე-კუნჭულიდან ექოსავით აგორებული ძახილი — „გივი, სადა ხარ? ნუ მიმატოვებ. მეშინია“. ეშინია, რომ იპოვის ისეთ იდეალს რეალურ ცხოვრებაში, როგორიც მას წარმოუდგენია გივის სახით. ის რეალურად უყურებს ცხოვრებას და იცის, რომ იდეალურები, უცოდველები მხოლოდ ცაში არიან. ამიტომ ისხამს ფრთებს თვითონაც და ასხამს ფრთებს თავისი ოცნების ადამიანს, რომ აფრინდნენ ცაში და იდეალურს მიუახლოვდნენ (გაიხსენეთ სცენები, თვითმფრინავებად ქცეული გმირები რომ აკეთებენ სასწაულებრივ „ვირაჟებს“ ლამის ბაღის გრძელ სავარძელზე).

საუბარი ამ პატარა (მოცულობით) მაგრამ დიდი ფიქრების აღმძვრელ ფილმზე უსასრულობამდე შეიძლება და მართალია, სასოწარკვეთილად ისმის მის ბოლო კადრებში „მეშინიაო“, ეს შიში, ვიმეორებ, უიმედობისა არ არის. როცა მისი ნახვის თუნდაც მრავალი საათისა და დღის შემდეგაც იხსენებ მას, გჯერა, ბოროტების ზეიმი დროებითია, ომით დაკოდილი მშობლიური მიწის გულმკერდი, დასახიჩრებული გარეგნობა გამრთელდება, სიყვარული თავისი თანმდევი რაინდული მომხიბვლელობით — ვაჟკაცობითა და სინაზით, გარეგნული მოუწესრიგებლობითა და ღრმა შინაგანი სიმდიდრითა და სილამაზით, სამშობლოსათვის თავდადებითა და უკვდავებით — მარადიულია, როგორც დღეს დაჭრილი, მაგრამ არგანწირული და მაინც თვალწარმტაცი და საოცნებო მშობლიური მიწა-წყალი.

ამიტომ არ გჯერა თვით ფილმის ლაკონური სახელწოდებისა — „მონატრება“. ეს ბევრად მეტია, ვიდრე უბრალო მონატრება მისი ტრადიციული გაგებით.

და კიდევ.

მე არა ვარ არც კინომცოდნე, არც კრიტიკოსი და ჩემს სიცოცხლეში პირველად მიწევს კინოს ავკარგზე წერა. იქნებ, არც ახლა ღირდა ამეღო კალამი ხელში — ხაბაზმა პური აცხოს, მჭედელმა ხანჯალი კვეროსო, — მაგრამ ერთმა მოვლენამ ნამდვილად მაიძულა მეთქვა გულში ნადები.

ფილმი „მონატრება“ გადაიღო თავისი, ხაზს ვუსვამ თავისი სცენარით, რომელმაც, სხვათა შორის, გაიმარჯვა კონკურსში, თექვსმეტი წლის გოგონამ თინიკო ცისკარაძემ.

ამ რამდენიმე თვის წინათ თბილისში გაიმართა დიდი კინოფესტივალი ქართული ფილმებისა „ოქროს არწივი“. არ ვარ მის სამზარეულოში ჩახედული და ვერაფერს ვიტყვი, რა ობიექტურობით ფასდებოდა მასზე წარმოდგენილი ფილმები. ვფიქრობ, გაიმარჯვეს ღირსეულებმა. დამსახურებულად. მაგრამ...

მაგრამ, ნუთუ ისე ძნელი იყო, სადმე, თუნდაც ერთი სტრიქონით, თუნდაც ფესტივალის დახურვისადმი მიძღვნილ საბოლოო გამოსვლაში, თუნდაც ერთი სიტყვით მაინც აღნიშნულიყო, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა რეჟისორი გოგონას ფილმი. თქმულიყო ერთი თბილი სიტყვა თუ არა, დამრიგებლური, დაე, თუნდაც, მენტორული შენიშვნა — ასე კი არა, აი ასე და ასეო.

დავრჩით იმ ორად ორი პუბლიკაციის ამარა, სრულიად არაკომპეტენტურ ავტორებს რომ ეკუთვნოდათ და გამოქვეყნდა არც თუ დიდად პოპულარულ გაზეთებში — ერთი ფესტივალის მიმდინარეობის დღეებში, მეორე კი სწორედ იმ დღით, როცა ჟიურის უნდა გამოეტანა თავისი დასკვნები? პუბლიკაციებისა, რომელთა ავტორებმაც ლანძღვის მეტი ვერაფერი მოიგონეს — ერთი ავტორისა და მისი ფილმის მიმართ და მეორე ასლან აბაშიძის ფონდის მისამართით, ფილმი რომ დააფინანსა (მადლობის მაგიერია?!).

ისე, კაცმა რომ თქვას, არც ამაშია რაიმე არაბუნებრივი და მოულოდნელი. განა უბრალო ადამიანების მიერ არის ნათქვამი — არ სცემენ პატივს წინასწარმეტყველებს თავის სამშობლოშიო!

უბრალოდ, გული გეტკინება, თორემ ამ ფესტივალამდე სულ რამდენიმე თვის წინათ თინიკო ცისკარაძის ფილმი „მონატრება“ დიდი ტრიუმფით აჩვენეს კინოვიდეოცენტრ „მოსკოვში“, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფორტ-ლოუდერეილის მეათე საერთაშორისო ფესტივალზე აფხაზეთის კონფლიქტის თემაზე შექმნილი ეს პირველი ქართული მხატვრული ფილმი და მისი რეჟისორი ამ კინოფორუმის აღმოჩენებად და გმირებად იქცნენ. (ამის შესახებ წერდა კიდეც ჩვენი გაზეთი.

ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმთავრებელი ფილმის ვიდეოვარიანტის ნახვისთანავე ფესტივალის ორგანიზატორებმა საკონკურსო ჩვენებისათვის შეარჩიეს და ამერიკაში მიიწვიეს რეჟისორი და მამამისი, ფილმის დირექტორი ზურაბ ცისკარაძე.

ნორჩმა რეჟისორმა ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. აქ აღინიშნა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა 16 წლის გოგონა ხდება ასეთი წარმომადგენლობითი დათვალიერების (ფესტივალში, მასპინძლების გარდა, მონაწილეობდნენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, აგრეთვე ირანი და ისრაელი) გამარჯვებული. სხვათა შორის, ჟიურიმ ულალატა დამკვიდრებულ ტრადიციას და მაყურებელთა თხოვნით თინიკო ცისკარაძის სურათი განმეორებით აჩვენეს ფესტივალის საზეიმო დახურვაზე. თვით თინიკოს სახელგანთქმული სი-ენ-ენის სატელევიზიო არხებით 10 წუთი დაუთმეს, თავის ფილმზე სასაუბროდ და იმისათვის, რომ ეთქვა სიმართლე, მსოფლიოს გასაგონად, აფხაზეთზე.

ჩვენთან?

ზურაბ ლომიძე.

სიმღერისა და მომღერლის უკვდავება

წიგნი

ახლახან ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრმა დასტამბა სენაკის რაიონული გაზეთის „კოლხეთის“ რედაქტორის, კულტურის დამსახურებული მუშაკის ბორის შენგელიას წიგნი „სიმღერის უკვდავება“.

ეს საინტერესოდ შედგენილი ნაშრომი ეძღვნება ხალხური სიმღერის უბადლო ოსტატის ნოკო ხურციას ხსოვნას ხელოვანისა, რომლის სახელი ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებელთა და მოქალაქეთა თანავარსკვლავედში შედის.

წიგნში, რომელიც მიმზიდველად და გემოვნებით არის დასტამბული, ასახულია ნოკო ხურციას შემოქმედებითი გზა, მისი თანამედროვეების მოგონებები.

ნოკო ხურცია
სიმღერის უკვდავება

ჭირმა თავი არ დამალა

ვინ უპატრონებს სახელმწიფო ორკესტრს?!

ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის სათავეებთან იდგნენ ივანე ფალიაშვილი და ქართული სადირიჟორო სკოლის უდიდესი წარმომადგენელი ევგენი მიქელაძე. სხვადასხვა დროს ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელები იყვნენ ო. დიმიტრიადი, ზ. ხუროძე, ჯ. კახიძე.

ორკესტრის სადირიჟორო პულტთან მდგარა მრავალი ცნობილი უცხოელი დირიჟორი. ორკესტრთან ერთად გამოდიოდნენ გამოჩენილი სოლისტები: ს. რიხტერი, დ. ოისტრახი, ე. გილელსი, ვ. კლაიბერნი, ი. შტერნი, ი. ბაშმეტი, ი. კისინი, ლ. ისაკაძე, მ. იაშვილი, ე. ვირსალაძე და სხვ.

ორკესტრმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და თავისი მორიგი საკონცერტო სეზონი გახსნა. მან მსმენელებს შესთავაზა საგუნდო მუსიკის საღამოები კლასიკური საკონცერტო რეპერტუარით. აჟღერდა ვერდის „რეკვიემი“ და როსინის „სტაბატ მატერი“. მონაწილეთა შორის იყვნენ სომხეთის აკადემიური საგუნდო კაპელა ჰოვანეს ჩეკიჯიანის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ქართველი, რუსი და უკრაინელი სოლისტები.

სადირიჟორო პულტთან იდგა ორკესტრის მთავარი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი. თუ ანონსს დავუჯერებთ, მსმენელებს უახლოეს მომავალშიც ელით შეხვედრები ცნობილ ქართველ თუ უცხოელ მუსიკოსებთან, მაგრამ ეს მხოლოდ ანონსის მიხედვით, რადგან კოლექტივი დღეს ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას, არადა, არსებობის 70-ზე მეტი წლის მანძილზე ორკესტრმა დიდი ეროვნული საქმე იტვირთა და პირნათლადაც გაართვა თავი. მეტწილად, ალბათ, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია და როლი გაითვალისწინეს საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში, როცა აღმაშენებლის პროსპექტზე ახალაგებული სიმფონიური მუსიკის მშვენიერი დარბაზი გადასცეს სამუშაოდ.

შვებით ამოისუნთქეს მაშინ მუსიკოსებმა, რადგან ბოლოს და ბოლოს მუშაობის რიგიანი პირობები შეექმნათ. მაგრამ მოვიდა ეს ჟამი... მათი დღევანდელი გასაჭირი იქცა სწორედ მსჯელობის საგნად პრესკონფერენციაზე. იგი წარმართეს ორკესტრის ხელმძღვანელებმა, დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა და გენერალურმა დირექტორმა ნოდარ სირაძემ. აი, რა განაცხადეს მათ.

ნოდარ სირაძე: მას შემდეგ, რაც სიმფონიური მუსიკის დარბაზი აშენდა, სახელმწიფო ორკესტრი ქალაქის მერიას დაექვემდებარა. როგორც ცნობილია, ამ ორიოდე წლის წინათ მეორე ახალი ორკესტრი ჩამოყალიბდა და მას თბილისის სიმფონიური ორკესტრი დაერქვა, — ბატონ ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით და ისიც მერიას დაექვემდებარა. ამ დარბაზში ორი ანსამბლის არსებობა ერთმანეთს ხელს არ უშლიდა და ასეც იყო ნათქვამი, მაგრამ ხდება პირიქით. დაიწყო სახელმწიფო ორკესტრის შევიწროება. გაჩნდა ხელოვნური ბარიერები. 1995 წლის დასაწყისში მერიიდან ბრძანეს, რომ მათ არ სჭირდებათ ორი ორკესტრი და სახელმწიფო ორკესტრს ველარ დააფინანსებდნენ. კოლექტივი დაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, საზოგადოებრიობამ ეს რომ გაიგო, მხარი დაგვიჭირა და სწორედ მათი მეოხებით მოვაღწიეთ აქამდე.

დღეს მერია ისევ უარზეა დაფინანსებაზე. ისედაც რა ხელფასები აქვთ მუსიკოსებს — სიმბოლური 9 ლარი; ეს თანხა ხომ საქართველოში არსებულ ორკესტრებთან შედარებით ყველაზე დაბალი საზღაურია და წარმოიდგინეთ, დეკემბრიდან ესეც აღარ გვექნება. მივმართეთ კულტურის სამინისტროს, მაგრამ იქაც დროულად ვერ გადაუწყვეტიათ. უარესიც: იმასაც გვეუბნებიან, რომ სახელმწიფო ორკესტრი სტუმარია ამ დარბაზისა და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კოლექტივი ქუჩაში აღმოჩნდება და თუ ამის თაობაზე ახლავე არ ვთქვით ხმამაღლა, მერე, ალბათ, გვიანღა იქნება.

მიუხედავად ყოველდღიური შევიწროებისა და სირთულეებისა, მუსიკოსებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა, მუსიკის სიყვარული და შემოქმედებითი პროცესი გრძელდება, თუმცა ამაზე თავად მთავარი დირიჟორი იტყვის.

ვახტანგ მაჭავარიანი: მე სხვადასხვა ორკესტრთან ვთანამშრომლობ და კარგად ვიცი, რომ ერთ დარბაზში ორ-ორი ორკესტრის არსებობის ფაქტი მსოფლიოში უამრავია. მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა. სახელმწიფო ორკესტრს, ბუნებრივია, სახელმწიფომ უნდა უპატრონოს, მაგრამ რა ხდება?

მეკითხებიან, როგორ მოვახერხებ ორკესტრის მთავარ დირიჟორობას, როცა ვცხოვრობ და ვმუშაობ პარიზში, ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრში, ვთანამშრომლობ ლონდონის სამეფო და ფილარმონიის ორკესტრებთან. მაგრამ, ჩემი მოსაზრებით ამის შეთავსებას სრულიად ლოგიკური გზით ვაპირებ; მიმაჩნია, რომ ორკესტრთან ახალგაზრდა დირიჟორებმაც უნდა იმუშაონ, ეს ხომ მათთვის საუკეთესო სკოლაა. გარდა ამისა, რომ არ არსებობდეს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ცნობილი უცხოელი დირიჟორების მოწვევა გაჭირდებოდა. თუ გადახედავთ ჩვენს ანონსს, აქ მრავალი თვალსაჩინო მუსიკოსის ჩამოსვლაა გათვალისწინებული. გვექნება გასტროლებიც. უახლოეს მომავალში კოლექტივი თურქეთშია მიწვეული, 1998 წელს კი ევროპის ქვეყნებში 60 კონცერტია დაგეგმილი; იმის მაგივრად, რომ ამ საპასუხისმგებლო გასტროლისათვის მოვემზადოთ, ორკესტრს ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებები ელობება, რაც კარგს არაფერს გვიქადის. საზოგადოებრიობამ კი ამის შესახებ უნდა იცოდეს.

...ჩვენც ასე ვფიქრობთ და ამიტომაც გამოვიტანეთ საშკარაოზე საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის გასაჭირი — დიახ, ჭირმა თავი არ დამალა...

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ფესტივალი „სენაკი-96“

ნიჭიერების, შემოქმედებითი შემართებისა და მეგობრობის დღესასწაული

იქნებ ვინმეს მეტისმეტად გადაჭარბებულად მოეჩვენოს სათაურში გამოტანილი სიტყვები, მაგრამ სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს ფესტივალი „სენაკი-96“, რომელიც ქალაქ სენაკის მერიის ინიციატივით და ადგილობრივი მმართველობის რაიონული გამგეობის აქტიური მხარდაჭერით მოეწყო და ათი დღე მიმდინარეობდა.

ამ ნამდვილად სახალხო დღესასწაულის წარმატებით ჩატარებისათვის მზადებაში მერიას მხარში ედგა ქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, მთელი საზოგადოებრიობა, ქალაქის მუნიციპალიტეტები. მათ ცალ-ცალკე მოამზადეს საკონცერტო პროგრამები და არაფერი დაუზოგავთ წარმატების მოსაპოვებლად. მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის განათლების და კულტურის განყოფილებებმა, მხატვრულმა კოლექტივებმა, ინტელექტუალურმა კლუბმა, საზოგადოება „სენაკელმა“, ქალაქის საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, კერძო სტრუქტურებმა. საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის იერსახის, შენობა-ნაგებობების, კომუნიკაციების მოსაწესრიგებლად.

ფესტივალზე მოწვეული იყვნენ და მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ესტონეთის ქალაქ რაკვერეს, უკრაინის ქალაქ ბილაია ცერკოვის და ქალაქ ქობულეთის დელეგაციები, რომლებთანაც სენაკს საკმაოდ დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. ფესტივალის სტუმრები იყვნენ აგრეთვე სენაკელები, რომლებიც რესპუბლიკაში კულტურის, მეცნიერების სხვადასხვა დარგებში მოღვაწეობენ.

აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრის ცენტრალურ ფოიეში მოეწყო ფესტივალ „სენაკი 96-ის“ გახსნა და პრეზენტაცია.

ფესტივალი შესავალი სიტყვით გახსნა ქალაქ სენაკის მერმა ანზორ ცაგურიამ. მის მონაწილეებს მიესალმნენ არქიმანდრიტი მელქისედეკი, სენაკის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარე ტარიელ დგებუაძე, მამა მარკოზი, მხატვარი ნადეჟდა გვაძაბია, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის სენაკის წარმომადგენლობის მთავარი რწმუნებული ვეფხვია ვეფხვაძე, სამუსიკო სკოლის დირექტორი ლია ქობალავა და სხვები.

ფესტივალის მონაწილეებს გააცნეს მერიის გამგეობის გადაწყვეტილება ქალაქ სენაკის საპატიო მოქალაქედ კალისტრატე შარტავას არჩევის შესახებ; აღნიშნული წოდების დამადასტურებელი დოკუმენტები გადაეცათ აგრეთვე ქალაქ სენაკის საპატიო მოქალაქეებს, ხელოვნებისა და სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკებს ვახტანგ სალაყაიასა და შოთა ჩიქობავას, რომლებსაც ეს წოდება ადრე ჰქონდათ მინიჭებული.

დიდი ინტერესი გამოიწვია თეატრის ფოიეში სენაკის მუნიციპალიტეტების მიერ მოწყობილმა გამოფენამ. აქ წარმოდგენილი იყო ქალაქის ტერიტორიული ნიშნის მიხედვით მცხოვრები პროფესიონალი და თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევრები, სურათები, ხელნაკეთი ნივთები და სხვადასხვა საწარმოს პროდუქციის ნიმუშები.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ წარმოადგინეს სპექტაკლი „ფიროსმანი“, რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფესტივალის ყოველი დღე დატვირთული იყო სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებითა და სანახაობით. მოეწყო ინტელექტუალური კლუბის პრეზენტაცია. ქალაქის სამხატვრო გალერეაში გაიმართა აფხაზეთში დაღუპულთა მოსახსენიებელი პარაკლისი, საფუძველი ჩაეყარა მათი ხსოვნის ხეივანს, სამუსიკო სკოლაში გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი, ხოლო ქალაქის სტადიონზე ფეხბურთი სენაკის თასზე. დიდი მოწონება დაიმსახურა სარაიონო კულტურის სახლში ნაჩვენებმა სპექტაკლმა „მერხებზე ანგელოზები სხედან“.

საინტერესო შეხვედრები გაიმართა ქალაქის მერიაში ესტონეთის, უკრაინისა და ქობულეთის დელეგაციების მიღებაზე, ისინი შეხვდნენ მეორე მოტომსროლელი ბრიგადის მეომრებს, იყვნენ საბავშვო ბაღში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საშუალო სკოლაში და ქალაქის პირველ გიმნაზიაში.

ფესტივალის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ჟიული შარტავას ბიუსტის აღსამართი ადგილი, დაათვალიერეს სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

ფესტივალის დღეებში ახალგაზრდობის სახლში გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის ფორუმი, ხოლო მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში — დისკოთეკა.

ფესტივალის მონაწილეებმა დაათვალიერეს ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსი, ფოთის ნავსადგურის აკვატორია და ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

და ფესტივალის მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა აეროპორტის, შხეფის, მთისკალთის, წმინდა ნინოს, დავით აღმაშენებლის, ნატოჩაოს მუნიციპალიტეტების და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა მიერ თეატრში გამართულმა კონცერტებმა, რომლებზეც განსაკუთრებული ხალხმრავლობა იგრძნობოდა.

ფესტივალის დასკვნით დღეს თეატრში მოეწყო ქალაქის მერიის ხელმძღვანელობისა და ესტონეთის, უკრაინისა და ქალაქ ქობულეთის დელეგაციების ხელმძღვანელთა მიერ მეგობრობის და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალი, ასევე გაიმართა მიღება, სადაც როგორც სტუმრებმა, ისე მასპინძლებმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ფესტივალის დახურვას მიეძღვნა გალა-კონცერტი.

გადაწყდა, რომ ფესტივალი გახდება დიდი ტრადიციული ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სენაკის, მისი მოსახლეობის შემდგომ წინსვლას, აღორძინებასა და ბედნიერებას.

იოსებ გოგებია,
„სრ.“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ესტონეთის და უკრაინის დელეგაციის წევრებთან შეხვედრის დროს სენაკის აეროპორტში.

როინ ნიკოლავას ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგანი

ფეხბურთი

თავს ზემოთ ქალა არ არის

თბილისის „დინამოსა“ და პორტუს „ბოავიშტას“ ორრაუნდიანმა დუელმა ქართული საკლუბო ფეხბურთის წლევანდელი საერთაშორისო ფინიში იურიდიულად გააფორმა. მოულოდნელი და სამწუხარო საპასუხო მატჩის ანგარიში — 0:5 გახლავთ, თორემ საბოლოო წარუმატებლობას ორი კვირის წინათ შინ მინიმალური შედეგით გამარჯვების შემდეგ ბევრი წინასწარმეტყველებდა. მათ პროგნოზს ევროტურნირებში მეტოქეთა ხანგრძლივი გამოსვლების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციაც უმაგრებდა ზურგს — დინამოელებს თბილისში 1:0 მოგება აქამდე არასდროს ყოფნიათ შემდგომ ეტაპზე სათამაშოდ, პორტუგალიური გუნდი კი, პირიქით, სტუმრად ასეთ დამარცხებას საკუთარ მინდორზე სასურველი რევანშით პასუხობდა.

საეალალო პარალელის გავლება უახლოეს წარსულში საქართველოს ჩემპიონთა მიერ ავსტრიის „ტიროლთან“ განცდილ ფიასკოსთანაც შეიძლება..

მატჩის წინ

ჩვენი დელეგაცია გამგზავრების დღეს — თბილისობისას დაითარსა. ავიაკომპანია „ორბის“ ლაინერი ამაოდ ელოდა ყველასათვის საყვარელი პიროვნების — კოტე მახარაძის გამოჩენას, მაგრამ დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ არჩევის გამო, ცნობილი კომენტატორი აეროპორტში არ მობრძანდა.

ხუთსაათიანი ფრენის შემდეგ სანავსადგურო ქალაქ პორტუს სიახლოვეს ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „სოლვერდეში“ დავბინავდით. განწყობილება, იკოცხლეთ, მხიარული სუფევდა, რაშიც დიდი წვლილი კახი კავსაძეს შეჰქონდა, მაგრამ დროის ფაქტორი — ხუთსაათიანი განსხვავება, საგონებელში გვაგდებდა. ამას არც ფეხბურთელები მალავდნენ — შეხვედრის წინადღეს „ბესას“ სტადიონზე გამართული ერთი ვარჯიში უჩვეულო გარემოებასთან შეგუებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

არანაკლებ საგანგაშოდ გვესახებოდა დაცვის საკითხი. თამაშმა დაადასტურა, რომ მაჭავარიანი და კალაძე დღევანდელ „დინამოში“ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, მათ გარეშე კი უკანა ხაზი პირობითად თუ შეგვიძლია „დაცვად“ მოვიხსენიოთ.

პორტუში დავრწმუნდით, რომ „ბოავიშტა“ იქაურებს მაინც და-მაინც გულზე არ ეხატებათ, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობას მაინც. მათი სიმპათია ქალაქის უფრო ტიტულოვან და საფეხბურთო სამყაროში აღიარებულ გუნდს — „პორტუს“ მხარეს იხრება. ეს შეხვედრის დროსაც დადასტურდა — ისედაც პატარა, 28-ათასიანი სტადიონი „ბესა“ სანახევროდ შეივსო.

მატჩი

ლუქსემბურგელი მსაჯის როჯერ ფილიპის სასტვენის ხმაზე უეფას თასის გათამაშების 1/16 — ფინალის საპასუხო მატჩის მონაწილენი მინდორზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ:

„ბოავიშტა“:

ალფრედუ, პაულუ სოუზა, რუი ბენტუ (ლიტუში), ტავარეში, დუარტე (ჰელდერი), ჯიმი, ნელუ (ტიმოფტე), ნუნუ გომეში, პედრო ემანუელი, ლატაპი, მაურო სილვა.

„დინამო“:

ზოიძე, ჩხაიძე, ლობჟანიძე, დიდავა (გაფრთხილება), ჯელაძე (გაძევება), გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (კუდინოვი), ჯამარაული, კობიაშვილი, ინალიშვილი (კერძევაძე), დემეტრაძე (იაშვილი).

პირდაპირ მოვჭრი — დიდი მადლობა ზოიძეს, ლობჟანიძესა და კობიაშვილს, მეტი ბურთი რომ ვერ გაგვიტანეს მასპინძლებმა. თამაშის დაწყებას ჯიმის გარღვევა და მარცხენა შუამარბის პოზიციიდან შორეულ კუთხეში დარტყმა მოჰყვა, ბურთი ჩვენმა მეკარემ აიღო. თუმცა, მესამე წუთზე („ტიროლმაც“ მესამე წუთზე დაიწყო თბილისელთა განადგურება!) ლატაპის ინდივიდუალური რეიდი დინამოელთა უსუსური თანხლებით (უფრო სწორად ესკორტით) პირველი გოლით მთავრდება — 1:0. შემდეგ ზედიზედ რამდენჯერმე გადავრჩით, მაგრამ 29-ე წუთზე მოსახდენი მაინც მოხდა — ჯიმიმ, იმავე პოზიციიდან, ამჯერად უკვე ახლო კუთხეში გაგზავნა ბურთი — 2:0.

ერთადერთი შანსი 35-ე წუთზე მოგვეცა — ჯამარაულმა ზუსტი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა გოგიჩაიშვილი, მაგრამ კახიმ შორს გაიგდო ბურთი და მახვილი კუთხიდან მიზანს ააცილა. იქვე ჯელაძემ მიიღო მეორე ყვითელი ბარათი, დატოვა მინდორი და ბრძოლაც, თუ შეიძლება ასეთ უთანასწორო პაექრობას ბრძოლა უწოდო, მაშინ დამთავრდა — შესვენების შემდეგ მასპინძელთა შეტევების შეჩერება დინამოელთა შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატებოდა. გოლები ისევ ჯიმიმ, ლატაპიმ და ტავარეშმა გაიტანეს. ეს უკანასნელი, მოგეხსენებათ, პორტუგალიის ეროვნული ნაკრების წევრია და იმ დღეს კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა მაღალი კლასი.

ასეთი შედეგი ყველაფერზე მეტყველებს. ვაღიაროთ — უფრო ძლიერმა მეტოქემ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. გასაკვირი ის უფროა, მასთან თბილისში როგორ მოვიგეთ. თავს ზემოთ ზედიზედ ორჯერ გადახტომა კი თითქმის შეუძლებელია.

მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაზე მხოლოდ „ბოავიშტას“ მწვრთნელი გამოცხადდა, ზორან ფილიპოვიჩმა ამჯერადაც მაღალი შეფასება მისცა თბილისელთა თამაშს, ეტყობა, ტაქტის გამო, მისი გუნდის ტრიუმფი კი ტაქტიკური უპირატესობით ახსნა.

დავით ყიფიანი თვითმფრინავში გაგვესაუბრა. მისი აზრით, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. დინამოელთა თავკაცმა არც საკუთარი შეცდომები გამორიცხა.

გია პლატონიშვილი,
„სრ“ სპეც. კორ.
პორტუ-თბილისი.

რედაქცია ჩვენი კორესპონდენტის მივლინებაში დახმარებისათვის მადლობას მოახსენებს საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დირექტორატს.

გულდაწყვეტა

„ამას თქვენგან არ მოველოდი“...

ეს სიტყვები ძალიან ნაწყენი კაცისგან გავიგონე მეშვიდე თუ მერვე კლასში, როდესაც ვიღაც უხიაგმა მოსწავლემ დასვენების დამთავრების მაუწყებელი ზარის შემდეგ დაფას ცარცით წააწერა სიტყვა, რომელიც მასწავლებლის ფიზიკურ ნაკლზე მიუთითებდა.

ვიდრე მის წაშლას ვინმე მოასწრებდა, ჩვენი პედაგოგი კლასში შემოვიდა. დაფას შეხედა და სწორედ მაშინ თქვა ზემოთხსენებული ფრაზა. მერე, მხრებჩამოყრილი, სკამზე დაეშვა და კარგა ხანს თავჩაქინდრული დარჩა...

სწორედ რომ არ მოველოდი დინამოელთაგან პორტუგალიაში ასეთ შეურაცხმყოფელ გამოსვლას, ასეთ დამცირებას გუნდთან, რომელიც ევროპული გრანდების კოჰორტას, მგონი, არც განეკუთვნება.

ამას ნამდვილად არ მოელოდნენ დინამოელთა გულშემატკივრები და საერთოდ, საქართველოს მოსახლეობა, ვინც მიყურადებულია ჩვენი სპორტის თუ სხვა სფეროს წარმომადგენელთა გამოსვლებს შინ თუ გარეთ.

ჩანს, ჯერ კიდევ კარგა შორს არის „დინამო“ იმ სტანდარტებისაგან, რომელთაც მსოფლიო და ევროპული ჰქვია, ამიტომაც საჭიროა დასკვნების, სწორი დასკვნების გამოტანა: მხოლოდ საქმისადმი უაღრესად პროფესიული მიდგომა და უმძიმეს მატჩებში ძირფესვიანი გამოწრთობა თუ მიგვაახლოვებს იმ დონესთან, რომელსაც თბილისის „დინამომ“ 1981 წელს მიაღწია, იმ დიდმა გუნდმა მრავალი საფეხბურთო სეზონის მანძილზე პრინციპული მატჩების ქარბორბალა გამოიარა მოსკოვის, კიევის, დონეცკის, მინსკის თუ სხვა ქალაქების უხეშ თუ ტექნიკურ, ძალისმიერ თუ მობილურ გუნდებთან და გამოიწრთო.

დღეს კი რა? დინამოელთა მატჩები საქართველოს პირველობაზე უბრალო გასეირნებად შეიძლება ჩაითვალოს, სერიოზული სპარინგ-პარტნიორები კი სადღაა?

ფეხბურთის ფედერაცია და „დინამოს“ ხელმძღვანელობა უთუოდ ამაზეც დაფიქრდება.

ჩვენ კი ალვიჭურვოთ მოთმინებით.

ანზორ ბასილაია.

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი შევინარჩუნეთ

საქართველო—სლოვაკეთი 91:71

სურათზე: გუშინდელი მატჩის ერთი მომენტი.
ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

საქართველო: უსტიაშვილი (9), ჩხეიძე (6), სანაძე (7), ნაცვლიშვილი (20), სტეფანია (22), ქარაბაკი (16), შენგელია (2), ძლენტი (2), დადიანი (1), ბერძენიშვილი (6),

სლოვაკეთი: ორგლერი (2), უჰნიაკი (18), ლოვიკი (16), მიჩუდა (9), მატიკი (4), ფაიტი (8), დრობნი (7), ონდრუშკა (5), სვიტეკი (2), ჩერნიცკი.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, გუშინდელ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორივე ნაკრები გუნდისათვის — გამარჯვებული ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებდა (ორივე გუნდს ამ მატჩამდე თითო მოგება ჰქონდა). ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველმა კალათბურთელებმა აღმავლობით ჩაატარეს ეს შეხვედრა და ღირსეულად გაიმარჯვეს.

პირველი ტაიმი იმით დაიწყო, რომ სლოვაკეთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0, მაგრამ ეს იყო და ეს, ამის შემდეგ სტუმრები სულ მდევრის როლში იყვნენ. მიტიკის 2 ქულას უსტიაშვილმა ზუსტი სამქულიანი სროლით უპასუხა. აქვე უნდა აღინიშნოს უსტიაშვილის გააზრებული მოქმედება მთელი მატჩის განმავლობაში. ანგარიშში სხვაობა თანდათან იზრდებოდა, რაშიც ლომის წილი სლოვენიის „ოლიმპიაში“ მოთამაშე ვოვა სტეფანიას მიუძღვის. მისი ბრწყინვალე თამაში მაყურებელი განცვიფრებაში მოჰყავდა. ქართველი ცენტრალური თავდამსხმელის „დაჭერა“ ამ დღეს თითქმის შეუძლებელი იყო. იგი ასევე შესანიშნავად თამაშობდა დაცვაშიც... ერთი სიტყვით, ვოვა გუშინ მოედანზე საუკეთესო იყო არა მარტო მასპინძელთა შორის, რასაც ერთხმად აღნიშნავდნენ კიდეც მატჩის შემდეგ კალათბურთის სპეციალისტები. მაშინ, როცა პირველი ნახევრის დამთავრებამდე რჩებოდა 3.20 წუთი, ანგარიშში სხვაობა უკვე 13 ქულა იყო — 39:26, მაგრამ ტაიმის მიწურულს სლოვაკებმა, ქართველი კალათბურთელების ყურადღების მოდუნების შემდეგ, შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება 7 ქულამდე — 48:41.

რა შეიძლება ითქვას პირველი ტაიმის შესახებ? ჩვენმა კალათბურთელებმა კი მიაღწიეს გარკვეულ უპირატესობას, მაგრამ ეტყობოდათ, რომ მთლად მობილიზებულნი არ თამაშობდნენ, ასე რომ არა, სხვაობა უფრო სოლიდური იქნებოდა.

მატჩის მეორე ნახევარში ქართველი კალათბურთელები პირველ ტაიმთან შედარებით უფრო ორგანიზებულად მოქმედებდნენ და არც გასჭირვებიათ ამ შეხვედრის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა — 91:71.

გუშინდელ შეხვედრაში ცალკე აღნიშვნის ღირსნი იმ ქართველი კალათბურთელების გარდა, რომლებზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, არიან ვახტანგ ნაცვლიშვილი და ლევან ქარაბაკი, ხოლო სტუმართაგან — უჰნიაკი და ლოვიკი.

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: პირველ ტაიმში იყო ფსიქოლოგიური მომენტი — ბიჭები ზედმეტად თვითდაჯერებულნი იყვნენ, მაგრამ შესვენებაზე ისინი სათანადოდ განვაწყვე და მეორე ნახევარში უკვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ამრიგად, ამ გამარჯვებით საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა შეინარჩუნა შანსი მოხვდეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. წინ კიდევ ოთხი მატჩია: გასვლაზე გერმანიაში ბოსნიასთან და ისრაელში ადგილობრივ ნაკრებთან, ხოლო შინ ბელორუსიის და საბერძნეთის ნაკრებებს ვუმასპინძლებთ.

იაგო საჯანელი.

ტრანსპორტი

ინკოგნიტო მძღოლები?

დროის მონაკვეთი 22-დან 27 ოქტომბრამდე აღინიშნა ისეთი შემთხვევებით, როდესაც მძღოლი, ავარიის მოხდენის შემდეგ (ალბათ „თავმდაბლობის“ გამო) ამჯობინებდა დაემალა ვინაობა, ან სულაც „აორთქლებულიყო“.

24 ოქტომბერს, დაახლოებით 18 საათზე, გორგასლის ქუჩაზე უცხოური ფირმის ავტომანქანა (ქ. მცხეთის მრავალდარგოვანი ფირმა „წინწყაროს“ კუთვნილება) დაეჯახა ხეს. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო მგზავრებმა გელა ზამბახიძემ და შალვა იბოევმა სხეულის დაზიანება მიიღეს.

26 ოქტომბერს 01 საათზე ხევძმარის ქუჩაზე ავტომანქანა ვაზ-2108, რომელსაც მინდობილობის გარეშე, არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა გოგა ჩაჩუა, დაეჯახა გაჩერებულ ავტომანქანას, ხოლო შემდეგ მის მფლობელს, პოლიციის კაპიტანს ხვთისო ზარამიძეს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

27 ოქტომბერს 20 საათზე კახეთის გზატკეცილზე დაუდგენელი მარკისა და სახელმწიფო ნომრის ავტომანქანა დაეჯახა 45-50 წლის უცნობ მამაკაცს, რომელიც № 1 საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

27 ოქტომბერსვე, დაახლოებით 23 საათზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ერთმანეთს შეეჯახა ორი „ვაზ-2106“, 19-19 წლის მძღოლებს ირაკლი ქიტოშვილსა და ზურაბ კაპანაძეს, „კომპანია“ მესამემ, „ვაზ-2106“-ის მძღოლმაც გაუწია, რომელიც შემდეგ ავარიის ადგილიდან მიიმალა. ავტომანქანა მილიციის სკოლას ეკუთვნის. სხეულის დაზიანება მიიღეს მგზავრებმა ქეთევან საათაშვილმა და ნათია კაპანაძემ.

22-დან 27 ოქტომბრამდე თბილისში დაფიქსირდა 24 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 2, დაშავდა 26 ადამიანი.

ქალაქ თბილისის საგზაო პოლიციის პრესსამსახური.

ღიმილის დოზა

ვერ მოასწრო

სკოლიდან დაბრუნებული პატარა რომეო მამას უყვება, რომ ქიმიის გაკვეთილზე ცდას ატარებდა და...

— მოულოდნელად იხე იფეთქა, რომ...

— რომ მასწავლებელმა „ორიანი“ დაგიწერა?

— არა... ვერ მოასწრო.

●

ყური ჯიბეში

ბიჭი სახლში აბლავლებული დაბრუნდა:

— დედი, უფროსკლასელმა მცემა.

— მაგას ვაჩვენებ ხეირს! შეგიძლია სახეზე იცნო?

— იმას ახლა ყველა იცნობს: ჯიბეში იმისი ყური მიდევს.

●

რას გულისხმობდნენ?..

ხანგრძლივი კამათისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა პრემიერ მინისტრს უთხრა: — შენც სუ და მეც სუ...

მოგვიანებით სამართალდამცავმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ კონფიდენციალური საუბრისას ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი გულისხმობდნენ „СУ—25“-ებს.



გამოსათხოვარი

ნოდარ გუგუშვილი

საქართველოს ჟურნალისტთა უფროსი თაობის რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსეული სპეციალისტი და პიროვნება ნოდარ ევგენის ძე გუგუშვილი.

განათლებით ფილოსოფოსმა ახალგაზრდობაშივე დაუკავშირა თავისი ცხოვრება ახალშექმნილ ქართულ სპორტულ გაზეთ „ლელოს“ და წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ ამ გაზეთში, საერთოდ, ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში. ღრმა განათლების წყალობით ნოდარ გუგუშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული სპორტული ტერმინების შემუშავებაში, რაც აისახა კიდეც ლექსიკონებში. სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა ქართული ენციკლოპედიის შესაბამის რედაქციასთან, ბევრი მისი სტატიაა შესული ამ გამოცემაში.

მკითხველს ახსოვს ნ. გუგუშვილის მაღალი ოსტატობით, ნიჭიერებით გამორჩეული საგაზეთო ნარკვევები და რეპორტაჟები, სატელევიზიო თუ რადიოგადაცემები, წიგნები, რომლებიც მან გამოსცა ოლიმპიური თამაშებიდან თუ მსოფლიო ჩემპიონატებიდან დაბრუნების შემდეგ. არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართულ სპორტს, ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ სპორტსმენებს.

ერთხანს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სპორტულ გადაცემათა მთავარ რედაქციაში იმუშავა და აქაც თქვა თავისი სიტყვა, როგორც ნიჭიერმა პროფესიონალმა. ამ ხალხმრავალ ორგანიზაციაში მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა. ბოლო ათი წელიწადი ჟურნალ „შართვეს“ რედაქტორობდა, მაგრამ „ლელოსთან“ ურთიერთობა არ გაუწყვეტია. გაზეთს ბურჯად ედგა ჩვენი ცხოვრების მძიმე პერიოდში.

ნ. გუგუშვილი ათეული წლების განმავლობაში იყო საქართველოში ოლიმპიური იდეალების დაუღალავი პროპაგანდისტი. დიდი ხალისით და სიამაყით მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნასა და დაფუძნებაში, იყო სეოკის უცვლელი წევრი.

წესად დამკვიდრდა — ყველა დამწყებ ჟურნალისტს გულდასმით უნდა გადაეკითხა ნოდარ გუგუშვილის პუბლიცისტური სტილით გამოქვეყნებული წერილები, მისი წიგნები თუ ბროშურები, და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინა საბოლოო არჩევანი. ახალბედა ჟურნალისტებისათვის იგი მუდამ საყვარელი უფროსი მეგობარი და კეთილი დამრიგებელი იყო.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სწორედ ახალგაზრდა ჟურნალისტთა თაობების აღზრდაში და ქართული სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ამ ორიოდე თვის წინათ, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, გულისხმიერებით, სიკეთით, ხაქმინა და მოყვასის სიყვარულით გამორჩეული პიროვნება.

ნ. გუგუშვილის ფუძეჩაყრილ ტრადიციებზე კვლავაც აღიზრდებიან თაობები.

ე. შევარდნაძე, ნ. ლეკიშვილი, რ. მიმინოშვილი, ე. შენგელაია, გ. ლორთქიფანიძე, ლ. ლოლობერიძე, ვ. აგაშიძე, ქ. ასათიანი, ნ. ბაჟუნაიშვილი, ა. ზოზულია, თ. კვაჭანტირაძე, ა. სიხარულიძე, თ. ბაჩიჩილაძე, დ. მჭედლიშვილი, ო. მელქიზედეკიძე, თ. ჩხენკელი, ზ. კარტოზია, ვ. ბადავაძე.

ხსოვნა

კონსტანტინე მუშვენიერაძე

გარდაიცვალა შესანიშნავი მოქალაქე, მხცოვანი, წარჩინებული კოოპერატორი, შრომის ვეტერანი, ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების თბილისის ვეტერანთა საბჭოს წევრი კონსტანტინე ივანეს ძე მუშვენიერაძე.

დაიბადა 1912 წელს შორაპნის მაზრის სოფელ სალვინეთში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისში 12 წლიდან. უფროსი ძმის — ნიკოლოზის მზრუნველობით შრომას სწავლასაც უთავსებდა. მიიღო უმაღლესი განათლება ეკონომისტის სპეციალობით.

თავისი ცხოვრების გზა ბატონმა კოტემ ძირითადად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას დაუკავშირა. 1940 წლიდან იგი იყო ონის რაიკავშირის, შემდეგ სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის, დუშეთის, საგარეჯოს, თიანეთის კოოპორგანიზაციების გამგეობის თავმჯდომარე, კოოპვაჭრობის თბილისის უნივერსალური ბაზის მთავარი საქონელმცოდნე, 1974 წლიდან პენსიაში გასვლამდე ცეკავშირის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს წამყვანი საქონელმცოდნეა.

შესანიშნავი მეოჯახე და მოქალაქე, ენციკლოპედიური განათლების, განუყრელი სიკარგით მუდამ საქმეში ჩართული, სამშობლოსა და კოოპერაციის გულმხურვალე პატრიოტი, ახალგაზრდობის უანგარო მასწავლებელი და დამრიგებელი, გვარითა და გულით მართლაც მშვენიერი — ასეთი დარჩა ბატონი კონსტანტინე კოლეგებისა და მეგობრების გულში.

ცეკავშირის გამგეობა,
ცეკავშირის ვაჭრობის მთავარი სამმართველო.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ მედეა გოცირიძეს მეუღლის

ნოდარ გუგუშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს განათლების მინისტრის მოადგილეს, საპარლამენტო მდივანს ქალბატონ მედეა გოცირიძეს მეუღლის

ნოდარ გუგუშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პროკურატურის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს იურისტთა კავშირის თავმჯდომარეს ზურაბ რატიანს დის

ანა მიხეილის ასულ რატიანი-კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის პროკურატურა სამძიმარს უცხადებს საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარეს ზურაბ რატიანს დის

ანა მიხეილის ასულ რატიანი-კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პროკურატურის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს დმანისის რაიონის პროკურორს ჯონი ნიკურაძეს დედის

ტატიანა იოსების ასულ შენგელია-ნიკურაძის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის სამგორის რაიონის პროკურატურის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე პროკურატურის გამომძიებელს ზეზო ლორთქიფანიძეს დედის

როზეტა ჟავჟანიძის

გარდაცვალების გამო.

სააქციო საზოგადოება ქარხანა „ელექტროძრავას“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქარხნის ყოფილი დირექტორი

შალვა გალაქტიონის ძე სვანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი“-სა და პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს საზოგადოების თანამშრომელს ზაზა გაბაშვილს დედის

ელენე გიორგის ასული გაბაშვილის

გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი 31. X, 1 XI. 4 ს. გამოსვენება 2 XI 2 ს. ბარნოვის ქ. №44.

პირველად!

ყურადღება კონკურსი!

ბატონო ჟურნალისტებო!

ქართულ-ამერიკულ ფირმა „მეგაკომს“ აქვს პატივი გამოაცხადოს კონკურსი

„სიტყვა მეგაკომზე“

ჩვენ ველით თქვენს სტატიებს, რეპორტაჟებს, ინტერვიუებს და ა.შ.,

კონკურსის ვადაა ექვსი თვე დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

დაწესებულია ფულადი პრემიები:

I პრემია — 1000 ლარი;
II პრემია — 700 ლარი;
III პრემია — 500 ლარი.

კონკურსის შედეგებს შეაჯამებს სპეციალური ჟიური 1997 წლის მაისში.

ჩვენი მისამართია: ფაბრიციუსის ქ. № 22

ტელეფონი: 98-67-70;

ფაქსი: 93-48-86.

ამინდი — 31.10.96

31 ოქტომბერი

დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა ბარში — ღამით 5-10, დღისით 15-20, მთაში — ღამით 1-6, დღისით 11-16, მაღალმთაში ღამით —4-1, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა ბარში — ღამით 2-7, დღისით 10-15, მთაში ღამით 0-5, დღისით 5-16, მაღალმთაში — ღამით —4-1, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

თბილისში ტემპერატურა — ღამით 5-7, დღისით 13-15 გრადუსი სითბო.

შეიძინეთ

გთავაზობთ

1. პრინტერის პერფორირებულ ქაღალდს
სიგანე 24 სმ და 38 სმ. უკალ. ხარ.
2. პრინტერისა და ტელექსის რულონებს
სიგანე 21 სმ სიგრძე 100 მ. უკალ. ხარ.

უნაღდო ანგარიშსწორებით
ადგილზე მიწოდებით.

ტელ.: 38-91-64 39-84-05

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოჩულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში ხოშარაულის 29.